ლიტერატურული გაზეთი

№21 5 - 18 მარტი 2010 გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევობით ფასი 50 თეთრი



პოეზია

ვანო ჩხიკვაძე

IV-V

ჩანაწერები

გაგა ნახუცრიშვილი

VI-VII

პროზა

აკა მორჩილაძე

VIII-IX

ინტერვიუ

ზაალ სამადაშვილი

XII

დავით ქართველიშვილი

სიყვარული და მსხალი

(ფრაგმენტი რომანიდან)

არავის ვთხოვ ჩემი წიგნის მფარველობას. თუ კარგი წიგნია, წაიკითხავენ, თუ არა, მაშინ ძალიანაც კარგი, რომ არ წაიკითხავენ.

მონტესკიე

1.

2008 წლის 5 აგვისტოს ჩემი და ლაშას ქორწინების ათი წლისთავზე გავაკეთე ის, რის შესახებაც უკანასკნელი სამი თვის მანძილზე აქტიურად ვფიქრობდი, მაგრამ ობიექტური და სუბიექტური (ალბათ უფრო სუბიექტური) მიზეზების გამო ვერ ვაკეთებდი; საწოლიდან ავიღე ჩემი ბალიში, ამოვიდე მარჯვენა იღლიის ქვეშ და ლაშას მშვიდად ვუთხარი:

— დღეიდან მე ცალკე დავიძინებ.

— ბავშვები იფიქრებენ, რომ ვიჩხუბეთ და ინერვიულებენ, — მითხრა ლაშამ და მომაჩერდა.

— ბავშვებს მე დაველაპარაკები, — დავპირდი და ოთახიდან გამოვედი.

ბიბლიოთეკაში შევედი, ტახტზე ჯერ ბალიში დავაგდე, შემდეგ მე დავეგდე. ტახტს მაგარი ზურგი ქონდა, ბებიაჩემის ნათქვამი სიტყვები გამახსენდა, ბებია ამბობდა: „მაგარზე წოლა კარგია ჯანმრთელობისთვის!" ბებიას სიტყვების გახსენებით გამხნევებულმა ხელები თავქვეშ ამოვიდე და ჭერს მივაშტერდი, რამდენიმე ხნის შემდეგ ჭერზე ბებიას სახე გამოისახა, უკანასკნელად რომ ვნახე, ზუსტად ისეთი იყო, ძალიან მოხუცი, თვალები წამით დავხუჭე, შემდეგ გავახილე და კვლავ ჭერს მივაშტერდი, ჭერზე მხოლოდ რამდენიმე ბზარი დავინახე.

გამიხარდა, რადგან სიკვდილამდე მკვდრების ნახვის მეშინია...

2.

თითქმის არ მძინებია, შუაღამით ოთახში ლაშა შემოვიდა, ლურჯი შორტები ეცვა, წელსზევით შიშველი იყო, ხელისგულები შორტებზე ჩამოისვა და ტახტზე ჩამოჯდა.

მარჯვენა ფეხი ოდნავ განზე გავწიე და გავიფიქრე: „ჩემი უბედურება ისაა, რომ ლაშაზე ახლობელი ადამიანი არ მყავს".

ლაშამ ფეხი ფეხზე გადაიდო და მკითხა:

— თუ გინდა, საერთოდ წავალ?

— არა, მე წავალ, საქმეებს მოვათავებ და წავალ.

— ვინმე გყავს? — მკითხა ლაშამ და პასუხის მოლოდინში დაძაბულად გაყუჩდა.

ყოველთვის ვთვლიდი, რომ მიუხედავად ყოველდღიური რქიანობისა, მსგავს კრიტიკულ სიტუაციაში ლაშა დაიბნეოდა და ვერცერთი მუქარის (მოგკლავ, დაგაღხრჩობ, აგკუწავ და ა.შ.) შესრულებას ვერ შეძლებდა.

— არა, — ვუპასუხე მოკლედ და კატეგორიულად

— მატყუებ, — ლაშამ ფეხიდან ფეხი ჩამოიღო და იატაკზე დადგა.

— არ გატყუებ, არავინ არ მყავს, — ლაშას თვალებში ჩავხედე და გავიმეორე. — არავინ არ მყავს, — მივხვდი რომ ზუსტად ვერ გამოვთქვი ჩემი სათქმელი და დავაზუსტე, — საერთოდ არავინ არ მყავს.

ლაშას თავზე ორივე ფეხი გადავატარე და წამოვდექი, გამახსენდა თავზე ფეხის (ან ფეხების) გადატარების შემდეგ რას ვეუბნებოდით ერთმანეთს ბავშვობაში და გახსენებული ბავშვობისდროინდელი ფრაზა ვუთხარი:

— აღარ გაიზრდები, — რასაც ჩემი სურვილი მივაყოლე, — აი, მე კი ძალიან მინდა გაზრდა.

ოთახიდან გავედი, საპირფარეშოში ჩავიკეტე და რამდენიმე საათი უნიტაზზე ვიჯექი, ლაშა საპირფარეშოს კართან სამჯერ მოვიდა და სამივეჯერ ერთი და იგივე რამ მკითხა:

— ცოცხალი ხარ?

ლაშასთვის სიტყვიერი პასუხი არცერთხელ არ გამიცია, სამივე შემთხვევაში თითოჯერ ჩავახველე.

3.

დილით ყველამ ერთად ვისაუზმეთ, ბავშვები სწრაფად ჭამდნენ, მე და ლაშა — არა.

თვალწინ განხორციელებული ჩემი ათი წლისწინანდელი ოცნება მედგა; ოჯახი: ქმარი, მე, შვილები, ერთად ვსაუზმობთ, ბავშვები ბებიასთან მიდიან, ქმარი — სამსახურში, მე სახლში ვრჩები, რამდენიმე დღეში ქმარი შვებულებას აიღებს და ყველანი ერთად წავალთ დასასვენებლად უფრო ზღვაზე, ვიდრე მთაში, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ გვქონდა მიღებული.

ათი წლის წინ ოცდასამის ვიყავი.

ალბათ უკვდავების გარდა ნებისმიერი ოცნება ასაკობრივია, ვგრძნობდი, როგორ ძალიან არ შეესაბამებოდა ჩემი ათი წლის წინანდელი ოცნება ჩემს დღევანდელ მოთხოვნილებებს, ცხოვრება ძირითადად სწორედ ასეთი შეუსაბამობებისგან შედგება, ყოველ შემთხვევაში ჩემი ცხოვრება და რა მაინტერესებს მე ჩემი ცხოვრების გარდა? რამდენიმე წუთით თვალები დავხუჭე და ზეპირად აღვნუსხე ყველაფერი რაც ჩემი აზრით ჩემი ცხოვრების გარდა მაინტერესებდა, უფრო სწორად ვცადე, თავიდან გრძელი ნუსხა გამომივიდა, შემდეგ ნუსხიდან თანდათან რაღაცეების ამოყრა დავიწყე, ბოლოს ნუსხა ერთსიტყვიანი გახდა — არაფერი...

4.

საუზმის შემდეგ ლაშამ შუბლზე მაკოცა, ასეთ რამეს უკვე კარგახანია აღარ აკეთებდა და მივხვდი, რომ ნერვიულობდა და ძალიან დაბნეული იყო.

ლაშა ჩემ ცხოვრებაში საჭირო დროს, საჭირო რესურსით და საჭირო სურვილებით გამოჩნდა, მეც მის ცხოვრებაში ანალოგიურად საჭირო დროს, საჭირო რესურსით და საჭირო სურვილებით გავჩნდი და, აქედან გამომდინარე, ჩვენს შორის სერიოზული საუბარიც კი არ ყოფილა სიყვარულის შესახებ, რატომღაც ორივე უსიტყვოდ შევთანხმდით, რომ პატარები არ ვიყავით და სიყვარულს არ ქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჩვენს ურთიერთობაში, გვეგონა, რომ ქალის და კაცის ურთიერთობაში მთავარი სიმშვიდე და სტაბილურობა იყო, თუმცა ამ შეხედულების სიმცდარე ჩემთვის ლაშასთან ფიგურალურად პირველივე, ზუსტი დათვლით კი მეექვსე დაწოლაზე გამოჩნდა.

დაწოლის გარეშე შეუძლებელია მიხვდე, მართლა გინდა კონკრეტულ ადამიანთან ყოფნა თუ არა, ექვსი დაწოლა კი საკმარისია ამის გასარკვევად, ვფიქრობ; ეს ციფრი არამხოლოდ ჩემ, არამედ ზოგად ვითარებასაც მეტ-ნაკლებად სწორად ასახავს, თუმცა შეიძლება მცდარად ვფიქრობ.

მეექვსე დაწოლის შემდეგ უკვე გარკვეული მქონდა, რომ ლაშასთან სექსი არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებდა, წამოსვლა დავაპირე, მაგრამ უკვე ფეხმძიმე ვიყავი.

ამ ამბის გაგების შემდეგ უნებურად გავიფიქრე: „ლაშა რომ მთხოვდა მუცელზე დაგათავებო, უნდა დავთანხმებულიყავი".

შემდეგ გავიაზრე, რომ შვილი მეყოლებოდა, შემდეგ წარმოვიდგინე, როგორ მეჭირა პატარა ბავშვი ხელებში და ბედნიერებისგან გავთბი.

ერთ კვირაში მე და ლაშა დავქორწინდით...

5.

ლაშა ჩემზე ორი წლით უფროსი იყო (არის).

გაცნობისას ორივე ზრდასრულები ვიყავით, თუმცა თანამედროვე ეკონომიკურ სისტემაში ფიზიკური ზრდასრულობა არ ნიშნავს ადამიანის მზადყოფნას სრულფასოვანი ცხოვრების დაწყებისათვის.

კაპიტალიზმმა ახალგაზრდული ცხოვრება შექმნა, გართობა, უსაქმურობა, აქეთ-იქით ყიალი, დღეს გოგოსთვის პირველი თვიურის მოსვლა არ არის იმის ნიშანი, რომ მშობლები მას დღედღეზე გაათხოვებენ და არც ბიჭის ფიზიკური სრულყოფილება ნიშნავს მომენტალურად მის სამსახურში ჩადგომას.

მაგრამ საქართველოსნაირ დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების ქვეყანაში არსებობს მარად ახალგაზრდად დარჩენის დიდი საფრთხე და რადგან ძალიან მინდოდა ამ საფრთხის თავიდან აცილება, ხოლო ლაშას სტაბილური შემოსავალი (ზრდის პერსპექტივით) და საკუთარი სახლი (მშობლებისგან დამოუკიდებლად) ქონდა, მასთან ურთიერთობა პირველ ეტაპზე ჩემთვის მისაღები იყო.

ლაშას ჩემში ყველაზე მეტად ჩემი ფორმალური ქალიშვილობა (მისთვის დღემდე არ მაქვს დეტალურად მოყოლილი ჩემი და სანდროს ურთიერთობის შესახებ, სხვა ერთი შეხედვით წვრილმან, მაგრამ საშინელ ისტორიებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი) მოწონდა.

ასეთ ვითარებაში და ასეთი მონაცემებით შევუდექით ერთობლივ ცხოვრებას.

6.

ლაშა და ბავშვები კარამდე მივაცილე. მარჯვენა ხელით კარის სახელური მეჭირა, მხრის და თავის ნაწილი კარზე მქონდა მიდებული და კიბეზე ჩამავალ ლაშას და ბავშვებს ვუყურებდი; წინ ლაშა მიდიოდა, შუაში ლიზა, უკან ირაკლი.

— ასაკის მიხედვით ვართ დაწყობილები, — მითხრა ლაშამ და სევდიანად გამიღიმა.

მე თავი დავუქნიე.

თანდათან ჩემი თვალსაწიერიდან გაქრნენ; ჯერ ლაშა, შემდეგ ლიზა, შემდეგ ირაკლი.

„წესით ასეთი თანმიმდევრობით უნდა მოკვდნენ", — გამეფიქრა და ტანში გამაჟრიალა.

კარი დავკეტე და სამზარეულოში დავბრუნდი; მაგიდა ავალაგე, ჭურჭელი დავრეცხე, შემდეგ რამდენიმე წამით ხელები ცივ წყალს შევუშვირე, სველი ხელები სახეზე გადავისვი, ონკანი დავკეტე, ხელები შევიმშრალე და ბიბლიოთეკისკენ წავედი.

სახლში პატარა ბიბლიოთეკის მოწყობა ჩემი (ლაშას აზრით აკვიატებული) იდეა იყო, ლაშამ ჩემი იდეა (აკვიატება) დააფინანსა, თუმცა ფულის ყოველი მოცემისას ლაშა ჯიუტად მიხსნიდა, რომ თანამედროვე ადამიანისთვის სახლში ორი-სამი წიგნის ქონა სრულიად საკმარისია, რადგან თანამედროვე ადამიანი ცხოვრების განმავლობაში მეტ წიგნს არ კითხულობს.

— ჩემი შტერი თანამედროვე ადამიანი, — ვეუბნებოდი ლაშას და თავზე ვუსვამდი ხელს.

დღემდე არ ვიცი, ზუსტად რატომ ვაკეთებდი ამას, ლაშა მეცოდებოდა, თუ ასეთი საქციელით საუბრის გასერიოზულებას ვიცილებდი თავიდან, ხანდახან მგონია, რომ ლაშა მეცოდებოდა, ხანდახან მგონია, რომ საუბრის გასერიოზულებას ვიცილებდი თავიდან, ხანდახან მგონია რომ ერთდროულად ორივე მიზეზით ვუსვამდი ლაშას თავზე ხელს. ეს ვერსიები იყო, ზუსტად მხოლოდ ერთადერთი რამ ვიცოდი; ლაშას მრგვალი თავი ქონდა.

7.

ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის ასაკში (დღეს ჩემი ცხოვრების ამ პერიოდს ბავშვობას ვეძახი, მაშინ კი ვთვლიდი, რომ უკვე ძალიან დიდი ვიყავი და სადაცაა ცხოვრება დამთავრდებოდა), ვოცნებობდი სახლის ქონაზე, რომლის სახურავის და კედლების მოყვანილობა წიგნების ფორმის ანალოგიური იქნებოდა (რეალურად რამდენად შესაძლებელი იყო ასეთი არქიტექტურული პროექტის განხორციელება, წარმოდგენა არ მქონდა), ვოცნებობდი სანდროსთან ერთად და დარწმუნებულები ვიყავით, რომ ოცნების ასრულებამდე ძალიან მცირე დრო იყო დარჩენილი.

მე და სანდრომ ერთმანეთი უნივერსიტეტში, ზოგადი ფსიქოლოგიის ლექციის შემდეგ გავიცანით, ლექცია სპეციალურად ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ტარდებოდა, ლექციის დროს ერთმანეთს რამდენიმეჯერ შევხედეთ, მე არ ვარ პასუხისმგებელი ყველა ჩემს გაპრანჭვაზე; თმაზე ხელისგადასმაზე, ფეხების მიტყუპებაზე, ირიბ მზერაზე, ეს ყველაფერი ჩემში ძირითადად უნებურად, ტრადიციით, შეიძლება ძველისძველი წყევლის გამო ხდებოდა (ხდება), მაგრამ სანდროს გააზრებულად ვეპრანჭებოდი.

ლექციის შემდეგ სტუდენტურად (ე.ი. ორი ათეული ადამიანი ერთად) წავედით უახლოეს კაფეში, კაფის სიახლოვის შეფასების კრიტერიუმი (იმ დროს ამ და მსგავს ღრმადმეცნიერულ სიტყვებს ხშირად ვხმარობდი ყოფით, წვრილმან საუბრებში) ფასები იყო, მაგრამ კაფე ჩვენს მიერ განისაზღვრებოდა მაინც „უახლოესად" და არა „უიაფესად".

დღევანდელი გადასახედიდან ეს დაწესებულება კაფეც არ იყო, არამედ უფრო ღარიბთა, თითქმის უფასო სასადილო.

მეორე დღეს სანდრომ დამირეკა, მესამე დღეს შევხვდით, მეექვსე დღეს სანდრომ მითხრა:

— მიყვარხარ.

მე არაფერი არ მითქვამს, მხოლოდ თავი დავუქნიე. ორი კვირის შემდეგ ერთმანეთს ვაკოცეთ.

ერთი თვის შემდეგ სანდრომ სეირნობისას თქვა:

— სოკრატეს რამე რომ დაეწერა, ალბათ აუცილებლად ძალიან ხშირად გამოიყენებდა ფრჩხილებს, თუ საერთოდ არსებობდა იმ დროს ფრჩხილების გამოყენების ტრადიცია.

— რატომ? — ვკითხე მე.

ეს იყო ჩვენი ურთიერთობის ერთი თვის მანძილზე პირველი შემთხვევა, როდესაც ვახსენეთ ვიღაც სხვა (მსოფლიო ისტორიაში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ადამიანი, მაგრამ მაინც სხვა).

ასე დავიწყეთ მიწაზე დაშვება, თავიდან მიწაზე ყოფნაც არ იყო ცუდი.

8.

ეს მოხდა თითქმის ოთხი თვის წინ, 9 აპრილს. განსაკუთრებული დღეები არ მიყვარს; ჩემი დაბადების დღე (6 ივლისი), ახალი წელი (1 იანვარი) დამოუკიდებლობის დღე (26 მაისი).

ასეთი დღეები გკარნახობენ განწყობას, ქცევის წესებს და თუ ნაკარნახევ განწყობას და ქცევის წესებს აცდენილი ხარ, ურთიერთობები არ გამოგდის და, აქედან გამომდინარე, დღე დაკარგულია, ამ ყველაფერში განსაკუთრებული მხოლოდ ის არის, რომ ასეთ დღეებში თითქმის ყველა ადამიანი (ახლობელიც და შორებელიც) აძლევს საკუთარ თავს იმის უფლებას, მოგცეს შენიშვნა და მიგითითოს განსაკუთრებული დღისათვის შეუფერებელ განწყობაზე და ქცევაზე.

„რატომ ხარ(თ) ასე? დღეს ხომ განსაკუთრებული დღეა." და ა.შ.

ცხრა აპრილი განსხვავებული, მაგრამ არაერთმნიშვნელოვანად განსაკუთრებული დღეა, ამ დღეს თან უნდა წუხდე, რომ წლების წინ საბჭოთა ჯარისკაცებმა ალესილი ბარებით დაჩეხეს და გაზით მოწამლეს ქართველი მომიტინგეები და თან უნდა გიხაროდეს, რომ ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ უზენაესი საბჭოს მიერ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ.

არც ვწუხდი და არც მიხაროდა, ლაშა ტელევიზორთან იჯდა და 9 აპრილისადმი მიძღვნილ გადაცემას უყურებდა.

ქალსა და კაცს შორის რეალურად მხოლოდ ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს; დამოკიდებულება ისტორიისადმი, კაცისთვის ისტორია მნიშვნელოვანია, ქალისთვის — არა.

— დამისახელე თუნდაც ერთი ფილოსოფოსი ქალი, — მეუბნებოდა სანდრო.

— მე, — ვპასუხობდი სიცილით, თუმცა რეალურად ძალიან მინდოდა, რომ ეს სიმართლე ყოფილიყო.

— არ არსებობს ქალი ფილოსოფოსი, იმიტომ, რომ ქალებს ფეხებზე გკიდიათ ისტორია.

სანდროს კატეგორიულობა ნერვებს მიშლიდა, მაგრამ ამავე დროს მიხაროდა ის ფაქტი, რომ ქალად მთვლიდა, სხვა შემთხვევაში არ იტყოდა „გკიდიათ", არამედ იტყოდა „კიდიათ".

9.

ლაშას ჩავუარე.

სულ ერთი წამით მომინდა, ლაშას ჩემთვის ტრაკზე მსუბუქად მოერტყა ხელი, თუმცა ლაშასთან ათწლიანი თანაცხოვრებიდან გამომდინარე კარგად ვიცოდი, რომ მისგან ასეთი რამის გაკეთება გამორიცხული იყო.

სამზარეულოში შევედი. საპურე გავხსენი, პური მოსატანი იყო, შემდეგ მაცივარი გამოვაღე, მივათვალიერ-მოვათვალიერე მაცივრის შიგთავსი და თავში საყიდელი პროდუქტების ზეპირი სია შევადგინე, საფულე ავიღე, შემოსასვლელში სარკესთან გავჩერდი, თმაზე ხელები გადავისვი, შემდეგ თმა რეზინით შევიკარი, გავიფიქრე: „შესაჭრელი მაქვს" და გარეთ გამოვედი.

ეზოში ბიჭები იდგნენ, მივესალმე, ჩავისუნთქე და სწრაფად გავიარე, მათი ერთობლივი „გამარჯობა" ზურგსუკნიდან მომესმა.

ეზოდან გავედი და რამდენიმე წამის წინ ჩასუნთქული ჰაერი სამ ნაწილად გამოუშვი, მიუხედავად იმისა რომ პატარა აღარ ვიყავი, ბიჭების ბირჟის დანახვაზე ძველებურად ვიძაბებოდი, ეზოდან გამოსული კარგად ვხვდებოდი, რომ ეს ადამიანები ცხოვრებაში ვერშემდგარი უბნის უსაქმურები იყვნენ და ჩემი, თექვსმეტი წლის გოგოს შესაფერისი დაძაბულობა ძალიან უადგილო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მშვენივრად ვიცოდი, რომ უკანა გზაზე, ეზოში შესვლისას, მათ დანახვაზე ისევ დავიძაბებოდი.

10.

თექვსმეტი წლის ადამიანს ცხოვრება წინ აქვს და, აქედან გამომდინარე, მისთვის ბედნიერება აქსიომაა, შემდეგ წლების მატებასთან ერთად ბედნიერება აქსიომიდან თანდათან თეორია ხდება, რომლის დამტკიცება თავიდან მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, თუმცა დრო გადის და მტკიცებულებები სულ უფროდაუფრო კლებულობს, ოცდაათ წელს გადაცილებული ადამიანისთვის ბედნიერება უკვე პარადოქსია; განსაზღვრება არსებობს, რეალური განცდა არა, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არცერთი ჩემი ასაკის ბედნიერი ადამიანი არ მყავდა ნანახი, ჩემთვის ჩემი მდგომარეობა თითქმის ბუნებრივი იყო, მხოლოდ ხანდახან, ისიც რამდენიმე წუთით მეპარებოდა ეჭვი ჩემი მდგომარეობის ბუნებრიობაში.

11.

მარკეტში შევედი. მარკეტის გოგოებს მივესალმე და ბოსტნეულის სექციისკენ წავედი.

ტოლმის გაკეთება მქონდა გადაწყვეტილი და პირველ რიგში კომბოსტოს შერჩევა დავიწყე. კომბოსტოს ჯერ თვალით ვარჩევდი: „ეს დიდია, ეს პატარა, მგონი ეს კარგია". თვალით შერჩეული კომბოსტო ხელში ავიღე, კომბოსტოიანი ხელი ავწი-დავწიე, შემდეგ კმაყოფილმა თავი დავაქნიე და კომბოსტოს კალათაში ჩადება დავაპირე, სწორედ ამ დროს ჯერ ვიგრძენი და შემდეგ დავინახე (ეს სულ რამდენიმე წამის განსხვავებით მოხდა) როგორ გამინათდა კომბოსტოიანი ხელი, თავი მივატრიალე. ჩემს გვერდზე დაახლოებით ჩემი ასაკის გოგო იდგა, ვიგრძენი, როგორ გამინათდა სახე, მოულოდნელობისგან კომბოსტო ხელიდან გამივარდა, დავარდნილ კომბოსტოს თვალი მივადევნე, კომბოსტო რამდენიმე მეტრზე გაგორდა და გაჩერდა, სწრაფად წავედი კომბოსტოსაკენ, სწრაფადვე ხელში ავიღე და კალათაში ჩავდე, მივტრიალდი, უცნობი გოგო წასული იყო, ბოსტნეულის სექციასთან დავბრუნდი, კომბოსტო კალათიდან ამოვიღე და საერთო კალათაში ჩავდე, თან აქეთ-იქით ვიხედებოდი, უცნობ, განათებულ გოგოს ვეძებდი, ის უალკოჰოლო სასმელების სექციასთან იდგა და ლიმონათის ბოთლებს ათვალიერებდა, მისგან წამოსული შუქი ბოთლებზე გადადიოდა, მარკეტში მომუშავე ერთერთ გოგოსთან მივედი, უხერხულად გავუღიმე და ამ უხერხული გაღიმების დროს მივხვდი, რომ უცნობი, განათებული გოგოსკენ ხელისგაშვერა და მარკეტში მომუშავე გოგოსთვის კითხვის დასმა: „ეს გოგო მართლა ანათებს, თუ მეჩვენება?" არ იყო მაინცდამაინც სწორი და მიზანშეწონილი, რადგან ამ მარკეტის მუდმივი კლიენტი ვიყავი და აქ მომუშავე გოგოებს ჩემზე (ჩემი აზრით) ძალიან ნორმალური შთაბეჭდილება ქონდათ.

გარეთ გამოვედი და სახლისკენ ჩქარი ნაბიჯით დავიძარი, იმდენად ვიყავი შთაბეჭდილების ქვეშ, რომ ეზოში მდგარი ბიჭების ბირჟა ვერც კი შევნიშნე, მხოლოდ სადარბაზოში შესულმა გავიგონე მათი ხმები; 9აპრილის ჩეხვას იხსენებდნენ.

12.

ცარიელი კალათა სამზარეულოში დავდე.

ლაშა სამზარეულოში მაგიდასთან იდგა, მარჯვენა ხელში ყავის ფინჯანი ეჭირა და ელექტროჩაიდანში წყლის ადუღებას ელოდა. კალათაში ჩაიხედა, შემდეგ გაკვირვებულმა შემომხედა და მკითხა:

— საჭმელი?

— მერე ამოვიტანა, ბევრი ხალხი იყო და ვერ გავჩერდი, — ავუხსენი ლაშას.

სამზარეულოდან გამოვედი, ბავშვების ოთახში შევიხედე, ბავშვები კომპიუტერთან ისხდნენ, ლიზა რაღაცას უხსნიდა ირაკლის, ირაკლი ხან ლიზას უყურებდა, ხან კომპიუტერის მონიტორს.

კარი მოვკეტე და ბიბლიოთეკისაკენ წავედი, ბიბლიოთეკაში ექსპერიმენტი ჩავატარე: დავდექი წიგნებთან და დავაკვირდი, წიგნებზე არანაირი შუქი არ გადავიდა „იქნებ სულ ოდნავ მაინც ვასხივებ?!"

ბიბლიოთეკის სქელი ფარდები გავწიე, „ბნელში მცირე შუქი ჩანს". მიმოვიხედე, მაგრამ სინათლე ვერ შევნიშნე.

გულდაწყვეტილმა ფარდები გავწიე და ბიბლიოთეკა კვლავ განათდა.

ტახტზე დავჯექი, ფეხები მივატყუპე, ხელები მუხლებზე დავიწყვე და იატაკს დავაშტერდი.

ლაშასთან ამ საკითხზე დალაპარაკებას აზრი არ ქონდა, დაახლოებით ასეთი საუბარი გამოგვივიდოდა.

მე: (გულდაწყვეტილი) ლაშა არ ვანათებ?

ლაშა: (მხრებს იჩეჩავს) ადამიანი ხარ, ნათურა ხომ არა (სიცილი), რატომ უნდა ანათებდე?!

მე: სხვა ნათებაზე გელაპარაკები.

ლაშა: (კატეგორიულად) ადამიანები არანაირად არ ანათებენ.

მე: (ლაშაზე მეტად კატეგორიულად) ანათებენ, უფრო სწორად ანათებს, ერთი ვნახე.

ლაშა: (ხელს ჩაიქნევს) წავედი, წავედი ტელევიზორს შევხედავ.

(ლაშა მიდის, მარტო ვრჩები).

ფარდა

რა თქმა უნდა, ჩემს მიერ ბიბლიოთეკაში ჩატარებული ექსპერიმენტი ლაშას სასაცილოდაც არ ეყოფოდა, თუმცა იყო სხვა ვარიანტიც: ლაშას მხრიდან სერიოზული შეშფოთება ჩემი ფსიქიკური მდგომარეობის გამო, იმ ღამეს პირველად მომინდა ბალიშის აღება და ცალკე დაწოლა.

13.

უცნობ, განათებულ გოგოზე დავიწყე ფიქრი.

ვცადე მისი ცხოვრების წარმოდგენა; ყველაფერი კარგი მივაწერე და ასეთი გზით თანდათან წარმოდგენა შემექმნა ბედნიერების საკუთარ გაგებაზე.

დაახლოებით ორი კვირის შემდეგ უცნობი, განათებული გოგო ჩემთვის მეორეხარისხოვანი გახდა; რეალურად ვნახე, თუ მომეჩვენა. რა ერქვა, როგორ ცხოვრობდა, უკვე ნაკლებად მაინტერესებდა, მთავარი ის იყო, რომ რთულად, მაგრამ საბოლოო ჯამში ერთმნიშვნელოვნად ვაღიარე, რომ ბედნიერი არ ვიყავი.

ამის შემდეგ ჩემს მიერ ცხოვრებაში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომების ზეპირი სია შევადგინე, ადრე ასეთ ზეპირ სიებს საყიდელი პროდუქტების, დასასვენებელად წასაღები ნივთების, ბავშვებისთვის საახალწლო საჩუქრების შესახებ ვადგენდი, ზეპირი სია ასეთი გამოვიდა:

1. ლაშაზე უსიყვარულოდ გათხოვება და მისგან ორი შვილის გაჩენა, ერთი შვილის გაჩენა შესაძლებელია სხვადასხვა მიზეზებით გაამართლო, მეორე შვილის გაჩენა კი უკვე აშკარა თანამონაწილეობაა.

2. სტანდარტული დედობა; საერთოდ ვერ აღვიქვამ ბავშვებს დამოუკიდებელ ადამიანებად, იმის მაგიერ, რომ მათ ზრდაში მივეხმარო, თავს ვუტენი ათასი სისულელით და მარადიულ ბავშვებად ვტოვებ.

3. დედაჩემი; ბევრ რამეს მას ვაბრალებ, უფრო სწორად მისეულ აღზრდის პრინციპებს, რომელთაგანაც მთავარი პრინციპი „მეზობლები რას იტყვიან" იყო, სხვების მოსაწონად მზრდიდა და არა ჩემი საკუთარი ბედნიერებისთვის და დღეს მე იგივეს ვუკეთებ საკუთარ შვილებს.

4. ჩემი და სანდროს ერთადყოფნის ბოლო პერიოდი; როდესაც ყველაფერი ძალიან გაფუჭდა, მაგრამ იმის გამო, რომ ერთმანეთს არ დაველაპარაკეთ და ისე დავიშალეთ, დღემდე გაურკვევლობაში ვარ.

5. მე და ლიკა; მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ერთადერთი მეგობარია, უნდა მივიდე და ყველაფერი ვუთხრა, დავიწყებ იქიდან, რომ: ბავშვობიდან ნერვებს მიშლის.

ზეპირი სიის შედგენისას მხოლოდ ლიკას შემთხვევაში გავიფიქრე, მივალ და რასაც მასზე ვფიქრობ ყველაფერს (რამდენადაც ეს შესაძლებელია) ვეტყვი-თქო.

სიის შედგენის შემდეგ მივხვდი, რომ: თუ მართლა მსურდა ახალი ცხოვრების დაწყება, სიაში ნახსენებ სხვა ადამიანებთან მიმართებაშიც იგივე უნდა გამეკეთებინა.

14.

პირველმა სიგიჟემ გადამიარა. თანდათან დავმშვიდდი და მივხვდი, რომ დასახული ამოცანის შესრულება რთული იყო.

ადამიანური რეალობა ადამიანების მოჩვენებების ჯამია და როდესაც ოცდაცამეტი წელი ამ მოჩვენებების ჯამში უპროტესტოდ (ბავშვურ გამოხტომებს თუ არ ჩავთვლით) გაქვს ნაცხოვრები, უცებ (როგორც ჩემი ფილოსოფიის ლექტორი ამბობდა — მყისიერად) რადიკალური ნაბიჯების გადადგმა რთულია, თუმცა ძალიან კარგად ვგრძნობდი, რომ: ძველებურად უკვე ვეღარ ვიცხოვრებდი.

ლაშასთან წოლა, ბავშვებთან ურთიერთობა, დედაჩემის და ლიკას მონახულება და მათთან ენისმოფხანა, ძველებურად სანდროზე ფიქრი თანდათან სულ უფროდაუფრო აუტანელი ხდებოდა. რამდენიმეჯერ დავაპირე მოქმედებაზე გადასვლა, ძველი ფილოსოფიის ახლით შეცვლა, მაგრამ გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა ვერ გავბედე. ფილოსოფია, განსაკუთრებით ე.წ. ცხოვრებისეული ფილოსოფიაა („არ აგერიოს სიცოცხლის ფილოსოფიაში" ყურში ჩემი ფილოსოფიის ლექტორის ხმა ჩამესმა), თეორია არაა („ეს ჯერ კიდევ პირველ კურსზე ვისწავლეთ" კვლავ მისი ხმა ჩამესმა) და ის თეორიისა და პრაქტიკის ერთობლიობაა, ახალი თეორია, ძველი ქმედებები.

იმ დროს არანაირი მყარი ფილოსოფია აღარ მქონდა.

ცხოვრებაში უცებ არაფერი არ ხდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მოვლენები, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითქმის ყველაფერს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენებს მოულოდნელობის ეფექტი აქვთ. მაგალითად: ჩემს მიერ ბალიშის აღება და ბიბლიოეკაში გადმობარგება ჩემთვის თითქმის ისეთივე მოულოდნელობა იყო, როგორც ლაშასთვის, თუმცა ასეთი რამის გაკეთებაზე უკვე რამდენიმე თვის მანძილზე აქტიურად ვფიქრობდი.

ამის მიზეზი ალბათ ისაა, რომ გადამწყვეტ მომენტებში თითქმის ყოველთვის ჯერ რაღაც ხდება და შემდეგ იწყება მომხდარის გაანალიზება, თუმცა ყველაფერი შეიძლება სხვანაირადაც მოხდეს: ადამიანებს წარმოსახვის უნარი აქვთ და შეუძლიათ ეს რაღაც ჯერ წარმოსახვაში მოახდინონ, შემდეგ რეალურად გაანალიზონ.

15.

დავიწყე თაროებიდან წიგნების რიგრიგობით გამოღება, გადათვალიერება და უკან დაბრუნება. ყველას დამშვიდების თავისი ხერხი აქვს, მე ასე ვმშვიდდები.

პირველი, შესაძლოა არა ყველაზე მნიშვნელოვანი, მაგრამ ყველაზე რთული ნაბიჯი უკვე გადადგმული მქონდა, ლაშას დამოკიდებულება ჩემდამი ვეღარ იქნებოდა ისეთი, როგორიც ჩემსმიერ ბალიშის აღებამდე და ბიბლიოთეკაში გადმობარგებამდე იყო: გამომდინარე იქიდან, რომ ლაშას საკმაოდ კარგად ვიცნობდი, დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი ისედაც მუდო ურთიერთობა კიდევ უფრო ჩაკვდებოდა, ხოლო მე ამის არანაირი სურვილი არ (უფრო სწორად აღარ) მქონდა.

ერთ-ერთ წიგნზე შავი მელნით ჩემი ფილოსოფიის ლექტორის სახელი და გვარი ეწერა და კიდევ წელი, რიცხვი და თვე: 1994. 8 თებერვალი.

წიგნი დავხურე და ტახტზე დავაგდე.

ეს წიგნი წლების წინ, პირველ კურსზე ვითხოვე. მახსოვდა, რომ წიგნი წავიკითხე, მაგრამ წიგნის შინაარსი ვერ გავიხსენე.

ტახტზე დავჯექი. წიგნი გადავშალე და რამდენიმე აბზაცი წავიკითხე. როგორც წაკითხული რამდენიმე აბზაციდან მივხვდი, წიგნში საუბარი ხელოვნების დეჰუმანიზაციის პრობლემას ეხებოდა, შემდეგ გამახსენდა ლექტორის სიტყვები „ხელოვნების დეჰუმანიზაცია — საკითხი უკვე ისტორიის კუთვნილებაა."

რამდენიმე წამით კვლავ ჩვიდმეტი წლის გავხდი და აუდიტორიაში დავბრუნდი. ერთმანეთზე ღარიბები ვიყავით და, აქედან გამომდინარე, ერთმანეთზე ცუდად გვეცვა. ერთმანეთზე უტვინოები ვიყავით და აქედან გამომდინარე, ერთმანეთზე ცუდად გვესმოდა, რას ნიშნავდა განსაზღვრება: „ხელოვნების დეჰუმანიზაცია", მაგრამ ლექციის შემდეგ ახალი განსაზღვრებით (რომელიც ლექტორის სიტყვებით „უკვე ისტორიის კუთვნილება იყო") ვიყავით შთაგონებულები და უახლოეს კაფეში ამ განსაზღვრების შესახებ ვსაუბრობდით ისე თავისუფლად, თითქოს სიტყვა „დედის" შემდეგ თითოეულ ჩვენგანს ერთდროულად ორი სიტყვა: ხელოვნება და დეჰუმანიზაცია გვქონდა ნათქვამი.

ვანო ჩხიკვაძე

სარფი

პასუხს მამადლის ასკერი —
ჩემი გაშვება თუ ღირს,
ზედ გულისფიცარს ასკდება
მცირე აზიის ბუღი.

ერთხელ ხმამაღლა თუ ვერ ვთქვი,
ალბათ სიცოცხლეც არ ღირს,
თავი თუ ვერ დავაღწიე
ყბებზე გამობმულ აღვირს:

ცისკენ კივილით მიფრინავს,
ოშკის კედელზე ბზარი —
საზღვარს აქეთაც, იქითაც,
ჩემი სამშობლო არის.

ფილმი აგვისტოს ომზე

ისევ აქოთდა ქალაქი
კვამლის და დენთის სუნად.
ხრჭიალებს დაჯახებული,
რკინა რკინასა ღუნავს.

ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.

ამერიკული სენდვიჩი,
ბავარიული ლუდი.
ქართულ ტალახში გორაობს
ვარსკვლავი ჰოლივუდის.

ჭახანით სკდება ფუგასი,
ტანკის სხეულში ბრუნავს.
მოახლოვდება, დაზაფრავს,
სმენას რუსული „ურა.“

გრიმით „ჩეხავენ“ ყვრიმალებს,
ქუჩაში ყრიან ჭურვებს.
დგას რეჟისორი რუპორით —
„ოსკარს“ თვალს უპაჭუნებს.

როგორც აგვისტოს რეფრენი,
ქალაქს გუგუნით დაღლის,
ამერიკული ვერტმფრენი,
ფერდზე ქართული დამღით.

ვის ახსოვს სამაგიერო
განრისხებული უფლის.
გადიღეს ბომბდამშენების
ცაში მორიგი დუბლი.

ფილმია —
ვითომ კვდებიან,
ვითომ იბრძვიან, ვითომ,
ნანაგრევში გადაჩეხილი
ვითომ შველასაც ითხოვს.



ზეცა ჩამოდის გრიალით,
კადრები ცვლიან კადრებს.
სიკვდილის ბუტაფორია
შუა ქალაქში დადგეს.

მე კი, არ ვიცი, აგვისტოს
ომიც და აგონიაც,
ჩვენს დასაქცევად დადგმული
სპექტაკლი რად მგონია.

ვიდრე „წითელი ტერორი“
არ დაექანა დაღმა,
თავისუფლება არ მქონდა,
ახლა... სამშობლოც არ მაქვს.

ბოლო სპექტაკლი

ტაშისცემა აყრუებს
მოზეიმე ფანფარებს,
მე კი გმირის სიცოცხლეს მტრის მახვილზე ვამთავრებ.

ფილაქანზე წკრიალებს შენი ბროლის ქოში და
თეთრი ცხვირსახოცები მოფრიალებს ლოჟიდან.

ვაი, მზის კულულები ჭილყვავებმა შეკორტნეს,
ჯანღი აეფარება მანათობელ დეკოლტეს.

ეჰ, რაც იყო, მოთავდა,
„შავი შაშვი ჩიოდა,“
სული უხმოდ ამოდის წყნარი ადაჯიოდან...

ვიცი, ცის დასავალი მალე უნდა გაბაცდეს,
კუბო კონტრაბასია, ჩემსკენ რომ მობარბაცებს.

მძიმედ დაეშვებიან
ქუთუთოთა ფარდები,
ციხე აღებულია —
მხოლოდ შენ ერთს გბარდები.

მიწა ვერ მომერევა, თუ კურთხევა მეღირსა,
მხოლოდ გავიცრიცები შენი მონატრებისგან.

* * *
უბნის ლოთი რომანს მიქებს
ალალი და წრფელი გულით,
ეფერება ნათალ ჭიქას
თვალი სევდით დანისლული.

გადაჰკრა და წაუმღერა:
— ბოლოს მაინც შენი ტყვე ვარ!..
საყელოში თავჩარგული
ხშირ თოვაში მიირწევა.

მეჯუდის ნაპირთან
ანდრო სუხიშვილს

მეჯუდის ნაპირთან, ახლოს,
პოეტი, გლეხკაცი სახლობს.

საწერი მაგიდა უხმობს,
და ისიც უჩუმრად, უხმოდ,
აუწევს ჩაწეულ ლამპას
და ფურცელს სტრიქონით ლამბავს.

სამშობლოს სხეული ამდენს —
ვით უძლებს მძარცველს და მიკრობს —
სიტყვასაც ცრემლები დასდის —
ჯვარცმულ ქვეყანაზე ფიქრობს.

გაღმა თუ გამოღმა სოფლის
სხვას ვის ეღვიძება ამ დროს —
ხნულივით გავლებულ სტრიქონს
დაჰყურებს ბატონი ანდრო...

მეჯუდის ნაპირთან, ახლოს,
პოეტი-გლეხკაცი სახლობს.

* * *
მეპურის ვალი მაქვს,
მერძევის ვალი.
სანტექნიკს რა მივცე?
ჩამოდის წყალი.

ვწვები და სამშობლო
თავის ვალს მახსენებს,
ვაგდივარ გულაღმა,
ცრემლებით მთვრალი.

მეპურის ვალი მაქვს,
მერძევის ვალი...

კალენდარი

სიყვარულის დღე —
თაფლის წვეთი
სიძულვილის საუკუნეში.

ავტოპორტრეტის მაგიერ

ოთახის სიჩუმე.
და ამ სიჩუმეში მე,
როგორც ჩარჩოში სურათი,
სურათი — მოწყენილი პეიზაჟი,
თვალები — სევდით გაჭვარტლული საბუხრეები,
შუბლი — ნაოჭების ეროზიით მომზღვლეული ფერდობი,
უპეებთან ჩამოგრძელებული ზანტი წურბელები
და ტუჩის კიდეებში ჩაგუბებული
მწარე ღიმილი,
როგორც ნაჩლიქარში ჩამდგარი
ამღვრეული, დუბელა წვიმის წყალი
(რა გულსაკლავი პეიზაჟია,
სადმე ჩიტმა მაინც შეიფრთხიალოს!)...

ესკიზი ომის თემაზე

თვითმფრინავებო, გამორთეთ ძრავები —
ნაომარი ქალაქის თავზე
ჩუმად იფრინეთ.

იქ, ქვემოთ,
შიშით გათეთრებულ, ჭაღარა ბავშვებს
ძილშიც აცვივათ
დაფშვნილი შუშის ნამსხვრევები.

(არ გამოსულა მძიმე კომადან,
ვერ გამოვიდა მძიმე შოკიდან,
ტვინის ბათქაში, სისხლის პომადა,
სახსოვრად შერჩათ კედლებს ომიდან)

ისე, თქვენც კარგი ჩიტები ხართ,
პრეზიდენტებო,
სენატორებო,
დამკვირვებლებო
და ა.შ.,
რომ დაჟივჟივებთ დაბომბილი ქალაქის თავზე...

ჩუმად-მეთქი,
ომი დამთავრდა —
ჩვენს სიზმრებში გრძელდება ომი...

* * *
სად არის ის ხალხი? —
მიწამ პირი დააღო და ჩაილალნენ!
ასე ზვავები ჩაიქცევიან ნაპრალებში,
ასე ქვევრებში დურდოდ და კლერტად
ჩაინურება წლის მოსავალი...

სად არის ქსერქსეს ლაშქარი? —
მეფემ წინასწარ რომ გამოიტირა,
ან რომაული ლეგიონები,
ანდა ძლევამოსილი არმადა —
მარტოობისკენ მიმავალ მოლაშქრეთა მწკრივები,
სად არის-მეთქი?..

მიწამ ჩაიჯიბა ადამიანთა მილიარდები,
მაგრამ აქამდე მაინც ვერ გაძღა...

შენ კი, კაცობრიობის წარსული,
სათამაშოებივით დაგიყარეს,
სიკვდილამდე თავი რომ გაირთო...

როგორც არ უნდა აგიცრუონ გული ცისქვეშეთზე,
სიცოცხლე მაინც არ მოგყირჭდება,
არ წამოგცდება:
— მეყო, წავედი!

ყველაფერი ზეპირად იცი —
ეს ბალახი, ფესვებიანად რომ ამოაგდე,
ბოლოს მაინც ზედ გადაგივლის.
ბოლოს მაინც ჩაინთქმები ხმათა გუგუნში, —
უსასრულო ჭაში ჩაქანებული კენჭი,
ვიღაცამ ფეხისწვერი რომ წაჰკრა და
თავდაღმართში გადაუშვა...

ნეტავი ოდესმე ვინმე თუ მოვა და
თუ იკითხავს:
— სად არის ის კენჭი?...

* * *

ნამდვილი შემოდგომაა,
ნამდვილი ნოემბერი.
ნამდვილი რთვილი მოვიდა,
ნამდვილი თოვლის ფერი.

ჩირგვებში ჩიტი-ჩიორა,
ბოლო სიმღერას მღერის.

* * *

ბოლოს და ბოლოს ვიღაც ხომ იტყვის:
— ვიდრე ყინულის საპატარძლოს ჩაეხუტება,
მოართვით მეფეს შავი ცხენი,
რომ ამ აღმართზე,
მათრახის კვნესით ააგელვოს...

ჩემს ბოლო დღეს,
ყველაზე ლამაზი რომ არ ვიყო,
ვაითუ სიკვდილმა დამიწუნოს...

აგვისტოს იავნანა

სუ, პატარავ, სუ,
თორემ მოვა „სუ“.

ისე აკრიახდება,
შეგვიგუბებს სულს —
ჩრდილოეთის „ჯუჯულას“
ჩვენი მიწა სურს.

ამიტომაც „კრუხი“
მოქრის ბაქი-ბუქით.

მტრის სახლსა და მტრის კარს,
სადაც დასცხებს ნისკარტს —

მოაქვს „კვერცხი“ პილოტს,
ათჯერ ასი კილო.

სუ, პატარავ,
„სუს“
მტირალები სძულს.

გახევს ღრუბლის თექას
სისხლიანი ჩექმა
და ბოროტი კვრეცხი
სიკვდილს გამოჩეკავს.

სუ, პატარავ, სუ,
თორემ მოვა „სუ“.

მოვა ორი ჯუჯა,
თვალს თუ არ მოხუჭავ.

ომი უნდათ ჯუჯებს,
სისხლისმღვრელი ომი.
ემონებათ გნომებს
მახინჯების ტომი.

ავბედითო „კრუხო“,
ვისი სული გსურს...
სუ, პატარავ, სუ...
„სუ“ მოფრინავს, „სუ“...

გიტარა

მე ამ სუფრიდან უნდა გავიდე,
გამოვეთხოვო მდიდრებს, ღარიბებს.

უნდა გავიდე, ვიდრე დრო არის,
ისევ შიშველი და უპოვარი.

რაც გამაჩნია, სულ დავარიგებ, —
მე ამ სუფრიდან უნდა გავიდე —

ჩემი დოვლათი ჩემი დარდია —
უნდა გავიღო, რაც მაბადია.

ამ საახალწლოდ უფრო უკეთეს
საჩუქარს თქვენს თავს რას გაუკეთებთ:

აბა, აქეთკენ, მსურველი თუა,
ინებოს ჩემი ძვირფასი ჭკუა.

წაიღოს ცოდნა და მარიფათი
(მათგან მერგუნა ბევრი ხიფათი).

მიტევების და შენდობის ნიჭი
(აი, ვისგან მჭირს, რამე თუ მიჭირს).

ეჰ, მეგობრებიც გამიღარიბდნენ,
რამდენი წელი გადაღუნეს და —
სამასლაათოდ ცეცხლთან ჩარიგდნენ,
თან იფიცხებენ ლაჯებს ღუმელთან.

რაც ნახეს ან რაც დასიზმრებიათ,
დასხდნენ, გიტარის ჰანგზე ჰყვებიან.

რომ შეაკავოს, ვინ მოახერხებს,
აბა, ყბედობის აშლილ საღერღელს.

ზოგი შემოსეს,
ზოგსაც გახადეს,
ამბავ-ხაბარის დადგეს საპალნე,
გადაუკურთხეს მდიდარ ღატაკებს
და მწლარტე ღვინით კუჭს იკალავენ.

გახსენ, გიტარავ, დარდის საბადო,
შენ ერთმა მაინც არ გვიღალატო.

ჩვენი ქალაქის მთავარ მეკობრეს
ვუხსენეთ ბედის გამომჩხიბავი,
დედის ნამუსი,
მამის ზნეობა
და (უკაცრავად) ცოლის ნიფხავი.

სითბო ათასგვარ სურვილს აღვიძებს,
ზოგს ქალს ახსენებს, ზოგსაც ნაბიჭვრებს,

რომლებიც ასე ურცხვად მომრავლდნენ,
ვისაც შეცდომით ვარქმევთ „მომავლებს“...

ეჰ, ჩამოყაჭე, ჩემო გიტარა,
ამ ჩემმა საძმომ რაც გადიტანა.

მიდი, დროულად გული იჯერე,
ვიდრე მოგვკლავენ, ან დაგვიჭერენ.

დღეს ხომ არავინ აღარ კითხულობს,
მეთულუხჩეა თუ კირითხურო.

გინდ მტრედი იყავ,
გინდა — ჭილყვავი,
მთავარია თუ რამე გიჭყავის.

აბა, სხვა ჰანგი დასცხე, გიტარა,
ვინ შეგიძულა,
ვინ შეგიყვარა:

„ეს ქალბატონი, თუკი დამყვება,
აქეთ კუთხეში... თუნდაც ნახერხზე,
დედაც ვატირე სხვებზე ნაკლების,
რაღაცას, ალბათ, მეც მოვახერხებ...

(ნეტავ ამ ქოფაკს რა დაუშავა,
გაავებული მთვარეს რომ უღრენს),
მომეცით ნება,
ღამის მუშა ვარ —
რიქშად ჩავუდგე თქვენს ლამაზ მუხლებს“...

მიდი, გიტარა,
გიცნობ, ვინცა ხარ,
ამ საიდუმლოს არ შემინახავ.

მეც ავდგები და ქოფაკს ავუშვებ,
ნაშუაღამევს ან ნაშუადღეს,
გადავეშვები კუპრის აუზში,
თუ ერთხელ კიდევ ვიგრძნობ ჟრუანტელს...

აალაგებენ ვიდრე მაგიდებს,
მე ამ სუფრიდან უნდა გავიდე.

უნდა მოვცილდე ბოღმიან ბუნაგს,
ერთი ნამცეცი ნამუსი თუ მაქვს.
სადაც თამადას, აგვისტოს ბუღას,
სამშობლო მხოლოდ ჭიქაში უყვარს.

„აბა, დაუწი ლამპას, კრეტინო,
თუ არ გინდა რომ მოგაკეტინონ.

გატყავებულო ანაქრონიზმო,
გიჯობს, საფლავის მიწა მონიშნო.

საკმარისია, თავი დახარო,
მყისვე გეტყვიან, რომ მონა ხარო“...

მიდი, გიტარა,
მიდი, ლამაზო,
თუ გინდა ცრემლის ვერცხლით აგავსო:

„უადგილოა თქვენი მალაყი
და მეც ამაოდ ვთინეიჯერობ.
გაუყიდიათ ვიდრე ბალახიც,
ჩქარა, მწვანეზე გული ვიჯეროთ.

თუ შევეკვრები მწყალობელ ბანდას,
თუ ერთხელ ეშმას სული მივყიდე,
ყველა სადარდელს,
ფეხებზე, ანდა
არ გესწავლება, სად დავიკიდებ“...

მღერის გიტარა, ოხრავს გიტარა,
ხან ჯავრობს, ხანაც თავს იკატუნებს,
გულის ნაღველი რომ გამიქარვოს,
თვალს მიკრავს მორცხვად ძოწის საყურე...

ის მაინც მოდის, ძველი დარდებით,
შარშანდელით და შარშანწინდელით,
მოდის, ლამაზი ცის აღმართები
დაბურულია ღრუბლის ბინდებით.

სიზმარში მაინც,
მიდი, გიტარა,
გინდა მიტირე,
გინდა მიგლოვე,
მეც სადარდელმა გადამიტანა,
ყელი ჯავრებმა ამომიქოლეს...

რაც კი გამაჩნდა, სულ დავარიგე —
მე ამ სუფრიდან უნდა გავიდე.

შევრჩები მხოლოდ ბეხრეკა იმედს,
მანამდე, ვიდრე თავს მომაძულებს.
გრიგალი ვენებგადაჭრილ სიმებს —
გადუშხუილებს ქუჩებს მავთულებს.

გათავდა, ვეღარ გამოიდარებს,
გადაეფარა ჯანღი სიზმარეთს.
ახალწლის ღამეს მოკვდა გიტარა,
მეც იმ სიზმარში გარდავიცვალე.

მალე გამომცემლობა „საარი“ გამოსცემს გაგა ნახუცრიშვილის ჩანაწერებს სათაურით „სისულელის ტრაქტატი“. გთავაზობთ რამდენიმე ჩანახატს მომავალი წიგნიდან.

გაგა ნახუცრიშვილი

ფლორენციელი ბომჟი

05.04.2008 (ღამე)

ფლორენცია ზღაპრული ხიდების ქალაქია. სიზმარს ჰგავს... სიზმარს, რომელიც უსასრულოდ გინდა გაგრძელდეს. არასოდეს გაგელვიძოს.

„პიაცალე მიქელანჯელო“... თავად მიქელანჯელოს დაპროექტებული. კიბეს მაღლა მიუყვები და მხოლოდ ცა მოჩანს. გგონია, რომ ზეცაში მიემართები. მერე უცებ ფეხქვეშ მიწას შეიგრძნობ და მთელ ფლორენციას გადაჰყურებ.

***

ღია კაფეში ვიჯექი („პიაცალე მიქელანჯელოზე“ სულ ღია კაფეებია და დიდი მყუდრო ბაღი). იტალიურ ღვინოს ვაჭაშნიკებდი. მაისის შუადღე მოდიოდა. მყუდრო და თბილი.

უცებ ჩემსკენ ვიღაც უცნაური გარეგნობის კაცი გამოემართა. დიდი, გაბურძგნული ქერა წვერი ჰქონდა. ძველი, შელახული ჟილეტი ეცვა. ცალი ფეხი აკლდა, მაგრამ პროტეზს გასაოცრად მარჯვედ ხმარობდა. სულ კუნტრუშ-კუნტრუშით მოირბინა. ჩემს მაგიდასთან გაჩერდა და თვალი თვალში გამიყარა. კეთილი, ჭროღა თვალები მოუსვენრად უთამაშებდა. ორმოცდაათს გადაცილებული იქნებოდა. დაუვარცხნელი თმა წინ ოდნავ გასცვენოდა.

— გერმანელი ბრძანდებით? – მკითხა მორიდებით.

— არა, ბატონო, — ვუპასუხე გერმანულადვე. გერმანულ ენას იტალიურზე გაცილებით უკეთესად ვფლობ. გერმანულ საბავშვო ბაღში, ტანტე ლიდასთან ვთამაშობდი. მცირეხნით გერმანიაში ვსწავლობდი.

— საოცარია, ძალიან ჰგავხართ გერმანელს თქვენი წითური თმებით. მე გერმანელი ვარ, — სწრაფად ლაპარაკობდა.

— დაბრძანდი! – შევთავაზე მე.

ჩამოჯდა. ერთმანეთი გავიცანით. იცოდა საქართველო. სტალინი. ერთი მაგის მარაზმატიკი-მეთქი, – ვუთხარი.

— ეგ რუსია, რადგან რუსეთის იმპერიას ემსახურებოდა.

ვიციო, დამეთანხმა ღიმილით.

ხო, მე ჰანცი მქვია, — განაგრძო საუბარი, — „პიაცალე მიქელანჯელოზე“ ვცხოვრობ, ბომჟი ვარ! – სიტყვა „ბომჟი“ ძალიან ამაყად წარმოთქვა და ხმამაღლა გაიცინა.

— მაინც სად ცხოვრობთ? – დავეკითხე მე.

— აქვე, ბაღში... ზამთარ-ზაფხულ.

— მერე? ზამთარში არ გცივათ?

— არა, მაგარი საძილე მაქვს. მოდი, „შენობით“ ვილაპარაკოთ.

ჭიქა ღვინოზე დავპატიჟე. შავი ღვინო უყვარდა.

— მარტო შავ ღვინოს ვსვამ! – წარმოთქვა ისევ ამაყად.

ძალიან განათლებული კაცი გამოდგა. ჰესე, თომას მანი... „ტრამალის მგელი“ და „ბუდენბროკები“ მოსწონდა განსაკუთრებით. მერე თავისი ადგილ-სამყოფელი დამათვალიერებინა. მართლა მაგარი ზამთრის საძილე ჰქონდა. ფლორენციაში კი არა, ტუნდრაშიც არ შესცივდებოდა.

— მოდი, ქალაქში ჩავიდეთ და ვისადილოთ. ერთი კარგი, პატარა რესტორანია. ხშირად იქ ვსადილობ.

— კარგი აზრია, მეც მომშივდა, — დავეთანხმე მეც.

— გემრიელი საჭმელია, კარგი შავი ღვინო და ძვირიც არ არის.

***

რესტორანში ჰანცს კაიზერივით დახვდნენ. მეპატრონეც კი გამოვიდა და გამეცნო. მართლაც გემრიელი საჭმელი ჰქონდათ და ჩინებული ღვინო. ერთი დოქი ჩავცალეთ და მეორეზე გადავედით.

— რით არსებობ? – ვკითხე მე.

— ნატურა ვარ...

— ნატურა?!

— ხო, რა გაგიკვირდა. სამხატვრო აკადემიის სტუდენტები მხატავენ. კარგი გარეგნობის ხალხი ბევრია... ჩემნაირი სახე კი იშვიათი...

— ხო, ასეა, — დავეთანხმე. სიმართლეს ღაღადებდა.

— მილიონ ლირას (ათასი დოლარი იყო) მიხდიან. სავსებით მყოფნის. ახალგაზრდობისას მეც ვხატავდი.

— მერე? რატომ დაანებე თავი?

— დიდი ხანია, არაფერი დამიხატავს, — ხელი ჩაიქნია, — აღარ მინდა. ისე, შენ აქ რას საქმიანობ?

— ლეოპარდის ვთარგმნი...

— ოოო, ჯაკომო ლეოპარდი!.. იტალიური რომანტიზმის მამა, — წარმოთქვა ღიმილით.

— ასეა...

— ხო, შენი საქმეა. ხომ მითხარი, რომ ლექსებს წერ!

— ხვალ დილით მივდივარ რეკანატიში...

— მის მშობლიურ ქალაქში, არა?

— ულამაზესი ქალაქია, მაგრამ ძალიან პატარა. საქმე რომ არ მქონდეს...

— აქ გირჩევნია არა? – წინადადება არ დამამთავრებინა, — მე გერმანელი არ ვარ. ფლორენციელი ვარ.

— გატყობ, მაინც გაქვს ნოსტალგია.

— რაზე შემატყვე?

— გერმანელი გეგონე. ამიტომაც მოხვედი და გამეცანი.

თავი გააქნია.

— ჰესე, მანი!..

— არა, გერმანიაში აღარასდროს დავბრუნდები. არც სხვა ქვეყანაში, არც სხვა ქალაქში წავალ საცხოვრებლად. ფლორენციაში მინდა მოვკვდე. ზაფხულის ღამეს, როცა ცაზე უთვალავი ვარსკვლავი იკაშკაშებს... ვიცი, ასე მოხდება.

***

უკვე მესამე დოქს ვსვამდით. გვარიანად შევზარხოშდით.

— რატომღაც მგონია, რომ ბავშვობიდან გიცნობ, — მითხრა უეცრად და მე მისი სულისშემძვრელი თავგადასავალი მოვისმინე.

***

მიუნხენის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა. ნიჭიერ და თვითმყოფად მხატვრად მიიჩნევდნენ. ყველასგან გამორჩეული სტილი ჰქონდა.

— იცი, როგორ ვხატავდი? აი, იდიოტები რომ „პრიმიტივიზმს“ უწოდებენ, — ასე განმიმარტა.

გიტარისტი გოგო უყვარდა. გერმანიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში კონცერტი ჰქონდა. უეცრად, სასტუმროს ნომერში გულის შეტევით გარდაიცვალა... ზაფხულის ღამით. ექიმებმა გულის რაღაც ფარული, იშვიათი დაავადება დაუდგინეს, თუმცა კონკრეტული ვერაფერი თქვეს.

— ვწუხვარ, მაგრამ ხდება ხოლმე, მითხრა ექიმმა. დიდი ნუგეშია, — წაიბუტბუტა თავისთვის.

თურმე მარტო რომ არ ყოფილიყო და ვინმეს სასწრაფოსთვის დროულად ეხმო, გადარჩებოდა. ასე უთქვამთ ექიმებს. უნდა გაჰყოლოდა? რატომ არ გაჰყვა? საქმე ჰქონდა, შეკვეთა. რაღაც ოხრობა თუ ჯანდაბა უნდა დაეხატა.

ჰანცმა აკადემია მიატოვა. ხატვაზე გული აიცრუა. მოგზაურობდა. შავ სამუშაოს ასრულებდა და ბევრს სვამდა. მაშინ ჯერ კიდევ ჯანი ერჩოდა. ფეხი ნეაპოლში დაკარგა. ჩხუბში დაჭრეს. ცალფეხასაც არ შეუწყვეტია მოგზაურობა. ერთ ადგილას ვერ გაჩერდა. ბინებს აპირკეთებდა, არემონტებდა. ასე მთელი ევროპა მოიარა და ბოლოს ფლორენციაში, „პიაცალე მიქელანჯელოს“ ბაღში დასახლდა.

— უკვე ათი წელია, რაც აქ ვცხოვრობ. არა, სხვაგან არ წავალ, — მითხრა და თვალი მომარიდა.

გოგოს ემა ერქვა. ფოტოსურათიც მანახა. სურათიდან ჭორფლიანი გოგო მიმზერდა. ცისფერი თვალებით. შავ-თეთრ სურათზეც ჩანდა, რომ ცისფერი, ძალიან ცისფერი თვალები ჰქონდა.

— ყოველ საღამოს, როცა ფლორენციაში ვსეირნობ, ემა მიბრუნდება. ერთად დავეხეტებით. ის სულ არ შეცვლილა. ისევ პატარა, ჭორფლიანი, ცისფერთვალება გოგონაა. ხიდიდან ხიდზე გადავდივართ, ჩამავალი მზით შეფერილ მდინარეს ვუყურებთ. თანდათან ღამდება. ვარსკვლავებისა და მთვარის შუქს ირეკლავს მდინარე. მერე მაღლა, ცისკენ ვიყურებით. მთვარესა და ვარსკვლავებს იქით უსასრულობას ვუყურებთ. ხანდახან ვსაუბრობთ კიდევაც. ღამღამობით, როცა არ მეძინება, „პიაცალე მიქელანჯელოდან“ ქალაქს გადავყურებ. გიტარის ხმები მესმის. ემა უკრავს. ხიდის მოაჯირზე ჩამომჯდარი. არა, არ გავგიჟებულვარ. მარტო ემას სიახლოვეს ვგრძნობ. ფლორენციაში დამიბრუნდა...

***

ჰანცმა ფულის გადახდა არ დამანება. მეჭიდავა და თავისი გაიტანა. თვითონ გადაიხადა. ისე, რა განსხვავებაა ფლორენციელ ბომჟსა და პოსტსაბჭოთა პოეტს შორის?

— ხო, მეორედ რომ ჩამოხვალ, ფიროსმანის ალბომი ჩამომიტანე. ძალიან დავინტერესდი...

— აუცილებლად. იქნებ ხატვაც დაიწყო ისევ, არა?

— არა, არა! – ხელი ჩაიქნია, — მართლა აღარ ღირს.

— თუ გინდა, თბილისში ჩავალ თუ არა, გამოგიგზავნი. ვინმე შენი ახლობლის მისამართი მომეცი.

— არა, მინდა რომ შენ დაბრუნდე.

— კარგი, აუცილებლად დავბრუნდები...

— ხომ გახსოვს ჩემი მისამართი?

— რა თქმა უნდა, „პიაცალე მიქელანჯელო“!

გადამეხვია. ვატყობდი, რომ ცრემლს ძლივს იკავებდა. არ უტირია. ჰანცი კაცი იყო...

***

ღამით ოთახში ვერ გავჩერდი. გარეთ გამოვედი და მთელი ღამე ერთ-ერთ ხიდზე გადავყურებდი მდინარეს, რომელიც თავისთვის, ჩუმად მიედინებოდა. ასეთი ქალაქია ფლორენცია. რაღაც დაკარგულს გიბრუნებს. იმას, რაც ყველაზე მეტად გენატრება.

ექსკურსია

10.04.2008 (საღამო)

თურმე გამეღვიძა. მე კი მეგონა, რომ მეძინა. რატომღაც, ბოლო დროს, სულ ჩემი ოთახი მესიზმრება. სიზმარშიც აღარ მყოფნიდა ფანტაზია. ასე იცის გაზეთში მუშაობამ. ყოველდღე იძულებითი წერილების წერამ.

***

ოქტომბრის დილა იყო. გამომცემელს ყველაფერი ვუთხარი, რასაც მასზე ვფიქრობდი და უმუშევარი დავრჩი. ყოველდღიურ გაზეთში ვმუშაობდი. ვწერდი კულტურაზე და სპორტზე. თან ნელ-ნელა ვტვინდებოდი. როგორ შეიძლება ყოველდღე რაღაც წერო. მარაზმია. სულით ჟურნალისტი ვერ გამოვდექი. საუკეთესო წერილი კი გაბრიელა საბატინის მივუძღვენი. გამოვიტირე, როცა ჩოგბურთს თავი დაანება. მგონი, მხოლოდ მაშინ ვიყავი გულწრფელი მთელი ჩემი ათწლიანი ჟურნალისტური კარიერის განმავლობაში. მიყვარდა გაბრიელა!.. ერთხელ დამესიზმრა კიდეც. ხელში ჩოგანი ეჭირა და მრგვალ ბაღთან იდგა. მინდოდა მასთან მივსულიყავი და ამ დროს გამეღვიძა. ასეთი უიღბლო ვარ.

***

რა კარგი იყო, რომ არსად მეჩქარებოდა. სულ დამვიწყებია ეს გრძნობა. ხეტიალი და უსაქმურობით ტკბობა მინდოდა. დიადი რამეა უსაქმურობა.

***

ჯერჯერობით მარტო ვიყავი. მარტო კაცი ხეტიალშიც ბრალიაო, ვინმესთვის უნდა დამერეკა. წიგნაკს ანბანის მიხედვით ვფურცლავდი.

***

— აქვს მკაცრი სიმეტრიით დალაგებული ნაკვთები. სევდიანად იმზირება, მოდური სათვალიდან მელანქოლიურად იღიმის, თითქოს მთელი სამყარო ეცოდება. ეგზისტენციალურ კრიზისზე, ფროიდის „ფსიქოანალიზზე“ და გაურკვეველი ფილოსოფოსების ესეებზე უყვარს ლაპარაკი.

არა, არა... ჩემი პირველი თავისუფალი დღე იყო!

— აქვს გრძელი ფეხები, „წითელქუდას“ მგელივით დიდი პირი და სულ იცინის. ზედმეტად მხიარულია. ისე ძალიან ლამაზი გოგოა, სრულიად სხვანაირი გარეგნობის. ძალიან უყვარს სიტყვა — „ნუ“:

„ნუ, შენ ისევ მოწყენილი ხარ!..“

„ნუ, შენ ვერავინ გაგამხიარულებს!..“

„ნუ, შენ არაფერი არ გინდა!..“

***

„ნუ დღეს შენი თავი არ მაქვს!.. ყირამალას ვერ გაგიჭიმავ, მაპატიე!...“

ბოლოს და ბოლოს, ჩემი პირველი თავისუფალი დღე იყო.

C, D, E, F… N!

***

— რაღაცით გაბრიელას ვამსგავსებ, თუმცა არც შავგვრემანი არ არის, არც ჩოგბურთს თამაშობს. თხილამურებზე დგას კარგად. გუდაურში გავიცანი. მივხვდი, რომ მისი ნახვა მინდოდა. ერთად ვიხეტიალებდით.

***

— გამარჯობა, უძვირფასესო და მშვენიერო ქალბატონო. თქვენი გაცნობა თუ შეიძლება?

— რაა? – იცინის, – დღეს არ მუშაობ?

— წამოვედი, ვეჩხუბე იმ იდიოტს!..

— ვინ იდიოტს?

— გამომცემელს.

— ცუდია... უმუშევარი დარჩი?..

— ცუდი კი არა, გადასარევია! თავისუფალი ვარ. პროლეტარივით, ბორკილების მეტს არაფერს ვკარგავ.

— და რევოლუციისათვის ემზადები, არა?

— რევოლუციავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ! აი, ასეთი მომწონხარ. მოდი, ექსკურსიაზე წავიდეთ.

— ლექციები რო მაქვს?

— ერთი დღე გააცდინე... რა მოხდა.

— ხო, სად წავიდეთ?

— რა თქმა უნდა, ქალაქ თბილისში.

— ?

— რატომ გაჩუმდი?.. იცნობ თბილისს?

— აბა რა, თანაც ახლოს...

— არა, ჩემსავით არ იცნობ. ბოლოს და ბოლოს, შენზე ათი წლით უფროსი ვარ.

— ეხ, ბებერი პროლეტარი...

— მე ბებერი გიდი ვარ, ჩემი სულიერი მოწოდება გიდობაა და არა ჟურნალისტობა.

— მართლა მაგარი გიდი ხარ?

— კიდევ ეჭვი გეპარება?

— ისე რა...

— მე მსოფლიოში ყველაზე ერუდირებული გიდი ვარ. საზრიანი, ენერგიული და მხიარული. მე გიდთა გიდი ვარ. მისი უგიდესობა. იცოდე, ნახევარ საათში მრგვალ ბაღთან გელოდები. ზურგჩანთა არ დაგავიწყდეს!

ისევ გაეცინა. ვიცოდი, რომ დავითანხმებდი.

***

მრგვალ ბაღთან ვიდექი და ველოდებოდი. „პატარა უფლისწულის“ შადრევანი ისევ გაეძარცვათ, მხოლოდ უფლისწული დაეტოვებინათ. მარტო იდგა მოწყენილი.

N-ი მალე მოვიდა. ზურგჩანთაც მართლა გაეკეთებინა.

— რა გაქვს ზურგჩანთაში?

— ვაშლები...

— სამოთხის?

— როგორი ინტელექტუალური იუმორი გაქვს.

— ხო, „გაზეტჩიკობისას დავაპრიკოლე!..“

— ისე, გაარტყი. გველმა მაჩუქა...

— გველმა?.. კარგი, მაშინ ჯერ ზოოპარკი დავათვალიეროთ.

— ზოოპარკი?.. რატომ?

— ამ ქალაქში ყველაზე წესიერად ცხოველები იქცევიან.

— გალიაში არიან და რა ჰქნან?

— გარეთაც ყველაზე წესიერად მოიქცევიან.

წავედით.

***

თეთრი დათვი, რომელიც ჭუჭყისაგან გაშავებულა, უფრო მურა დათვს ჰგავდა. ზღვის ლომები მდორე, ბინძურ წყალში პირს უღონოდ აღებდნენ, თითქოს სუფთა ჰაერსა და წყალს ითხოვდნენ.

მაიმუნების გალიასთან შევჩერდით. გორილა ჯიქურ გვიმტკიცებდა ევოლუციის კანონს. **N**-მა ვაშლი მისცა. ვაკვირდებოდი. ჭკვიანურად და გემრიელად შეექცეოდა.

— ბევრ ადამიანზე გონიერია, — ვუთხარი **N**-ს.

— შენს გამომცემელზეც?

— გაცილებით...

— მწარე ენა გაქვს.

— ხანდახან სიმართლეც მწარეა.

— როდის მიხვდი?

— როცა ბანალურობა ვაღიარე. მიხვდი?

— კი, — ჩაეცინა და თავი დამიქნია.

გველი პატარა ტაშტში საცოდავად მოკალათებულიყო, თითქოს შეწვას უპირებდნენ. ვიღაც ასაკოვანი ქალი იდგა და საშინლად წყევლიდა. გველს არ ესმოდა ან ესმოდა. რა უნდა გაეკეთებინა რომც გაეგო. თავისთვის ჩუმად იტანჯებოდა.

სევდიანი სანახავი იყო ჩვენი ზოოპარკი, მაგრამ მაინც ღირდა დათვალიერება. ცხოველები ყოველთვის რაღაცნაირად მათბობენ, თუნდაც საზიზღარ გალიებში იყვნენ გამომწყვდეულები. ჩვენსავით არ ბოროტდებიან და არ თვალთმაქცობენ. ჩემი სიბრძნე - ს გავუზიარე. დამეთანხმა და ნაყინი ვუყიდე. ნაყინმა გაზაფხულის სურნელი მოიტანა.

***

„ვარაზისხევში“ ღია კაფეში დავსხედით. ოქტომბრის მზე ანათებდა. თბილი და ხავერდოვანი. სოსისის სუნი, ლუდი, სტუდენტობა... გვიყვარდა ეს კაფე. უნივერსიტეტთან ახლოს იყო და ჩვენი იყო. მხოლოდ ჩვენი...

ორი კათხა ლუდი და სოსისი შევუკვეთე.

— მაშინ მაინც სხვა იყო, სხვა გემო ჰქონდა.

— რა გინდა? ძალიან გემრიელია!..

— ისე რა, ჩემი სტუდენტობა გამახსენდა...

— ააა, რაღა დროს შენი სტუდენტობაა, — მითხრა ღიმილით, — უკვე ოცდამეერთე საუკუნე დაიწყო.

ახალი საუკუნის პირველი წელი სრულ-

დებოდა. რა მაჟორულად ჟღერდა ეს 2001! თუმცა ჯერ სრულიად ვერ ვგრძნობდი ახალი საუკუნის დასაწყისს. 11 სექტემბრის ტრაგედია? ვის უნდა ასეთი საუკუნე?! მაშინ სჯობს სრულიად გაქრეს, გაუჩინარდეს, არც დაიწყოს და არც დასრულდეს.

და მე? მე ვინ ვიყავი? 30 წლის იდიოტი. არეული წარსულითა და ბუნდოვანი მომავლით.

— ხო, — გამეცინა, — უკვე მგონი ათი წელი გავიდა, რაც უნივერსიტეტი დავამთავრე. ხანდახან მეჩვენება, რომ ეს ყველაფერი გუშინ იყო, ხან კი ვფიქრობ, რომ მთელი საუკუნეა გასული – სტუდენტობა არ შემარგეს.

— გეხუმრე, — ისევ გაიცინა, — რა დაგემართა, მთელი ცხოვრება წინ არის!.. სულ სტუდენტი ბიჭი ხომ არ იქნები?

— აღარც მინდა. უბრალოდ მენატრება...

სოსისს ვჭამდით და ლუდს ვაყოლებდით. **N**-ს თვალებში შევხედე და გუნება გამომიკეთდა. შავი, ეპოქალური ანეგდოტი მოვუყევი და გულიანად გაეცინა. უნდა შევგუებოდი, რომ სტუდენტობის გემო და სუნი აღარასდროს დაბრუნდებოდა...

***

„ვერა“... ბარნოვის ქუჩა... 53-ე სკოლა. ყველაფერი იცვლებოდა, ახალ სახლებს აშენებდნენ, მაღალს, უფორმოს და უშნოს. მტვერი, ნგრევა... თითქოს ბავშვობას მინგრევდნენ, ცვლიდნენ რაღაც უსახური შენობებით, მინდოდა მძიმე ფიქრები მომეშორებინა. **N**-ი არ შემეწუხებინა, რომელიც რაღაცას მიამბობდა. მგონი, არქიტექტურაზე. არქიტექტურულზე სწავლობდა. გავითიშე და არ ვუსმენდი. მექანიკურად ვუქნევდი თავს. მხოლოდ მისი ხმა ჩამესმოდა და მსიამოვნებდა.

***

„ვერის ბაღში“ ვსეირნობდით. შუადღის მზე, ფერადი ბურთი, ბავშვები... სკამებზე მოხუცები ისხდნენ. სახეზე შემშრალი ღიმილი, მძიმე დროის შედეგი, უტვინობის, გაუმაძღრობის და გულგრილობის...

ლურჯი მონასტერი, სანთლების შუქი და სიჩუმე.

გარეთ ისევ მზე და **N**-ის თვალები.

— რა ფერის თვალები გაქვს? – ვკითხე - ს.

— ჭრელი! – მიპასუხა სიცილით.

— არა, ფერადი...

***

„მუშტაიდის ბაღი“... ფერდაკარგული ნავები დაბინძურებულ წყალში ტივტივებენ.

ვიხსენებდი ფერად ნავებს, წყალსაც, როგორც ოკეანეს... მატარებელს... ჩონჩხების გვირაბში. შიში, ბავშური შიში, შიშის ილუზია!..

***

ჩვენი სტადიონი. დადუმებული და დაღონებული. თითქოს უნდა ისევ დაგვიძახოს, მაგრამ ძალა და ხალისი აღარ ყოფნის.

***

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი, ძლიერი „დინამო“, აბონემენტი, თამაშს არ ვაცდენდით! ერთხელ, მე და მამაჩემი პირდაპირ მეორე ტაიმზე მივედით. ხაშმში ვიყავით და დაგვაგვიანდა. სტადიონზე ფეხი შევდგით თუ არა, ბურთიც გავიტანეთ. მოვიგეთ. ის წამი და სიხარული არასოდეს დამავიწყდება. **N**-ს ვეუბნები, რომ მთავარია გინდოდეს და მოიგებ. მხიარული სიცილით მეთანხმება...

***

მტკვარს გადავსცქეროდით. ჭუჭყისგან იხრჩობოდა. დინებასაც შესწყვეტდა, მისი ნება რომ ყოფილიყო. კლდეზე დაკიდებული სახლები, აივნები... ეს მაინც შემორჩა, ჩვენს უტვინობას უძლებდა და უძლებს...

***

შარდენი... ულამაზესი, უძველესი და მყუდრო ქუჩა. სნობიზმისა და „მარიაჟის“ ცენტრად გადაქცეული.

— აქ არ მოვდივარ, ნასვამი თუ მოვხვდები შემთხვევით, — ვუთხარი **N**-ს.

— მეც... იშვიათად, — დამეთანხმა **N**-ი.

ასეა, ამ ადგილას ყოველთვის სიყალბის, ხელოვნურობის და ნარცისიზმის პარადს მართავენ. ასეა, ყოველ საღამოს.

— ჯერ ბევრი ხალხი არ არის, შეგვიძლია დავსხდეთ, ყავა დავლიოთ...

— სიამოვნებით...

დავსხედით და ყავა შევუკვეთე.

— მაინც რატომ წამოხვედი?

— ვწერდი ამინდის პროგნოზს, ნეკროლოგებს, ჰოროსკოპს.

— ვა, ვარსკვლავებიც დათვალე?

— ისე რა... თხის რქა თუ ლომს... შეიძლება ქალწულმაც ქალწულობა დაკარგოს.

— სულ ეგ არის?

— კი, მერე მერწყულიც აღიგზნება...

ყავა მოიტანეს და მეც ის შავი, ეპოქალური ანეგდოტი მოვუყევი.

***

საღამო... მუქი ლურჯი ცა, მთაწმინდის და სოლოლაკის ძველი, ვიწრო, დახვეული ქუჩები. მყუდრო, სადა და წყნარი:

ღამე ახლოვდებოდა.

***

მთელი ღამე ვისეირნეთ. სახლშიც დარეკა, რომ დაქალთან რჩება. ოჰ, ეს დაქალები.

შემოდგომის მრგვალი, თეთრი მთვარე, ჩაბნელებული, ალაგ-ალაგ სუსტად განათებული ქუჩები, საკუთარი ნაბიჯების ხმა და უშინაარსო საუბარი. როცა უბრალოდ ლაპარაკობ, რომ არ ჩაგეძინოს. მერე ძილის შეგრძნება თავისით ქრება, მეორე სუნთქვა გეხსნება და გინდება უთვალავი ღამე გაათენო.

***

მზის ამოსვლას „მამადავითზე“ შევხვდით. ზანტად და თან მსუბუქად ამოდიოდა მზე. თბილისის ბუნდოვან გამჭირვალებას ანათებდა სხივები. სიმსუბუქითა და უცნაური სიფრთხილით. **N**-ს ააკანკალა უძილობისაგან. ჩემი ქურთუკი მოვაცვი და მივეკარი. მზის სხივებში კი ნელ-ნელა ჩვენი ქალაქი იკვეთებოდა. ჩვენს მიერ დამახინჯებული და შეურაცხყოფილი, მაგრამ მაინც ღამაზი, ამომავალი მზით უჩვეულოდ განათებული და უცნაურად ფერადი.

მომეჩვენა, რომ **N**-მა წამიყვანა ექსკურსიაზე. მე კი არა, **N**-მა გამასეირნა და უაზრო, მძიმე ფიქრები მომაშორა. უძილობისაგან მაგრად მივიხუტე, რადგან მზის ამოსვლა მაჩუქა და სინათლესთან დამაბრუნა. მერე ისევ მოვუყევი შავი, ეპოქალური ანეგდოტი. განთიადსაც **N**-ის სიცილი უხდებოდა...

***

აღარაფერს ვნაღვლობდი. ყველა შემიყვარდა. ჩემი გამომცემელიც. თუმცა გაზეთში აღარ დავბრუნებულვარ. ვიგრძენი, რომ საკუთარი თავი ვიპოვე. მთელი ცხოვრება წინ იყო...

HAIR

02.04.2008 (ღამე)

ის საღამო ახლაც გუშინდელ დღესავით მახსოვს. არ ვიცი, რატომ. რაც მე და ხულიგანას (მიშიკო ქორიძეს) დრო გვაქვს გატარებული. მაგრამ ის უაზრო, მაზალო, „ფართი“ გონებიდან არ იშლება. თანაც ძალიან თბილად მახსენდება. თავისებურად სასაცილო იყო და იმიტომ.

***

ხულიგანას გოგო მოეწონა, რომელმაც საკუთარ სახლში ამ უცნაურ წვეულებაზე დაგვპატიჟა. კარგი გარეგნობის, ნორმალური გოგო ჩანდა...

***

დიდი ოთახი... სიგარეტის კვამლით გაბუღული, შავი ღვინო, „შამპანური“, ჩქარი, გაურკვეველი მიმდინარეობის მუსიკა. გოგოები მოკლე კაბებში ვითომ სექსუალურად ირხეოდნენ, ტანს მუსიკის რიტმს აყოლებდნენ, გაუგებრად მეტყველებდნენ და უაზროდ კისკისებდნენ. კარგი შესახედაობისა კი იყვნენ და გაცილებდით უფრო ლამაზები იქნებოდნენ, ადამიანურად რომ მოქცეულიყვნენ.

„ბრიოლინ-რეიბანებიანი“ ბიჭები... „პოლუდერსკები“, „პოლუშნირები“, ვერ გავიგე.

ჩვენი მასპინძელი, ნორმალური გოგო, ყურადღებას არ გვაქცევდა. თავისთვის დაფარფატებდა სტუმრებს შორის.

— მაგარ პონტში გაგჩითე, — მითხრა ხულიგანამ.

— დაიკიდე, უარესიც ხდება...

***

კუთხეში ვიდექი განმარტოებით და შავ ღვინოს ვსვამდი. სამწუხაროდ, სრულიად ფხიზელი ვიყავი. ერთი გოგო მომიახლოვდა. უჩვეულოდ ლამაზი გარეგნობის.

— თქვენ წერთ, არა? – მკითხა მორიდებით. ძალიან ორიგინალური სახე და ტანი ჰქონდა, „მოდილიანის გოგოს“ ჰგავდა.

— ვჯღაბნი ჩემთვის, თქვენობით ნუ მელაპარაკები, — ვთხოვე და გავუღიმე.

ცოტა დაიბნა, აღარ იცოდა, რა ეთქვა.

— იცი, კაფკას ვკითხულობ, — მითხრა მერე (მაშინ კაფკა იყო მოდაში).

— მოგწონს?

— კი, მაგრამ ცოტა მჟავე ხასიათზე მაყენებს.

— სიმჟავეს ყურადღებას ნუ მიაქცევ. ბოლოს ყველა კარგი წიგნი სინათლეს გიტოვებს... ხედავ? როგორი ბრძენი ვარ.

გულით გაიცინა. მომეწონა მისი სიცილი. „რა უნდა ამათთან“, — გავიფიქრე ჩემთვის.

ივნისის თვე იწურებოდა. ფანჯრები ღია იყო, მაგრამ მაინც საშინლად ცხელოდა. ვიგრძენი, რომ სული მეხუთებოდა.

— იქნებ ცოტა ხნით ჰაერზე გაგვესეირნა...

— იცი, მეც მეზარება აქ ყოფნა, მაგრამ მეგობრები არიან და ნასვლა მერიდება.

— ჩვენც მალე დავბრუნდეთ.

— სხვა დროს იყოს...

— იყოს...

ისევ გაჩუმდა. აქეთ-იქით იყურებოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა. მერე ხელჩანთიდან კალმისტარი და ფურცელი ამოიღო.

— ხო, მეც ვჯღაბნი, — ოდნავ გაწითლდა, — მინდა წაგაკითხო.

ფურცელზე ტელეფონის ნომერი დაწერა და მომცა.

— დაგირეკავ, მე ვეძებ ტალანტებს!

ისევ გულით გაიცინა. როგორ მომწონდა მისი სიცილი. რაღაცნაირად თბილი და გულწრფელი. ფურცელი დავკეცე და ჯიბეში შევინახე.

— აუცილებლად დაგირეკავ.

***

ხულიგანა რბილ სავარძელში ჩაფლულიყო. რაღაც წიგნს კითხულობდა. თავზე დავადექი.

— რას კითხულობ ამ „ბარდაგში“?

— ბავშვობას ვიხსენებ...

წიგნს დავხედე.

— ვა, ბურატინო?! — გავიკვირვე, — სად გაჩითე?

— ხო იცი, რა მაგარი ვარ!..

— ვიცი, ვიცი... არ გავიდეთ?..

— მოიცა, დავამთავრებ...

ბოლომდე ჩაიკითხა.

***

წასვლისას ჩვენმა მასპინძელმა, ნორმალურმა გოგომ, იკადრა და კარამდე მიგვაცილა. ხულიგანამ „ბურატინო“ გაუწოდა.

— კინაღამ გამყვა...

— ააა, — დაიბნა, წიგნი გამოართვა, — თუ გინდა, გაჩუქებ.

— არა, მადლობთ, მე პინოქიო მირჩევნია...

— მართლა? – გაიცინა ნაძალადევად.

— ხო, მაგრამ მაინც რა ტრაკი ყოფილა ეს კარაბას ბარაბასი, — შეიცხადა ხმამაღლა ხულიგანამ. ისე რომ რაც შეიძლება მეტ სტუმარს გაეგო.

***

იმ საღამოს მერე ჩვენი მასპინძელი აღარ გვინახავს. რატომღაც არც „მოდილიანის გოგოსთვის“ დამირეკავს...

იქნებ ღირდა, რომ დამერეკა.

ჟულიენი და ნაგელი

04.04.2008 (საღამო)

სტენდალის „წითელი და შავი“ ზაფხულში წავიკითხე, როდესაც ყაზბეგში ვისვენებდი. წიგნმა ისე გამიტაცა, რომ ორი ღამე გამათენებინა. მაშინ შეყვარებული არ ვიყავი და მახსოვს, საოცრად მომინდა ვინმე შემყვარებოდა.

***

წიგნის კითხვა გამთენიისას დავამთავრე. ფანჯარა გავაღე და ღრმად შევისუნთქე მთის ჯანსაღი ჰაერი. მზე ამოსვლას ღამობდა. მყინვარწვერს ღრუბელი თავზე ქუდივით ეხურა, რომელიც ნელ-ნელა ვარდისფერდებოდა. თანდათან მწვერვალიც ვარდისფრად იღებებოდა. ასე თენდება ხოლმე ყაზბეგში...

***

ეჰ, ჟულიენ, ჟულიენ!.. შე ბონაპარტისტო რომანტიკოსო. როგორ მომანდომე იმ ღამით სიყვარული. ამას არასოდეს დაგივიწყებ.

***

კნუტ ჰამსუნის „მისტერიები“, ნაგელი: კეთილშობილი მეამბოხე, ტყუილით და ანგარებით გაჟღენთილი სამყაროს შეცვლის სურვილით ანთებული, შეყვარებული თვითმკვლელი. თვითმკვლელობით სცადა სამყაროს შეცვლა. რადგან საკუთარი ცხოვრების წესით ვერ შესძლო.

მაინც ვინ იყო ეს შეშლილი ნაგელი? იქნებ ახირებული კაცი, აკვიატებული იდეებით. სენტიმენტალური პიროვნება, რომელმაც ვიღაც ქალი ამოიჩემა და საკუთარ გრძნობასთან დამარცხდა?

არა მგონია. ასეთი ადამიანები თვითმკვლელობითაც რაღაცას ცვლიან. თუმცა თვითმკვლელობა სისულელეა. სისულელეა, თუ ცხოვრება არ მოგიშხამეს, სიცოცხლის გაგრძელების ყველა გზა არ ჩაგირაზეს, ყოფნა ჯოჯოხეთად არ გადაგიქციეს. ეს უკვე ტრაგედიაა. მაგრამ ნაგელმა თავი შეგნებულად მოიკლა. ის ძალიან ძლიერი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ასეთ უბადრუკ, დაჩაჩანაკებულ გარემოში ეცხოვრა.

***

ნაგელი 17 წლისამ გავიცანი. მაშინ, როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებდი. საკუთარი თავისა და გარე სამყაროს შეცნობას ვესწრაფოდი. მომნუსხა ამ უცნაურმა, ყველასგან განსხვავებულმა პიროვნებამ. უნებურად ვბაძავდი კიდევაც. ჩემი სულის ნაწილი გახდა. მინდოდა, ნაგელივით მებრძოლა ქვეყნიერების შესაცვლელად. ნაგელივით მყვარებოდა, ნაგელივით... კინაღამ ყვითელი პიჯაკი ჩავიცვი. კიდევ კარგი, მალე გადამიარა ამ გატაცებამ. სხვა საინტერესო წიგნებმა და ცხოვრების დინებამ გაიყოლა.

***

ხანდახან ახლაც მგონია, რომ მართლა არსებობდა. მგონია, რომ ცოცხალი ადამიანი იყო და არა ლიტერატურული პერსონაჟი. უახლოესი, უფროსი მეგობარი. თითქოს ხანდახან ბრუნდება და ჩვენს არეულ დედამიწაზე დააბიჯებს. საკუთარ ადგილს ისევ ვერ პოულობს. სიყვარულით სავსე, ყველასგან განსხვავებული, მარტოხელა მეამბოხე. ყვითელი პიჯაკით, განიერი მხრებითა და ნაღვლიანი თვალებით.

დასაწყისი № 9-20

სანამ შეკითხვა მივეცი ნათლიაჩემ გვრიტისას

მეთქი, უსმენ ამათ ლაპარაკებს ბიჭიკო მანთაშოვზე და მაინც ჩემ შეკითხვაზე ვფიქროფ, რო აზრები მაქ ამ ამბავზე და ისე, რო იმათ ვერ შეამჩნიეს. დასხმა-დასხმაში გვერძე ცარელა ჭიქა იყო და იმაშიც დავისხი და სადღეგძელო რო წამოვიდოდა, მე ორ ორს ვაძლევდი ჩუმათ.

ეგრე ვიცი ღვინოზე. კაროჩე ან ნიდაპოი მემართება, ან არადა, პროსტო ვიბერები, თუ ისეთი სმა არი იქ რო იყო, რო იმენა სმისთვის კი არა, პროსტო ლაპარაკისთვის და ღვინო რო პროსტო ეხმარება, რო აბა იმდენი ხანი ბესპონტა ხო არ იჯდებიან და ილაპარაკებენ. აბა დასალევი თუ არ არი, ამდენი ხანი იჯდენ და ილაპარაკონ, რაც არ გინდა ძველი ძმაკაცები იყვენ და მონატრებულები, მაინც მაგრა მოეწყინებათ. კაროჩე, ხოდა ეხლა იმათ დიდი პერერივები ქონდათ, ვაფშე მაგარი ძნელია ბებრებთან სმა. ერთ პონტში პრიატნია, მარა მეორე პონტში ძნელია.

აი, პაპაჩემთან სმა მაგარი იქნებოდა. მე იმასთან არ დამილევია, იმ პონტში სმა რასაც ქვია, ბავშურათ დამილევია. ეხლა გამახსენდა. ერთხელ პატარა ვარ და სოფელში სუფრა არი და ზაფხულია და მეზობლის ბიჭი ჩამოვიდა ჯარიდან და დიდი სუფრა გაშალეს და პაპაჩემი არი თამადა და მოვიდენ გვიან პონტში გვერძე სოფლიდან ნათესავები ამ ბიჭის და ეხლა ისეთი უჭერიათ, რო საქეიფოთ არიან და ბებერი კაცი დაინახეს, პაპაო, ღმერთმა ჯანი მოგცესო, ეუნებიან და ჯანზე როგორა ხარო, იმ პონტში რო თამადა ბებერიაო და ჩვენით ქეიფი მოგვიწევსო, და პაპაჩემმა უთხრა, მაგრათა ვარო და მტკიცებაც მაქო, რო მაგრათა ვარო. აი, აბა, რომელი მტკიცებაო, იმათაც და აგეო, ჩვენ შემოსახვევში რო ქვა აგდია გინახიათო? იმენა, ლოდი ეგდო იქა, ზედ ვჯდებოდით და, ვაფშე, როგორც არი ხოლმე სოფელში. ვიცითო, იმათ. კანეშნა იცოდენ. ხოდაო, რო დავიბადე მეო, ეგ ლოდი მანდ ეგდო ისევეო, ძველი დაგდებულია, ვინ იცის ვისიო და როდინდელიო და ბიჭობაში დევეტაკებოდიო და ვერა ვწევდიო. მერე გავიზარდეო და ისევ დევეტაკებოდი ხოლმე და ვერა ვწევდიო, მერე კიდე კაცობაშიც მივადექიო და ვერა ვწევდიო, ეხლა იმ დღესაც გამოვედი და მიველი და დევეტაკე და ისევ ვერ ავწიეო. ხო ხედავ, რო უარესობა არა მაქ და ისევ ისე ძველ ჯანზე ვარო. ის ხალხი დაიხოცა სიცილით და კაი გვიანამდე უთამადა პაპაჩემმა.

ეხლა ეგეთ სასტავში, პაპაჩემის სასტავის ბებრებში რო მოვხვედრილიყავი, იასნია, სხვა მუღამია და გეხალისება, აქ კიდე მაინც ნაპრიჟონი ვარ. ეგრევე ნერვოზები მოდის და იმდენსაც არა სვამენ რო ნერვოზები მოიხსნას და იმიტო. მეთქი, ამ ორ-ორ ჭიქას შევაპარეფ, თორე, ვაფშე გამოვფხიზლდები და ნერვები ვაფშე ამეშლება, იმიტო, რო ჩემი შეკითხვა შემყავს და ერთი ვნახო, რას იზამენ ესენი.

მაგას მე ვეძახი პირაქეთა პახმელიას, სუფრაზევე რო გემართება პახმელია. ნედაპოისგან. თავი აგტკივდება, ნერვოზები წამოვა, დიორგანიები წამოვა. ნიპრიატნათ ფხიზელი რო ხდები იმხელა დროა ჭიქების შუა. ხოდა, ესენიც ეგრე შვებოდენ, მაგათ ერთმანეთთან ლაპარაკი უსწორდებოდათ, დათრობა კი არა. თან, ვაფშე, მე ცხოვრებაში ბევრი ქურდები კი მინახია, მარა ქურდები რო იმენა მთვრალი, არა. შეილება მაგარი დალეულიც ქონიათ, მარა იმენნა მთვრალის პონტში არ იქცევიან.

აკა მორჩილაძე

ლეგენდარული ქემერას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება

ერთხელ, ვაფშე დამგრუზა მაგ ამბავმა. კაროჩე, ერთი ახლობელია, ძველი ძმაკაცია რა, ადრე ფუტბოლს ერთათ ვთამაშობდით. ქურდი არ არი იმ პონტში, რო მაგარი იდეინი იყო და გეპეიში რო სწავლობდა, მერე პროსტო ქურდი ვეღარ გახდებოდა. არ მიცა თავს უფლება, რო ნასწავლი ვარო და ნამუშევარი ვარო. ხოდა, კაროჩე. ერთიც არი და კაროჩეო, ხაშურში ვართ ქორწილში დაპატიჟებულიო, ჩვენი ტოლა ბიჭი იყო ერთი, ისიც ქურდი არ იყო, მარა აი, ეგეთ პონტში, რო გეუნებიან სულ რო სიტყვას ელოდებაო. ადრე რო ამბობდენ მომავალიაო. მერე გახდა ქურდი, მე ეგრე ვიცი. კაროჩე, და ეს ჩემი ახლობელი, ამას ერქვა, ბეჭო, მეუნება, რო მაგ ნოდარას ქორწილში ვართ დაპატიჟებულიო. ხაშურშიო რა. მეთქი, მე რა მინდა, ორჯერა მყავს ნანახი და კაროჩეო, როგორ არ გინდაო, წამაიყვანეო მითხრაო, ევასებიო. კაროჩე, ძველი დროა, ჯერ ცოლი მოყვანილი არა მყავს და უკვე მაზებზე ვარ. აქა-იქ იციან, იგროკი ვარ და ამ ნოდარამაც იცოდა, ამ ხაშურელმა ნოდარამ. ხოდა, კაროჩეო, და წაველით, ტაქსით წაველით. ქორწილი არი ამ ნოდარას სახლში, როგორც იცოდენ ძველ დროს, ოთახებში გაშლილია და ბალკონებში გაშლილია და ერთი ორასორმოცდაათი კაცი ჯდება რა.

ერთი ორმოცდაათი კაცი ნათესავი და მეზობლებია და დანარჩენი ორასი სულ ქურდები და კაი ბიჭებია თბილისიდან კი არა და დაჟე სოხუმიდან და ზუგდიდიდან ყავს დაპატიჟებული. კაროჩე, ფანოღებმა ერთი იმღერეს, რო ამ ოჯახში ჩიტი ბუდეს იკეთებს და დანარჩენები ქურდულები მიდის.

ვზივართ, ვსვამთ, მეტი იქ რა უნდა გააკეთო, თან მალადოები ვართ. ჩვენხელებიც არიან აქა-იქას, მარა ცოტა ვზროსლი სასტავია, ცოტა რა. ჩვენ წინ კიდე ერთი ტიპი ზის. ვაფშე არ ვიცი, ვინ არი, მარა ეხლა პალკოვნიკი ალანია რო არ არი, ვიცი. ეს ისე შუტკაში. მამენტ ქურდია. კაროჩე, მე ეგრე ვიფიქრე. პავადკებზე ეგრე ვატყოფ, რო ქურდია. და გვერძე ქალი უზის, ცოლია, ვინ არი, არ ვიცი, ერთათ არიან და იქეთ კიდე ქურდი ზის. ორი ქურდი ზის, ისინი ვიცი. კაროჩე, კუთხის პონტია. ჩვენ საცა ვზივართ, თამადის მოადგილეს უზივართ რა, მე და ეს ბიჭი და იქით, მეორე მხრიდან, ეს ტიპი უზის. მერე მაგის ქალი და მერე ორი ქურდები ზის, დიდუბელები, იმათ ვიცნობთ. ვსვამთ და უჭახუნებთ ჭიქებს და რავი ქურდებში რო ხარ ამხელა სუფრაზე, რა ბევრი ენას გაშლი, მოკლე-მოკლეზე იტყვი და თვრები რა. მალადოები ვართ. ერთიც არი, კაროჩე და შაბაშები რო წავიდა და ეს ჩვენ წინ რო ზის და არ ვიცი რა ქვია, წავიდა შაბაშზე და რო მოვიდა, და დაჯდა, მეთქი, ვინმე ვერ გაუშვა? რა თითონ წავიდა. ხო წავიდა მუსიკა და რაღაცის ბაზარი დაუწყო ამ ქალს გვერძე რო უზის. ქალიც ისე არ არი, რო პროსტო ქალია, საქორწილოთ ჩაცმულია და კაროჩე ამ კაცის პროსტო ქალი არ გეგონება, პროსტო ქალს რატო მოიყვან ქორწილში და რაღაცას ებაზრება და ეს ქალი ზის და არაფერს არ ამბობს და მუსიკა რო ჩაუწევს ხოლმე, სიმღერაში რო არი ეგეთი მომენტი, ხო იცი, ეგეთ პონტში ჩაუწია და უცბათ რო გაიგონეფ ორი კაცი რაზე ლაპარაკობს, ეგრე ჩაუწია და თურმე აგინებს ეს ამ ქალს, სულ დედის ტრაკებს აგინებს და ეს ქალი კიდე ჩუმათ არი. კაროჩე, დათვრა თუ რა არი, არ ვიცი და კი აღარ ისმის, მარა უკვე ხო აზზე ვარ, უკვე რო აგინებს. აგინებს და აგინებს, რა ჩემი საქმეა. პროსტო, ნიპრიატნია. მაშინ ეგეთ ჭკუაზე ვიყავი. აბა, ეხლა რო ვინმემ აგინოს.

კაროჩე, თურმე ქურდია ესა. მერე ეგრე გამოვიდა, ეგრე გავიგონე. იქ ფრაერები მარტო ნათესაობა იყო და ეხლა ეს ნაღდი არ იყო ნათესავი, თავიდანვე ვიცოდი. ის სიმღერა რო მორჩა, წამოვიდა სადღეგძელო, ეს კიდე აგინებს და კი აღარ მახსოვს, რაღაცა ფეხზე წამოსადგომი სადღეგძელო იყო.

კაროჩე, წამოვდექით და ეს კიდე ზის და აგინებს და ეს ქალი კიდე წამოიწევს, რო წავიდეს, რო უტყდება ხალხში რო აგინებს და ეს კიდე ხელს მოკიდებს და დასვამს ისევე ადგილზე, ლამის არი აარტყას. აარტყავდა, ერთი ორი წუთი უნდოდა და ამ ჭიქების ჭახუნში ვართ და მე ეხლა იმას ანგარიში აღარ მივეცი და ჭიქა რო უდგას წინ, მიუჭახუნე ისეთ პონტში და დავლიე და იმანაც არ მიაქცია ყურადღება და ბეჭომ იქით დიდუბელ ქურდებს მიუჭახუნა და ამას ელოდება ეგეთ პონტში და ეს კიდე ამ ქალს აგინებს, ვაფშე კაშმარ სიტყვებით. ცოტა ხმადაბლას, მარა რო ისმის ახლოში და ბეჭო დადგა ერთხანს და ეს ქურდებიც დგანან, მე კიდე ვზივარ, რო უკვე დავლიე და ეგეთ პონტში და ეხლა ეს ქურდები ამისკენ არ იყურებიან, რო აგინებს ქალს, კაროჩე ბიტი ხალხია, თუ ის მიხვდა და წამოუდგა, მიუჭახუნებენ, არადა, არც დაგვინახია და ბეჭო კიდე კაროჩე, გეგონება ამ ქურდების მაგივრათ ეს ელოდება, იმიტო, რო ეგრე დგას ჭიქით ხელში და ზემოდან უყურებს ამ ტიპს და, კაროჩე, ეგრე ნაცელენათ ელოდება. მეთქი, დაჯე ტო, რას დადექი, ვეუნები, ჩამოვქაჩე სახელოზე და მაიცაო ერთიო და ეუნება, კაროჩეო, ჭიქა მომიჭახუნე, ძმაო, და მერე აგინეო. ამან კიდე გამოიხედა და რაო, ბიჭოო? და იმან შენი, ბეჭომ, კაროჩე, სკოლის ბაზარი მიცა, ბეჭომ გირჭოო. მეთქი, მოვკვდები ეხლა სიცილით და სანამ ის შემოაგინებს ეხლა, აიღო ეს ჭიქა რო უჭირავს და პირდაპირ ეგრევე არ დაახალა თავში? თავის ღვინოიანათ და ის წამოუხტა კაროჩე და მოუქნია, და რო მოუქნია, მე დაუჭირე და ატყდა სუფრაზე ფორთხიალი და ამას თურმე პადელნიკები ყავს, კაროჩე და დანებიო და ჩვენც გავხსენით და ეს სუფრა ვაფშე გადმოყირავდა და ეს დიდუბელები შუაში აღმოჩდენ და ვაფშე ყველა, და თითონ ნოდარა ეგრევე გადმოხტა და კაროჩე, როგორღაც აქეთ გამოგვიყვანეს. მარა ბეჭოზე იყო გატრაკება. კაროჩეო, პასუხი მოგეთხოვებაო. ეგ კაცი ქურდია. უნდა მივხვედრილიყავი ისე ძერსკათ აგინებდა იმ ქალს. რატო აგინებდა, მე რა ვიცი.

მაგ ამბიდან არაფერი არ მოგვხვედრია და არავის არაფერი არ მოუთხოვია. მალადოი რო ხარ, ხო იცი სუ ფიქრობ, შენმა ძმაკაცმა ქურდს ჭიქა დაარტყა და პასუხი არ მოგეთხოვება? თურმე, არ მოგვეთხოვება, კაროჩე, ნოდარამ რო გვითხრა, წადით ეხლაო, რო წამოვედით, უკვე კაი ღამე იყო და მეთქი, ბიჭო, გამოგვეკიდებიან და სადმე რაღაცა ხოდი მოვიფიქროთ, ისე ვქნათ. და რო გითხრა, ბეჭო დიდათ არ იყო შეწუხებული, კიდე იძახდა, ეგ რა ქურდია, ეგეთ ქურდებს ხმას არ ამოვაღებინეფო. კაროჩე, შეილება ის არ იყო ეგეთი ზნამენიტი ქურდი, მარა მაინც ქურდი ყოფილა და ეგრე ქურდზე შეხება, სად არი? მაშინ გამიკვირდა პირველათ ამ ბეჭომ რო მითხრა, დაიკიდეო. რას დაიკიდეფ,მარა გამოირკვა, რო არც არაფერი. იქ ვაფშე ისეთი პალაჟენია იყო, რო იქავე უნდა დავებრიდეთ და როგორღაცას ისე გამოვიდა, რო მოვტყდით და მერე კიდე მითხრა ბეჭომ, ეგ ამბავიო ნოდარამ მოაგვარაო, რო პასუხი არ მოგვეთხოვაო. რავი, გვარდება, ალბათ, ზოგჯერ. მე ეგ ქურდის ამბავი ვაფშე იმიტო გამახსენდა, რო სხვა მთვრალი ქურდი რო ხმამაღლა ბაზრობდეს და სხვას აწუხებდეს, მე არ მინახია და ეხლა ნათლიაჩემი გვრიტისა რო იასნია მაგ პაშიბის კაცი არ იყო, რო თავის ოქროებიან ქალს რო აგინებდეს, ეგ ხო ეგრეა.

კაროჩე, მაშინ გავიგე, რო ქურდი კი

ყველა ქურდია, მარა არი ავტორიტეტი. რავი, ეხლა ეგ კი არ მაინტერესებდა, პროსტო ეგ გამახსენდა, რო მთვრალი ქურდი და ეგ რო გამახსენდა, ჩემ შეკითხვაში ესეც დაემატა, რო, მეთქი, რა კაია, რო გამახსენდა, ამას ვკითხავ ეხლა. ამით დავიწყეფ, რო, აბა, ეგეთი ქურდი, როგორიც ნათლიაჩემია, რას იტყვის.

ეხლა მაგათ ლაპარაკს ფხიზელ გულზე ვაფშე სხვაგან მივყავდი და ეგრე სად არი და დავიწყე შეპარება. ჯერ იმ გვერდითა ჭიქით, მერე ლიმონათის ჭიქით, ერთი სამი-ოთხი ეგრე იმათ ლაპარაკ-ლაპარაკში მივეცი. ხოდა, ვეუნები ნათლიაჩემ გვრიტისას, მეთქი, შეილება ერთი შეკითხვა მაქ. ძველი ამბავია, კაროჩე, ოცი წლის წინანდელი მეთქი და მოუყევი ამ ხაშურის ქორწილის ამბავი და მეთქი, აი, ეგრე ეგრე ვქენით. მიყურა, მიყურა ნათლიაჩემმა გვრიტისამ და ერთი მითხარი რა ერქვა იმ ქურდს, ქურდი თუ იყოო და მეთქი, არ ვიცი რა ერქვა, არ მახსოვს.

ქურდის სახელი არ გახსოვსო? მეთქი, პროსტო, ან არ ვიცი, ან არ მახსოვს, მაშინ რო ატყდა ამბავი, ქურდს შეეხენო დაიძახესო და მერე ბეჭომაც მითხრა, ქურდი იყო ისაო. ბეჭომ იცოდა თუ არა, ეგ აღარ ვიცი, თუ იმანაც მერე გაიგო. ხოდა, გაიცინა ნათლიაჩემმა გვრიტისამ, არ იცით, ვინ იყოო და მე როგორ გითხრა ჩემი აზრი მაგაზეო. აი, ეგრე ძნელია იმათთან ლაპარაკი.

მაგან არ გამაჩერა, იმიტო, რო პრედვარიწელნი შეკითხვები გამზადებული მქონდა ისედაც, პროსტო, ამაზეც მინდოდა. მამაჩემმა კიდე, რა გინდა ბიჭოო, რა კითხვები გაგიჩდაო და იცინიან, რამეს ხო არ აპირებო. არა მეთქი, რას უნდა ვაპირებდე, პროსტო, აბა, ნათლიაჩემი ბოლოს როდის ვნახე და იმის აზრი მაინტერესებს. რა მაგრებიც ეგენი არ უნდა იყვნენ, ბაზარში მეც ნაკლები არ ვარ. და ეს რო ვთქვი, ესიამოვნა გვრიტისას და მეთქი, აი, გზადაგზას რო იცვლება ქურდულში რაღაცეები, მე ვერა ვხდებითქო, ვეუბნები. რა იცვლებაო, გვრიტისამ.

რავი, მეთქი. აი, მე ეგრე გამიგონია ძველათ, რო ქურდს პასპორტი არ უნდა ქონდესო, ბიჭიკო მანთაშოვს ქონდა მეთქი პასპორტი?

გვრიტისამ კიდე მითხრა, ძველათ გამოდიოდი სპრავკა აბასვაბჟძენიითო, იმაში კიდე სურათი იყო ჩაკრული შენიო. მე ვიციო, რო გზაში ვინც ქურდები სროკიდან მოდიოდენ, ეგრევე მაგ ცნობას ბევრი აგდებდა პასპორტთან ერთათო და რამდენი ყოფილა, რო მატარებელშივე გაუჭედიათ ბეზ დაკუმენტოვ ძველი ქურდებიო, მარა იმათ მაგის დარდი არ ქონდათო. ზოგი კიდე, სადაც მიდიოდა, იქ რო მივიდოდა, მაშინ გადააგდებდა, ვისაც როგორ უსწორდებოდა და ჭირდებოდაო. უპასპორტობა კიდე ორი პონტი იყოო, რო კაროჩე, ურკა ხარო და გრაჟდანინი არა ხარო, ეგ იდეინი ამბავიაო, თუმცაო, მე არ გამიგია, რო ქურდულში ყოფილიყოს თქმულიო, რო პასპორტი იმენნა გადაადგე, თორე გრეხიაო. ძველი პასპორტები, თან წითელი, ვაფშე არ იყოო, მწვანე იყოო და ვაფშე, ქურდს პრავა აქ, რო ძაღლი მოატყუოს და როგორც მოეხერხება ისეო. ლიპა ქსივებიც ხო იციო, რო ვითომ ემვედეაო და ეგრეო. ხოდა, ეგეთ პონტშიო, ძველათ პასპორტში სუდიმოსტი ერტყა კაცსო. რო გაგაჩერებდენ, ჩაიხედავდენ შიგ და სუდიმოსტია და თან მუხლი წერიაო, ამით კაროჩე გამჩერებელმა იცის, შენ ვინა ხარო და ეგეთ პონტში, ქურდს ეგ არ უნდა და გადააგდო პასპორტიო. თუ წაიყვანენ აძილენიაში, პაკაზანიას არ აძლევს, ვინაობას არ ამბობს და თუ არ იცნეს, ხო ვერ იტყვიან ესა და ეს არიო.

კაროჩეო, ეგ ორი რამე იყო ძველათ პასპორტის ამბავშიო, და პროსტო ბევრი ქურდები იდეინათ აგდებდენ პასპორტსო და ეხლა კიდე სხვა დროაო, პასპორტი ათას რამეშია საჭირო, მაშინდელივით კი არაო და ვაფშე სხვის სახელზე პასპორტი ხო ლიპა რამეა და რატო არაო. მაგრა იცოდა ეგ ძველები, იასნია იცოდა. ეხლაო, შენ ვაფშე ისიც ხო არ გაინტერესებს, რო ამბობდენ ქურდს სახლი არ უნდა ქონდესო და პრაპისკა არ უნდა ქონდესო. პრაპისკა გახსოვს რა არიო? ეხლა აღარ არი აქ პრაპისკაო და რუსეთში ისევ არიო. ვიცი, მეთქი რა არი პრაპისკა. ხოდა, როგორ ფიქრობო, კაცი რო იპარავსო და რო იციან, რო იპარავს და რო იციან, რო ქურდიაო, როდის უფრო იპოვიან, თავის სახლში რო ჩერდებაო თუ სადმე სხვაგანო. იასნია, სახში მეთქი. დაჟე პრაპისკა რო ქონდეს, სხვაგან უნდა იყოს.

ხოდა, მაგიტო იყო მალინაო, მალინაზე თავს შეინახავდა ძველათ ქურდიო, იმიტო, რო სტალინის დროს ლიუბოი პერედვიჟენიეზე სროკი იყოო, ვაფშე თუ იციო, სტო პერვი კილამეტრი რა არიო. მეთქი, არა. სტო პერვი არიო რო, თუ ნასროკალი ხარ, მოსკოვზე ას კილომეტრზე ახლო მისვლა აკრძალული გაქო. აბა, დაპუსტიმ ქურდი ხარ და ხარ სტო პერვი კილამეტრზე და საქმეა მოსკოვშიო, რითი მიდიხარ და როგორ მიდიხარ იმ საქმეზეო, პასპორტებით, მატარებლებით და ვაფშე, მოსკოვში, სად ინახავ თავსო. იასნია, ყველაფერი ისე უნდა იყოს, რო იმათ არ დაგიჭირონ, ციხე შენი სახლია, მარა ძაღლებს ძალათი თავი დავაჭერიო, ეგეთი რამე გაგიგიაო? არი პრიჩინა ზოგჯერ, რო უნდა დააჭერიოო, თუ აუცილებლივ შესვლა გინდა და ეგ სხვა არიო.

ეგ ყველაფერი სტალინის დროის ამბები იყო, იმიტო, რო რასაც მე ვეკითხებოდი, ის სულ ძველი ქურდების ცხოვრებაზე იყო.

ანდაო, რომელ ქურდს ქონდა ერთი თავისი სახლ-კარი იმ დროშიო. ბევრი კი არ იყო ეგეთიო. მეთქი, რა მაგარია ძველი ამბები და ერთიც მოვწრუპე და მეთქი, წინათ როგორ იყო, რო ქურდი თითონ დადიოდა საქმეზე, გამიგონია და ეხლა კიდე, რავი, აღარ გამიგონია, ბიჭები ბაითზე წავიდენ და ქურდი წინ მიდიოდაო. გაეცინა გვრიტისას და მამაჩემმა ეს იმას გართმევს ეხლაო, ინტერვიუსო. მამაჩემს აღარ მოწონდა, ეგრევე მივხვდი, რო ველაპარაკები, იმიტო, რო იცის, იასნია, რო რასაც ველაპარაკები, ეგ არაფერი არ არი, გლავნი ბოლოს მოდის. ტოჩნი მამაჩემივით ვარ მაგ ამბავში და ეგ არ იცის? იასნია, იცის. მე კიდე ეგრე მგონია, რო გვრიტისამაც იცის. ეს ორი კი გვისმენენ, ამათი ამხანაგები.

გვრიტისა მოკვდა სიცილით ეგ რო ვკითხე. ცხოვრება იცვლება, შვილოო, ზიმები არი ქუჩაშიო? გინახია ზიმებიო? მეც გამეცინა, იასნია. პროსტო, ქურდული მოითხოვსო, რო სწორეაო, რო თუ საქმეზე მიდიხარ, ქურდი საქმის კურსში ჩააყენო და დაბრო აიღოო, ეგრე იყო ძველ დროსო, მარა, აბა, უყურე, ცოტა იყო მაშინ ყაჩაღები, ან ახლა ცოტაა, რო პროსტო არაფერს არ იტყვიან და მიდიან საქმეზეო? ძველათ, ასე მგონიაო, რო ქურდის დაბრო მარტო იმიტო არ იყო საჭირო, რო რახან საქმე იცოდა, ქურდს წილი უნდა აეღო და იმიტოო. რო მივიდოდენ ბიჭები საქმით, ქურდი კარგათ გამოიკითხავდა რა საქმეაო, ვისი ნაკოლია და ამის მიხედვით ეტყოდაო, ღირს თუ არა საქმეო. თუ სწორე საქმეა, ქურდი ვერ იტყვის არ მოიპაროთო. როგორ იტყვის არ მოიპაროთ, ქურდის ხელობა ქურდობააო. წაყვებოდა კიდევაც და, იასნია, რო მთავარი ქურდი იყო ამ საქმეშიო. თუ ვერ წაყვებოდა, ისეთივე მონაწილე იყო ამ საქმის, როგორც ეგენიო.

მერე პადელნიკობაზე მელაპარაკა, მერე საქმის გარჩევებზე ვკითხე და სტალინის დროს სროკს გარეთ საქმის გარჩევა ძაან რედკი იყოო. ერთმანეთში იყოო, იმიტო, რო ჩვეულებრივი ხალხი ბევრი არავინ მოდიოდა ქურდებთანო. მერე მოიმატაო, ცეხავიკობა რო წამოვიდა, მაშინ მოიმატაო და კიდე მაშინო, ქურდები რო სოფელშიც გაიჩითენო. სოფელს ეძახდა, თუ თბილისი, ქუთაისი და სოხუმი არ იყო. მე ეგრე მივხვდი.

კაროჩე, ჩემი აზრი ეგ იყო, რო ეს ყველაფერი, რაც ისედაც ვიცოდი, კარგათ ჩამოვათვლეინე და მერე რაც შეკითხვა თავიდან მქონდა გლავნი, ის უნდა დამესვა, რო, აი, ეხლა რაც თქვი, იმასთან როგორ მოდის.

ხოდა, მამაჩემმა, სადღეგძელო თქვა და იქაც მოვახერხე და ერთი დავლიე და რაღაცას ისე გამოვიდა, რო ლაპარაკი სხვა რამეზე გადავიდა და ეგრე სულ მე ხო არ ველაპარაკები და ისინიც ერთმანეთში ლაპარაკობენ და მეთქი ერთ წუთს, ბოდიშს მოგიხდით და წამოვდექი, მეთქი დედაჩემთან ჩავალ კუხნაში, იმიტო, რო ეს დასალევი იავნათ არ მყოფნის და თან დედაჩემს დაველაპარაკები იმიტო, რო მაგრა მენატრება ხოლმე დედაჩემთან ლაპარაკი და ერთ-ორ ჭიქასაც იქ დავლევ, ბოცა ხო იქა დგას და ამოვალ მეთქი ერთ ხუთმეტ წუთში. გვრიტისა კიდე მეუნება, არ გაგვეპარო ნათლულოო, შუტკაში გეუნებიო. უკვე ამისი თქმა დაჭირდა, რო შუტკაში გეუნებიო, იმიტო, რო მე ხელს ვერ დამადებ, რო ეგეთი კაცი ვარ

და, მაშინ მოიმატაო და კიდე მაშინო, ქურდები რო სოფელშიც გაიჩითენო. სოფელს ეძახდა, თუ თბილისი, ქუთაისი და სოხუმი არ იყო. მე ეგრე მივხვდი.

კაროჩე, ჩემი აზრი ეგ იყო, რო ეს ყველაფერი, რაც ისედაც ვიცოდი, კარგათ ჩამოვათვლეინე და მერე რაც შეკითხვა თავიდან მქონდა გლავნი, ის უნდა დამესვა, რო, აი, ეხლა რაც თქვი, იმასთან როგორ მოდის.

ხოდა, მამაჩემმა, სადღეგძელო თქვა და იქაც მოვახერხე და ერთი დავლიე და რაღაცას ისე გამოვიდა, რო ლაპარაკი სხვა რამეზე გადავიდა და ეგრე სულ მე ხო არ ველაპარაკები და ისინიც ერთმანეთში ლაპარაკობენ და მეთქი ერთ წუთს, ბოდიშს მოგიხდით და წამოვდექი, მეთქი დედაჩემთან ჩავალ კუხნაში, იმიტო, რო ეს დასალევი იავნათ არ მყოფნის და თან დედაჩემს დაველაპარაკები იმიტო, რო მაგრა მენატრება ხოლმე დედაჩემთან ლაპარაკი და ერთ-ორ ჭიქასაც იქ დავლევ, ბოცა ხო იქა დგას და ამოვალ მეთქი ერთ ხუთმეტ წუთში. გვრიტისა კიდე მეუნება, არ გაგვეპარო ნათლულოო, შუტკაში გეუნებიო. უკვე ამისი თქმა დაჭირდა, რო შუტკაში გეუნებიო, იმიტო, რო მე ხელს ვერ დამადებ, რო ეგეთი კაცი ვარ

რო გაგეპარო. მეთქი არა, ეხლავე მოვალ, ზვანოკი მაქ და ზაადნო გრაფინკაც ავიღე ერთი, მეთქი, აი, ღვინოსაც ამოვიტან.

ჩაველი დაბლა და დედაჩემი არი კუხნაში, ტელევიზორიც იქა აქ, ბოცაც იქა დგას, და დავიწყე ჩამოსხმა.

მეთქი, როგორა ხარ, დედი, გამოდი ჩვენსა. ხო ხედავ, ვეღარ მოვიყვანე ეს ბავშები.

რო ვერ მოიყვანეო, ესე იგი არ გცალიათო და კიდე მე შემოგეკვეტოთ იქაო? ეგეთი ლაპარაკი დედაჩემმა რო იცოდა, ვაფშე არავინ არ იცოდა ქვეყანაზე. ჩამოვასხი ეს ბოციდან და მეთქი, მაიტა რამე ჭიქა, შკაფი გავაღე და ავიღე ერთი ძველი გათლილი ჭიქა. მეორეც იყო და მეორეც ავიღე და დავდევი თეფშზე და ჩამოვასხი და მეთქი, დედი, შენ გაგიმარჯოს, სხვისთვის ვიცოცხლო, იმას მირჩევნია, შენ მაგიერ მოვკვდე. რატო უთხარი ეგრე, არ ვიცი, ეგრე მომინდა. კი არ დავფიქრდი, რო ესე უთხრა მეთქი, პროსტო, ეგრე წამოვიდა და მეც უთხარი და ეს ორი ჭიქა ეგრევე დავლიე და რავი რატო, იმდენ ხანს მაღლა ვიჯექი და რა სისულელეებს ვლაპარაკობდი და დედაჩემთან ყოფნა მინდოდა და წამომივიდა ცრემლები და იმასაც არ ესიამოვნა, შეეშინდა. რას ამბობ, შვილოო, დედის მაგიერ სიკვდილი ვინ გაიგონაო, პირიქითო, დედა უნდა მოკვდეს შენ მაგიერო და რო ჩავეხუტე, ვიღა გამაშვებიებდა რა ვიცი. ეგრე ვიყავით ჩახუტებული. მე ხო ვიცი, იმას ერჩივნა, ყოველდღე ჩვენთან ყოფილიყო, ჩვენ გვერძე, ჩვენ მოგვხმარებოდა და ჩვენ მოგვფერებოდა, მარა არ გამოდიოდა. აბა, მე მამაჩემის პონტში ვერა ვძლებ და ის კიდე ხო არ დატოვებდა მამაჩემს და ჩვენთან ხო არ გადმოვიდოდა და ეგრე ვიდექით და დაწყნარდი, შვილოო, მე კარგათა ვარო, ვიწყენ უთქვენოთაო და ეგ არიო და ნუ დალევ ეხლა მაგდენსო, იმიტო, რო იცოდა ჩემი ამბავი და არა, კაცო, რასა სვამენ მეთქი, რო. მართლა რასა სვამდენ და ისევ შევავსე ეს გრაფინკა, უკვე რო ორი ჭიქა აკლდა და მეთქი, აუტანდ და გამოვეპარები მეთქი ნელა-ნელას, დედაჩემს ვეუნები. ისე გამომივიდა, რო რაც მაღლა რო ვიჯექით და ბაზარი მეჭირა, ის სულ გადამვარდა გულზე და დედაჩემი რო დავინახე, სულ სისულელეთ მომეჩვენა. სულ ჩემი ნერვოზების მოგონილია მეთქი, ავალ ცოტახანს დავჯდები, გაუჩუმდები, მერე მოუბოდიშეფ და წამოვალ. სამი საათი იმას ვფიქრობდი, როგორ ვკითხო ერთი რამეთქო და ბოლოსკენ სულ აღარ მომინდა. დედაჩემთან გაჩერება მომინდა დაბლა და იქ ლაპარაკი და საჭმელის ჭამა.

შენ იცი, შვილო, ოღონდაც არ დალიო და არ აუტყდეო. სულ იმის შიში ქონდა, მამაჩემს რო არ აუტყდე. არ უტყდებოდი აგე რამდენი წელიწადია, მარა ძველები ხო ახსოვდა და ჩვენი ნაპრიჟონნი ლაპარაკები.

კაი მეთქი. ეს გრაფინკა ავიღე და გამოვტრიალდი და კუხნის კარებში ვინა დგას?

ნათლიაჩემი გვრიტისა.

ეგრე, იდაყვით არი კარებზე მიყრდნობილი, სიგარეტს ეწევა და გაღიმებული იყურება.

გაუცინე მეც, გრაფინკა დავანახე. ცოტა გაიწია, რო ვითომ მატარებს და რო გამოვედი, მეუნება, მოდი თითო სიგარეტი მოვწიოთ სუფთა ჰაერზეო.

უკვე მივხვდი, რო გვრიტისამ იყიდა ჩემი ბაზარი.

ბავშვი ხო არ იყო, არ ეყიდა, იყიდდა, მარა მე თავიდან ეგ ვერ ვიფიქრე. ისე შემყავდა, რო პროსტო ვითომ ამბები მაინტერესებს.

ხარაშო მეთქი. დედი, გრაფინკას აქა ვდგამ, აიტანე და გამოველით ეზოში და მომაწოდა, წითელი მალბორო ქონდა. ზაჟიგალკაც მომცა.

ბნელა რა, სახლის შუქი გამოდის და ეგ არი. ეზოში გადამწვარი იყო ჩვენი დიდი ლამპოჩკა.

და გვრიტისა მეუნება, რაღაცის კითხვა გინდოდა, პატარა ქემერო და დავაი, კაი დროა, კაკრაზ, რო მითხრაო.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლელა კოდალაშვილი

პოეტი ფსიქოლოგიურ ჭრილში

დრო გადის და ძველდებიან პოეტთა სახელები და გვარები. იცვლებიან თავად ისინიც პოეტური სახის, ფერების, შინაარსის მიხედვით. ზოგი უფრო მეტად ნიჭიერდება, ზოგი საერთოდ კარგავს ამ თვისებას. ისინი საზოგადოების გონებაში, გულებში და ცნობიერებაში სხვადასხვა ადგილს იკავებენ.

ვიღაცებზე ვამბობთ ხოლმე, რომ ამოიწურა. ზოგჯერ პირიქითაა - უნიჭო რომ გვეგონა, ერთბაშად გაგვაოცებს. ზოგიერთი კი თავიდანვე ხდება გამორჩეული. ამ პოეტთა პარალელურად იცვლება სამყაროც – ვითომ ვვითარდებით, ვითომ წინ მივდივართ. გვეცვლება მიდგომა, გვეხვეწება გემოვნება.

ზვიად რატიანი იმ კატეგორიას ეკუთვნის, პირველივე პუბლიკაციებით რომ გამოირჩა სხვებისგან და ეს პროცესი უცნაური პერმანენტულობით დღემდე გრძელდება. საერთოდ, პოეტი თანამედროვეთა შორის იმიჯს მხოლოდ ლექსებით არ იქმნის. უფრო მეტიც, საუკუნების წინ გარდაცვლილნიც კი შემოქმედებასთან ერთად გარკვეული ბიოგრაფიული შტრიხებით ერთსხეულდებიან ხოლმე მკითხველთა მეხსიერებაში. ზვიად რატიანი გამორჩეულად პოპულარულია ყველა თაობის მკითხველებს შორის - ღრმა მოხუცებულებიდან დაწყებული, ვიდრე თინეიჯერებამდე (ამ ასაკობრივ დიაპაზონზე ოდნავ ქვემოთ ვიტყვი). რა ხდება? საერთოდ, ხალხს უყვარს მითოლოგიზირებული ნატურის აღმოჩენა პოეტში, თუნდაც ეს იყოს ბანალური მითი მისი ბოჰემურობისა და ასკეტიზმის შესახებ. ხალხი მიეჩვია, საიდანღაც წამოღებულ ამ კლიშეში ჩასვას პოეტი, მხატვარი, საერთოდ ხელოვანი. მისი აზრით იგი უნდა იყოს ლოთი, არ უნდა ჰქონდეს ფული, სვამდეს იაფფასიან არაყს, მის პალტოზე აწყვეტილი უნდა იყოს ერთი ღილი მაინც და ხშირად დადიოდეს წვერგაუპარსავი და მოუწესრიგებელი, ცხოვრობდეს კიბის ქვეშ და ასე შემდეგ. მაგრამ თანამედროვე სამყაორმ რაღაცნაირად დაალაგა ყველაფერი. ზემოთაღწერილ ხატს მხოლოდ სნობურ წრეებშიღა თუ უკმევენ გუნდრუკს. საზოგადოების მოაზროვნე ფენამ კარგად გადააფასა შეთითხნილი და ნატურალური ღირებულებები და მიხვდა, რომ შემოქმედი ყველანაირი შეიძლება იყოს. ვერც ზვიად რატიანს გამოარჩევ რაიმე ნიშნით. იგი არ არის ასოციალური პერსონა, ისეთი, როგორსაც აიგივებენ ხოლმე ზემოთაღწერილ პოეტის ხატთან. მაშ გარდა ლექსებისა, სადაა მისი პოპულარობის საიდუმლო? ალბათ, ისევ და ისევ ლექსებში. თუმცა ისიც არის, რომ იგი თითქმის არ დაიარება ლიტერატურულ „ტუსოვკებზე“ და მკითხველი ნაკლებად ახერხებს, მას გაუშინაურდეს. იგი არ ესწრაფვის ლიტერატურის ახალგაზრდა მოყვარულებზე ზემოქმედებას პირადი ურთიერთობების გაბმის მეშვეობით, იშვიათად უახლოვდება ახალ სახეებს და თუ იმეგობრებს, მხოლოდ მის მიერვე აღმოჩენილ გამორჩეულად თავისთვის საინტერესო ადამიანებს. სუფრასთანაც მხოლოდ ამოჩემებული მეგობრების და ახლობლების წრეში თუ მოხვდება ხოლმე. მოკლედ, ზოგი სხვა მწერლისგან განსხვავებით, უცხოთ არ სწყალობს და ეს ერთგვარ დისტანციას ქმნის მასა და მის თაყვანისმცემელთა შორის. ადამიანის ინფანტილური თვისებაა, შეიყვაროს ის, ვინც გვერდით ჰყავს, ხოლო გააფეტიშოს ის, ვის გვერდით ყოფნასაც ვერ ახერხებს და ნაკლები წარმოდგენა აქვს მისი ადამიანური მხარეების შესახებ.

მისი ლექსები ჟანრობრივად არაერთგვაროვანია. მაგრამ ძირითადი ძარღვი უცვლელი რჩება. უმთავრესად ერთი და იგივე ფორმალური ტენდენციებით მუშაობს შემდგომ და შემდგომ წლებში და ეს კარგად ჩანს გამომცემლობა ,,დიოგენეს" ახლადგამოცემულ კრებულში ,,ნეგატივი", სადაც ბოლო 14 წლის მანძილზე დაწერილი ლექსებია თავმოყრილი, მათ შორის ისინიც, რომლებიც ძველ კრებულებში იყო შესული. იშვიათია პოეზია, და ამ მხრივ საილუსტრაციოდ ეს კრებული გამოდგება სწორედ, როცა სათქმელები იმდენად საინტერესოა, იმდენად გითრევენ ამბები, რომელსაც ავტორი გიყვება, რომ ლიტერატორის თვალს ლექსზე მსჯელობა ავიწყდება, მხედველობის არედან გაურბის ლექსის ფორმალისტური მხარეები. წიგნი ბოლო ხანებში მიღებული მოდის შესატყვისი ქრონოლოგიითაა აწყობილი – დღევანდელობიდან წარსულისაკენ. კაცმა რომ თქვას, ეს არაა ცუდი ტენდენცია – გაიცნო პოეტი ისეთი, როგორიც იგი დღეს არის და მერე და მერე ჩაუღრმავდე მის ძველ ნაწერებს. განა ადამიანის გაცნობის რიტუალიც ამ წესს არ ემორჩილება ხოლმე? ჯერ გავიცნობთ პიროვნებას, და თუ დავინტერესდით, თანდათან ვუღრმავდებით მის წარსულსა და მეტამორფოზებამდელ თვისებებს.

ზვიად რატიანის მკითხველთა ასაკობრივ დიაპაზონზე ცოტა ქვემოთ ვიტყვიმეთქი... მისი ესთეტიკა ტრადიციულისა და ნოვაციურის სინთეზია. ეს იგივეა, რაც ძვირფასი ლითონისგან გაკეთებულ სამკაულებში ახალშექმნილი, სინთეტიკურად დამზადებული ,,ძვირფასი" და ,,ნახევრადძვირფასი" მოდური ქვები ჩასვა. მას დარბაისელი, კლასიკური გემოვნების ადამიანებიც იყიდიან და ტუსოვკებზე მოსიარულე ახალგაზრდებიც. რადგან იქ ყველა იპოვის თავისას. მისი პოეზია არ უნდა აგვერიოს, როგორც ამას წინათ მისი წიგნის პრეზენტაციაზე გივი ალხაზიშვილმა აღნიშნა, ბიჟუტერიაში. ანუ უფრო ზუსტად თუ მოვიტან ციტატის პერიფრაზს, რატიანის პოეზია გულწრფელ ტონალობას აღრმავებს, აღმსარებლური და მედიტაციური ძიებები აქვს, და იმ ბიჟუტერიას უარყოფს, ზოგიერთ ავტორს რომ ტროპი ჰგონია, სინამდვილეში კი არაფრისმთქმელი, უფუნქციო ბრჭყვიალებია. და მართლაც, მის პოეზიას ეს იშვიათი თვისება ჯერჯერობით აქვს (ჯერჯერობით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არავინ იცის, როგორ განვითარდება. ისიც საკითხავია, რაც უკვე დაიწერა, ახალგაზრდების შემდეგი ნაკადი იმას ისევე შეხვდება, როგორც დღევანდელი 17 წლისანი ხვდებიან? როცა ზვიადი მათ წინ გაივლის, ისინიც ამათსავით გადაუჩურჩულებენ ერთმანეთს – შეხედე, შეხედე, ესაა რატიანიო?... საბოლოოდ კი იგი ყველასთვის (როგორც მინიმუმ) მისაღებია და (მაქსიმუმ) გამორჩეული.

მიუხედავად პოლარული ინდიკატორებისა, ზვიადი აღწევს კონტრაპუნქტის მდგომარეობას ყოველგვარი ძალისმიერი არტიკულაციების გარეშე. და ამას ახერხებს ტრადიციულის მიმართ საპირისპირო ფასეულობების წარმართვით, რითიც ქმნის ერთგვარი პოლარული შეხედულებების უნისონს.

სოციალური ისტორიები. არანაირი მითი, არანაირი სამყაროს ალუზიური ხედვა. ხოლო მისტიკა იმდენი, ზუსტად იმდენი, რამდენიც ,,ეპატიება" რიგით მოკვდავს. არადა თითქოს შეუძლია რატიანმაც თქვას, ერთი ცრემლით მეტი ვარ თქვენზეო, მერე კი ადგეს და ჩამოაყალიბოს, თუ რა და რატომ. თუმცა, ის ამას დემონსტრაციულად არ აკეთებს და ლექსით ცდილობს, გაგეხსნას და გემეგობროს.

ხანდახან შეგნებულად ,,ხატავს" და ტექსტსაც ეტყობა ქმნადობისა და რუდუნების კვალი. ისე, როგორც მნიშვნელოვან პაემანზე წასული ადამიანი, ეს ლექსიც საგანგებოდ გამოწყობილია. ხანდახან კი, ამოიძახებს და სულ ესაა. მისი ესთეტიკური ვექტორი ხან სად და ხან სად ჩერდება. საბოლოოდ კი კულტურული ტრადიციების მატარებელ პოსტმოდერნს ქმნის და რომ არა ოდნავ გადამეტებული არქაული ლექსიკა, ეს იშვიათი კოქტეილი იქნებოდა.

მიუხედავად ამდენი მნიშვნელოვანი პასაჟისა, ზვიად რატიანთან მეტაფორიკა და მეტონიმიები მოკრძალებულად გვხვდება. იგი ნაკლებსახეებიანი პოეტია. მასთან საკმაოდ დიდ დისტანციაზეა გაფანტული ფერადი ნიჟარებივით თვალისმომჭრელი მინერალური კრისტალები. მაშ, რითი ახერხებს მკითხველის მოჯადოებას, როცა ერთ-ერთ უმთავრეს პოეტურ ინსტრუმენტს არ ფლობს? ვფიქრობ, მას უფრო ფილოსოფიური სჯა-ბაასი იზიდავს და გაპიროვნებებითი ინფორმაციულობით ჯადოქრულად ქმნის განწყობებს. არსად არ ჩანს ინფანტილური კოკეტობა. ე.წ. თვითაღიარებით თვითდამკვიდრების მცდელობა. არ ცდილობს ითამაშოს ინტელექტუალი. პირიქით, ისე ინიღბება, თითქოს ესაა სულ, რა სიტყვების მარაგიც ჰქონდა და ისიც ამ ლექსში დაგვიყარა განსასჯელადო. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ხშირად რიტორიკის სიჭარბე სძლევს ხოლმე და ამ ფონზე ავითარებს რაიმე სიუჟეტს, მერე ამ სიუჟეტს გამოწვლილვით მოგვითხრობს. ასეთ მომენტში მას თვალსა და ხელს შუა ეკარგება მთავარი – ლექსი. ხელში კი მხოლოდ პროზაიზმებით გადატვირთული ტექსტი-ღა გვრჩება. ამას ხანდახან თვითონაც ამჩნევს და დასძენს ხოლმე:

„რაც ახალია, ყველაფერი ლამაზია.
და შენი ლექსიც
ვიდრე დაწერ, ვიდრე გტკივა, ვიდრე
გაწუხებს...
...და ვინც თვალი აარიდა, აბა
სცადოს, მერე დახედოს,
უკვე დაწერილს დააკვირდეს,
რას ემგვანება“.

ბროდსკისეული მეტაფიზიკურ-მოდერნისტული ქარგა გასდევს რატიანის შემოქმედებას და სტრიქონების არასწორხაზოვან ჭრილებს. მისეული სიმშვიდე, ანტიექსპრესიულობა, ანტიირონია, არაამბიციურობა აყალიბებს ამ პოეტის იდეოლოგიას. დიდი დოზით, ხანდახან ფრაზის დონეზეც კი ჩანს მისი ერთ-ერთი სულიერი მამა, ბესიკ ხარანაულიც, თუმცა ,,გავლენების" სტერეოტიპული გაგებისგან აქაც შორს უნდა დავდგეთ. ,,ერთერთი" იმიტომ ვთქვი, რომ ეს ავტორი მრავალთა და მრავალთა გავლენას განიცდიდა თუნდაც იმ ავტორთა მხრიდან, ვისაც ინგლისური ენიდან თარგმნიდა და იმდენად დიდი იყო მათი რიცხვი, რომ თითქოსდა იქმნებოდა ერთგვარი პოეტური პოპ არტი. გავლენების შესახებ თვითონაც აღუნიშნავს, მანამ არ დაიბადა სრულიად ახალი სტილი - ბოლო წლების ლექსები. ფორმისა და ძიებებისგან თითქმისდაცლილი, გავლენებგახდილი ავტორი უბრალოდ მონოლოგებს წერს:

„მადლობა დღეებს, რომლებიც არ მახსოვს. რომლებმაც ჩაიარეს უკვალოდ, არაფერი შემმატეს, არაფერი წამართვეს, ვერაფრით დამამახსოვრეს თავი".

მან გაიარა ძიების ეტაპები, ფორმის ჩამოყალიბების პროცესი და ახლა უბრალოდ გამოთქვამს სათქმელს, ისე, როგორც მხატვარი ხატავს სწორედ იმგვარად, როგორც მას უნდოდა ყოველთვის, უბრალოდ იცოდა, რომ როგორც ნიცშე ამბობს, გამოტოვებას არ აპატიებდა არც ერთი საფეხური.

მთლიანობაში კი ეს არის მონანიების პოეზია. ავტორი თავისავე სამყაროს ანაწილებს ლექსებში, წერს იმას, რასაც ვერ ეუბნება ადამიანებს. ასე გგონია, ლირიკული გმირი თავის იმართლებს და საინტერესო ფსიქოლოგიურ პრეფერენციებს უშვებს რეალური ცხოვრების წინაშე. საკუთარი თავის კრიტიკით ერთგვარ ტრამპლინს ამზადებს მკითხველისავე ხელით მარადიულ ფასეულობათა საუფლოში გადასანაცვლებლად. ვერ იტყვი, რომ ეს გარკვეული შემოქმედებითი თუ ადამიანური ეშმაკობაა, რადგან გულწრფელობის ფონზე იმდენად თეთრი ხელთათმანივით გესვრის სიმართლეს და იმავდროულად იმდენად ნაივურად გენდობა, იქნებ დაუნდობელ, იქნებ გულღრძო და იქნებ მკაცრზე მკაცრ მკითხველს, რომ შეუძლებელია, ჯერ არ ენდო და შემდეგ კი არ დაუფასო ერთდროულად ადამიანური და პოეტური მდგომარეობა. თუმც კი ხანდახან მაინც იცავს თავს და ამისათვის თვითირონიას მიმართავს ხოლმე. ამით თითქოსდა თავს იზღვევს თავისი გადაჭარბებული გულწრფელობის გამო, რომ სანამ მასზე გაიღიმებენ, თვითონ დაასწროს და საკუთარ თავზე გაიცინოს. **,,რომ შემდეგ ჯერზე, შემდეგ ცდაზე იქნებ დავემთხვე ჩემს თავს, ჩემს სახელს,სულერთია სად დავემთხვევი – სიზმრად თუ ცხადში**." – ამბობს იგი, მაგრამ ისევე როგორც არც ერთი სხვა პოეტი, ისიც ვერ ემთხვევა თავის შემოქმედებას.

რატიანი ისე აგვარებს ლექსის წერის საქმეს, თითქოს არც ახდენს რეალობის ტრანსფორმაციას. დოკუმენტალისტურ რიტორიკაში იგი ოსტატურად ურთავს პოეტურად ნიშნეულ ხედვებს და სწორედ ამ პასაჟით იძენს ერთ-ერთ ფასეულ შტრიხს მისი შემოქმედება.

ის, ვისაც საფუძვლიანად აქვს წაკითხული მისი პოეზია და თარგმანები, ის, ვინც პირადადაც იცნობს მას, დამეთანხმება, რომ მას აქვს იშვიათი ,,პოეტური სმენა" და სიტყვის, როგორც ეტიმოლოგიური ნიმუშის და სიტყვის, როგორც ცოცხალი არსების იშვიათი შეგრძნების უნარი. და მით უფრო გაუმართლებელია, როცა მასთან ცოტა არ იყოს უგემოვნო სიტყვებს და ფრაზებს აღმოაჩენ: **,,და წერდა ხელი, ილეოდა ფინჯანში ყავა", ან ,,დილის მზეში გათქვეფილი თბილისი"**, ან **,,იწვის სანთელი"** და ა.შ.

ზვიად რატიანი ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომელიც არ გაურბის ლექსებით შექმნას ნახევრადმონუმენტური ეპოქალური ტილოები. იგი მიჯნების საუკუნეში ცხოვრობს და ჟამიდან ჟამზე აფიქსირებს წნეხში მოყოლილი ამა თუ იმ თაობის სათქმელს, იმ სათქმელს, რომელიც ვერ ითქვა, ჩაიყლაპა იმ ადამიანების დათრგუნულ ცნობიერებაში. ასეთია ლექსი ,,მამები". დაკარგული თაობის მონოლოგია ლექსი ,,რეკვიემი ცოცხლებისათვის". წინა საუკუნის კოლიზიათა მიჯნაზე მოხდილი ბინძური ქაფივითაა ლექსი ,,ნეგატივი – 20 წლის შემდეგ", სადაც ავტორი დაუნდობლად ფენს ყველა სიავეს, რადგან იცის, ეს მის გარდა მისსავე ეპოქას გააჩნია და ამას არ აკეთებს ეპატაჟისთვის. არც გულის მოოხებას არ ცდილობს საკუთარი კომპლექსების დემონსტრირებით. ყოველი ბოროტი საქციელი ისე განიხილება, თითქოს ად-

ამიანმა იგი უცოდველობის მდგომარეობაში ჩაიდინა. ანუ, როგორც კანტი თვლის, ეს არის ,,ადამიანის თვითნებობის პირველადი გამოვლენა", მას ეს არ უნდა გაეკეთებინა და პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული აღიარებს ამ ფაქტს. სწორედ მორალური კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გამო უჩნდება მოწიწების მოტივი, რომელიც აიძულებს ღირიკულ გმირს, აღსარება თქვას. ღირებულებათა სრული გაუფასურება, ნიჰილიზმი, უსაზრისობა ტვირთივით აწევს ამ ლექსის ყოველ სტრიქონს და აქვე არ შევიკავებ თავს ფინალური, ვრცელი ციტატისგან:

,,და ჩვენ არასდროს გამოვალთ
გარეთ,
ხმას აღარასდროს შევუერთებთ
შეშლილ ფანტომებს,
მთელ უკვდავებას მრავლისმეტყველ
დუმილში გავლევთ
და არსად, გარდა სიზმრებისა,
კვალს არ დავტოვებთ.
ხოლო სიზმრებში – იქ ვერასდროს
თავს ვერ დავაღწევთ
იმ წლებს, იმ გვამებს, იმ სამშობლოს,
სადაც უწყვეტად
ახალი სისხლი, თბილი სისხლი
წვეთავს ტალახზე,
სადაც შვილები მოკლულ მამებს
გვერდით უსხედან
და აღვიძებენ. იმ სიზმრებში
ისევ განგაშის
მჭახე და სისხლის გამყინავი
რეკენ ზარები
და ისევ, პალტოს საყელოში,
როგორც სანგარში,
თავჩარგულები, ბნელ ქუჩებში
მივიპარებით
და ვცდილობთ, დროზე გავერიდოთ
ქალაქს ნაომარს,
ფრთხილად ვაბიჯებთ იქ მიმოყრილ
შავ-თეთრ ბიჭუნებს;
უკნიდან ვიღაც გამუდმებით ყვირის
გაუმაარ...
ჩვენ კი ჩუმად ვართ, ისევ ყვირის.
ისევ სიჩუმე."

რელიგია შიშით და სიფრთხილით, უფრო სწორად, კრძალვითა და ცახცახით შემოდის მის ლექსებში. იგი შორსაა მორჩილებითი აბსტრაგირებისგან, როგორსაც, ვთქვათ შევხვდებით თომას ელიოტთან. და ამიტომ სუსტად, მაგრამ ნათლად ცდილობს ღმერთის ხატის, მისი ღირებულებების აღდგენას თავის თავში. იგი არ კოკეტობს, როცა ამბობს, რომ ,,**არ იცის არც ერთი ლოცვა**''. იგი არ თამაშობს ნაივურ ინფანტილიზმს, როცა წერს:

,,შემდეგ კი ლიფტში ვიდექი და
პირჯვარს ვიწერდი
და უეცრად გონს მოვეგე.
მეც გამეცინა
და მომეჩვენა, შენც დამცინე.
შენი არ ვიცი,
მე კი ჩემს ხელზე გამეცინა,
პირჯვრის წერისას გაშეშებულ
ხელის მტევანზე
და იმაზეც, რომ ის ლიფტიც კი
ზემოდან ქვემოთ ეშვებოდა.
ახლა მჭირდები,
რადგან ცხოვრება ბავშვობა
და სიბერეა,
რადგან ყველაზე საზარელი
მათ შორის გზაა,
რადგან მეც მიჭირს შუაგზაზე..."

ესაა რაღაც მომენტში უსაყრდენოდ დარჩენილი ადამიანის მცდელობა, აქ მაინც იპოვოს გამოსავალი. რატიანს ვერ უწოდებ ,,უღმერთოს", ისევე, როგორც ფრიდრიხ ნიცშე და მილონობით სხვა ადამიანის ,,უღმერთობა" სწორედ ღმერთისმაძიებლობასთან შეიძლება გავაიგივოთ.

,,რომ შენ თვითონ ხარ საკუთარი თავის სამშობლო" – ამბობს ერთ ლექსში და ისიც, როგორც სოფელ-ქვეყანა, არის სავსე ფასდაუდებლითა და იაფფასიანით, სიკეთითა და სიავით, სიბრძნითა და სიმჩატით, სიმდიდრითა და სიღარიბით. ასეთი არის ზვიად რატიანი - პოეტი და ადამიანი.

გია მურღულია

ლოკაუს სადგურის სევდა

თამაზ ჩხენკელმა რამდენიმე ათეული წლის წინ, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთი კარგი საქმეც გააკეთა - ბო ძიუ-ი (VIII-IX საუკუნეები) თარგმნა ქართულ ენაზე. იმ დროისათვის ეს ძალიან ეგზოტიკური იყო - ძველი ჩინური პოეზია ასე საყოველთაოდ არ იცნობებოდა. თუმცა ეგზოტიკურობის შეგრძნებას უმალ მოჰყვა აღტაცება და მოწიწებაც - ასეთი შეგრძნება მაშინ იბადება, როდესაც ჯერ არნახულის სიმაღლეს შეიგრძნობ. ამ პოეზიის მკითხველებმა სწრაფად და სამუდამოდ შეიცნეს დიდი ჩინელის მძლავრი და სათუთი ფიქრის ხიბლი. ყველასთვის ნათელი გახდა, რომ უზარმაზარი მაგიური სამყაროს მძიმე კარი შეიხსნა და ამ სამყაროს წიაღიდან მომდინარე ძახილი გონიერი და გემოვნებიანი კაცისთვის დაუძლეველი ცდუნება იყო.

ერთმა ლექსმა დიდი ხანია მიიპყრო ჩემი ყურადღება - უკვე იმდენჯერ წავიკითხე, ჩემს თავს თუ სხვას ვესაუბრე მასზე, რომ ახლა ძველი ნაცნობივით მყავს - თითქოს ლაპარაკიც აღარ არის საჭირო და უბრალოდ გაუღიმებ. და ეს ის შემთხვევაა, როდესაც შენს ღიმილს სწორედ ის ანიჭებს ურთიერთობისა („არაცოცხალთან" ურთიერთობის ესთეტიკა!) და გონიერების სიმაღლეს. ასეთ დროს ხანდახან ადამიანს გინდება, ლექსს სიყვარული აუხსნა.

მისი სათაურია „ლოკაუს სადგურის კედელზე ჩემს მიერ დიდი ხნის წინათ მიწერილი ლექსები" და ასეთია:

„კედელზე მიწერილ ჩემს მდარე
ლექსებს
კაცთა მოდგმისთვის არა აქვს ფასი.

ნიშანთა მწკრივი დაჰფარა მტვერმა
და ჟამთასვლისგან მოედო ხავსი.

მხოლოდ იუანი - ხელმწიფის კაცი,
სტრიქონებში რომ ღრმა განცდებს
ეძებს,

არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს,
აშორებს მტვერს და კითხულობს
ლექსებს".

მთავარ სათქმელამდე მთარგმნელის ერთი შენიშვნა უნდა გავითვალისწინოთ: „ამ ლექსში ნახსენები იუანი - იუან ჯენი, ანუ იუან ვეი-ჯი, იგივე იუან მეცხრე (მეცხრე მამაკაცი საგვარეულოში) - პოეტი და ბო ძიუ-ის უახლოესი მეგობარი იყო".

ახლა - მთავარი სათქმელიც.

რისთვის დაიწერა, რას და როგორ გამოხატავს ეს ლექსი?

როგორ იბადება ის განუმეორებელი, ბრძნული სისადავითა და ლაკონიზმით სავსე განწყობა, რომლის „დაწერაც" ყველაზე რთული ამოცანათაგანია პოეტისთვის?

ამ ყველაფერს ბო ძიუ-ი სიტყვა-კოდების მწკრივისა თუ სპირალის აკინძვით აღწევს. ეს სიტყვა-კოდები ერთმანეთს (ყველა - ყველას!) „ეშინაარსებიან", ფიქრისა და განცდის ერთიან ველს ქმნიან და ისე აღწევენ გენიალურ მთლიანობას, რომ საკუთარ მნიშვნელობებს არ კარგავენ.

მოდი, თავიდან დავიწყოთ.

რა არის სადგური? ეს არის მუდმივი მოძრაობა ადამიანებისა და საგნებისა - შეუჩერებელი ცვალებადობა. ის წუთისოფლის წარმავლობასა და მონაცვლეობასაც განასახიერებს - ვიღაც მოდის, სხვა კი მიდის. აქ არაფერია მდგრადი, უცვლელი, ერთ ადგილას შეჩერებული.

ასეთი „სადგურია" ხშირად თავად ადამიანიც - მუდმივად ცვალებადი ღირებულებებით, ფიქრითა და გრძნობით.

რა არის კედელი? ეს არის უძრავი, მდგრადი, შეუცვლელი რამ. კედელი სადგურზე კონტრასტს ქმნის უძრაობისა მოძრაობასთან, მარადიულისა წარმავალთან. კარგი ლექსი ღირებულებების, უღრმესი ადამიანური რაობის გამომხატველია. კედელზე მიწერილი ლექსი ამ ღირებულებებისა და რაობის მარადისობასთან წილნაყარობაა - მხოლოდ ის არ იცვლება, მის გვერდით კი (სადგურზე) მუდმივი გადაადგილება და ცვალებადობაა. ეს კედელი მხოლოდ სადგურისა არ არის. ის ჩვენი სულების კედელიცაა - რაღაც შეუცვლელს რომ დაგვანახვებს და მუდმივად ინახავს ჩვენში თუ ჩვენთვის.

რატომ არ აქვს ფასი ამ (თვითირონიით - „მდარე") ლექსებს კაცთა მოდგმისთვის? იმიტომ რომ, ეს მოდგმა მხოლოდ სადგურს ხედავს, განიცდის და აფასებს. კედელი მათთვის არ არსებობს - ისინი მას უყურებენ და ვერ ხედავენ, აღიქვამენ და ვერ ამჩნევენ, ჩაუვლიან და არ განიცდიან.მითუმეტეს ვერ ხედავენ ისინი ამ კედელზე მიწერილ ლექსებს - მათთვის ისინი სამუდამოდ დაკარგული, მეტიც - არარსებულია. წარმავალ ფასეულობებზე მიჯაჭვულ კაცთა მოდგმას აღარ სცალია მარადიული ამაღლებული ღირებულებებისთვის, როგორიცაა: სიყვარული, მეგობრობა, ღირსება, პატიოსნება, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა... ამის „სანაცვლოდ", ადამიანთა არსება გამსჭვალულია მტვერითა და ხავსით - გულგრილობით, უკეთურობით, მატერიალურისკენ უკიდეგანო სწრაფვით. ეს მტვერი და ხავსი კი დროთა განმავლობაში - ჟამთასვლისგან - კედელზე მიწერილ ნიშანთა მწკრივს ფარავს. აქ ჟამის მოხსენიება იმას მიანიშნებს, რომ ადამიანთა ბუნება და არასწორი სწრაფვა, ჭეშმარიტების სამწუხაროდ, დროში არ და ვერ იზღუდება.

მარადიული ღირებულებები რატომღა არ ქრება? ვინ უნდა გამოატაროს ისინი ამ „სადგურის წკვარამში"? ვინ უნდა დაძლიოს მატერიის პირქუში სიხარული და სადგურის თითქოს დაუმთავრებელი ბატონობა კედელზე?

მნიშვნელოვანია პასუხის დასაწყისი: „მხოლოდ"... (მასობრივ ცნობიერებას არ ძალუძს მტვრისა და ხავსის დაძლევა - ეს მტვერი და ხავსი ხომ მისივე დაბადებულია. ამის გაკეთება პიროვნების, ერთის ხვედრია).

არსებითია სრული პასუხი: „...იუანი - ხელმწიფის კაცი". როგორც ვახსენეთ, იუანი სრულიად კონკრეტული ადამიანი იყო, პოეტი და ბო ძიუ-ის მეგობარი, მაგრამ „ხელმწიფის კაცი" აქ ოდენ მაღალი რანგისა თუ თანამდებობის არისტოკრატს არ ნიშნავს. ეს არის ღირებულებათა მსახურების თავად იდეის პერსონიფიცირება. მხოლოდ ამგვარ პიროვნებას შეუძლია კედლის ლექსების გადარჩენა. ის ეძიებს და პოულობს კიდეც მათში „ღრმა განცდებს" - საგანთა და მოვლენათა შინაგან რაობასა და შესაბამის განწყობებს. სწორედ ასეთი ადამიანი ახერხებს მატერიალური, მიწიერი ფასეულობების (სიმდიდრე, სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე დგომა, ადამიანთა თაყვანისცემა, სურვილთა უპირობო რეალიზება) დაძლევას („არ ინდობს თავის ძვირფას მოსასხამს") და ეზიარება მარადისობის სისრულეს. ამ დროს კედლის მტვერი მოსასხამზე გადადის და ლექსები პირვანდელი სინათლით იკითხება.

არასდროს დაინდოთ თქვენი ძვირფასი მოსასხამები, როდესაც კედელზე დაწერილი ლექსები გელიან! მათი მარადიული სევდა იქნებ სწორედ თქვენი განსაქარვებელია.

რუსუდან ბეჟაშვილი

,,ჯევდეთ ბეი და მისი ვაჟიშვილები"

ასეთი დიდი ოჯახური საგა კარგა ხანია არ წამიკითხავს, მგონი, ,,ბუდენბროკების" შემდეგ...

თავად ავტორის, ორჰან ფამუქის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: ,,...წერა სწორედ შინაგანი მზერის სიტყვებად ქცევა, იმ სამყაროს შესწავლაა, რომელშიც ადამიანი საკუთარ თავთან განმარტოებისას ხვდება და ამ ყველაფრის მოთმინებით, სიჯიუტითა და სიხარულით აღსრულებაა." ენა მარტივი, სიტუაციები ნაცნობი... ამ წიგნის კითხვისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდები, რომ ქართველები არც აღმოსავლელები ვართ და არც დასავლელები, მაგრამ გზის გასაყარზე ჩვენმა არსებობამ განაპირობა ის, რომ ორივესი კარგად გვესმის. მეგობრული ურთიერთობა, ფეხბურთის სიყვარული — სტამბოლში თითქმის იგივეა, რაც თბილისში. იქაც, დაახლოებით, ისევე ხდება ამ ორი ცივილიზაციის თანხვედრა, როგორც ჩვენს სამშობლოში, თუმცა ჩვენ ჩვენი ქრისტიანობის გამო, უფრო მეტად ევროპელებად მოგვაქვს თავი. წიგნში, მოგეხსენებათ, თურქეთის რესპუბლიკის ჩამოყალიბების გზაა ასახული; უხვად შეხვდებით სახეთა მრავალფეროვნებას და იდეების ათასგვარ შეხლა-შემოხლას. რევოლუციურ იდეას რაც შეეხება, ჩემი აზრით, ეს ალბათ ოდესღაც პროგრესული იყო, მაგრამ ახლა უკვე დრომოჭმულია და ყავლგასულიც, თუ გნებავთ. თუმცა ამ წიგნში ძველის, სწორედაც რომ დრომოჭმულის ახლით შეცვლის მსურველებს ჰქვიათ რევოლუციონერები. ზნეობრივ ღირებულებებზეც ბევრს კამათობენ ჯევდეთ ბეის ვაჟები და წიგნის სხვა გმირებიც. საინტერესოა პანთურქიზმის მიმდევარი პედაგოგის ქადაგება ევროპული იდეებით შეპყრობილი პოეტის წინაშე; იგი ეუბნება პოეტს, რომ მას არა აქვს იდეა და ამიტომაა უბედური, ამიტომაც საერთო თურქული იდეის ქვეშ გაერთიანებას ურჩევს. ეუბნება, რომ გონების გარდა, გრძნობაც მოგვცა ღმერთმა და გულანთებული მიმართავს: ,,თურქეთის დროშის დანახვაზე, ჰათაის მოვლენებზე გული არ გიჩქროლდებათ? ...აენთეთ, ირწმუნეთ, საზოგადოებას შეუერთდით... ცოტა ხნით გონება ჩააჩუმეთ, აი, მაშინ იქნებით ბედნიერი..."

ჯევდეთ ბეის ვაჟები: ოსმანი და რეფიქი.

ერთი — ტრადიციული, ვაჭარი (მამის მსგავსად), მეოჯახე;

მეორე — განათლებით ინჟინერი, მოწოდებით რევოლუციონერი.

ქალიშვილი აიშე — შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ (მანამდე მშობლების მორჩილი, უენო), სულ სხვა ქალად იქცა, დაიწყო თავისუფლად აზროვნება, უჩნდება პიროვნულობის ნიშნები.

პოეტი მუჰითთინი მართლაც მოექცევა ნაციონალური იდეების გავლენის ქვეშ და მოგვიანებით რეფიქს, მის სახლში წიგნს რომ შენიშნავს, ეუბნება: ,,ჰოლდერლინს კითხულობ? ერთ დროს მეც მაინტერესებდა, როგორც პოეტი, მაგრამ გული ვერ დავუდე. ამ ევროპელების სული ჩვენთვის ძალიან უცხოა. თანაც ის ბერძნების თაყვანისმცემელია... ისინი ჩვენგან შორს არიან, მათთან ერთად ფონს ვერ გავალთ. ადამიანს გონებას ურევენ."

ჯევდეთ ბეის ვაჟი კი პირიქით ფიქრობს: — მათგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთო, — ეუბნება. ,,გონების სხივი გვჭირდება, რომ ჩვენში ბარბაროსობა და დესპოტიზმი დავამარცხოთ."

თაობათა ცვლასთან ერთად იცვლება ცხოვრებისეული შეხედულებები, თუმცა იმ წარმომადგენლებში, რომლებსაც შემოქმედებითი მიდრეკილებები აქვთ; არა იმ კონსერვატორულ ხაზში, რომელსაც ამ დიდი ოჯახის ნაწილი გამუდმებით მისდევს; ვაჭარი ყველა საუკუნეში ვაჭარია, ხიბლავს კეთილდღეობა და ოჯახური მყუდროება, მათ ძნელად ესმით თავიანთი თავზეხელაღებული და გაუცხოებული ,,ძმებისა".

მკითხველის სიმპათიას იმსახურებს ჯევდეთ ბეის შვილიშვილი, მხატვარი აჰმედი. მამამისი ფერიქიც ხომ მეტად საინტერესო ადამიანი იყო, არ აკმაყოფილებდა ბიურგერული სიმშვიდე, ნიადაგ რაღაცის შეცვლაზე ფიქრობდა: მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უყვარდა მეუღლე, ოჯახური ყოველდღიურობის რუტინას გაექცა, რის გამოც კიდევ უფრო გაუცხოვდა ნაცნობ-მეგობრებისაგან. (აჰმედი და მისი მეგობარი გოგონა ძველი თურქულით დაწერილ მის დღიურებს მოგვიანებით ეცნობიან და იქ ბევრ საინტერესოსა თუ სახალისოს პოულობენ. ფერიქის დღიურები ხომ კიდევ ცალკე თემაა). ეს ორი ადამიანი მარადიულ ღირებულებებს ესწრაფვის და ჭეშმარიტების ძიებაშია. მოცემულ სოციუმში მათი ცხოვრების წესი გაუგებარია. სიტყვა გამიგრძელდა, შესაბამისად კითხვაც... ფინალი: ჯევდეთ ბეის მეუღლე, მრავლის მომსწრე და ყველას დამმოძღვრავი ბებია, — უნებურად მარკესის ურსულას რომ მოგვაგონებს, — ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა; ,,ჭირი იქა, ლხინი აქა..." დავასრულეთ კიდევ ერთი წიგნი და გავხდით ალბათ, ცოტათი ,,უფრო უკეთესები" ვიდრე ვიყავით. ორჰან ფამუქისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, მწერლობაზე რომ ამბობს სანობელო სიტყვაში: ,,... გამოვიკეტებით თუ არა, უმალვე აღმოვაჩენთ, რომ არც ისე მარტოები ვართ, როგორც გვეგონა. გარემოცულნი ვიმყოფებით მათი სიტყვებით, ვინც ჩვენამდე დაიბადა — სხვა ხალხის ამბებით, სხვა ხალხის წიგნებით, სხვა ხალხის სიტყვებით — იმით, რასაც ტრადიციას ვუწოდებთ. მჯერა, რომ ლიტერატურა ყველაზე ღირებული განძია, რაც კი კაცობრიობამ საკუთარი ძიების გზაზე დააგროვა."

მწერალი

ზაალ სამადაშვილი:

„ადამიანები, როგორც ამბები, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს“

ბოლო დროს ლიტერატურულ პროცესში ისე აღარ არის ჩართული, როგორც რამდენიმე წლის წინათ, თუმცა მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე გაცილებით მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს, ვიდრე ჟურნალ-გაზეთების გამოშვება ან მოთხრობების წერაა. ვეჭვობ, ლიტერატურის ბევრი მოყვარულისთვის მწერლის ეს გადაწყვეტილება სასიამოვნო იყოს, მაგრამ თავად დაჟინებით იმეორებს, რომ იქა დგას, სადაც უნდა იდგეს და სხვაგვარად არ ძალუძს.

ლიტერატურული პაუზა შეგნებულად აიღო და როდესაც ამ საქმიანობას დაუბრუნდება, ბავშვებისთვის აპირებს წერას, ყოველ შემთხვევაში, წერისწინა განწყობა ასეთი მექნებაო. თუ ჩანაფიქრი გამოუვა და მისი ნაწერები მოზარდებს დააინტერესებს, ბედნიერი იქნება, რადგან ამქვეყნად ყველაზე დიდ შეფასებად პატარა ადამიანების სიყვარულს მიიჩნევს.

ყოფილი მწერლები არ არსებობენ. მიუხედავად იმისა, რომ კალამი შეგნებულად გადადო გვერდზე, ლიტერატურა მაინც არ ასვენებს. ახლაც, ორიოდე კვირაში ახალი კრებული „მოთხრობები ბიჭებისთვის“ გამოვა, რომლითაც შეეცდება კაცური ამბებით თინეიჯერი ბიჭები დააინტერესოს და კომპიუტერის ნაცვლად ხელში წიგნი ააღებინოს. აისრულებს თუ არა სურვილს, მომავალი გვიჩვენებს, ჩვენ კი, ვიდრე „ბავშვთა სამყაროში“ გადაჭრილა, მომენტით ვისარგებლეთ და „სადიდო“ ლიტერატურაზე ვესაუბრეთ.

— ბატონო ზაალ, ახალი საუკუნის დასაწყისიდან 10 წელი გავიდა. რა მოხდა ამ პერიოდში თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში, რა შეიცვალა და რა — არა, რა განვითარდა ან გადმოჰყვა მას ძველი დროიდან?

— ყველაზე ღირებული და საინტერესო, რაც თანამედროვე მწერლობას XX საუკუნიდან გადმოჰყვა, მრავალფეროვნებაა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, მიუხედავად საზოგადოებრივ-პოლიტიკური კატაკლიზმებისა, ლიტერატურა მრავალფეროვანი იყო და ყველა თაობა ძალიან კარგად ავლენდა საკუთარ შესაძლებლობებს — ცოცხალი კლასიკოსებიც და ახალგაზრდობაც, რომლებიც დღესაც აგრძელებენ წერას. მათ საკუთარი თავიც შეინარჩუნეს მწერლობაში და მკითხველიც. ის, რაც იმ პერიოდში იწერებოდა, დღესაც საინტერესოა – თუნდაც ოთარ ჭილაძის რომანები. XXI საუკუნემ თავისი ავტორები მოიტანა. რამდენიმე თვის წინ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა ლადო კილასონიას მოთხრობები, რომლებმაც მომხიბლა თხრობის ძველებური, მონატრებული ყაიდით. ეს ახალგაზრდა კაცი, რომელიც ამ საუკუნის პირმშოა, ჩემი საყვარელი ავტორებივით წერს. კი არ ბაძავს, უბრალოდ, ასე ეწერება, ძველებურად უნდა ამბების მოყოლა. „ძველებური“ შემთხვევით არ მიხსენებია. ეს სიტყვა ჩემთვის ძალზე ღირებულია და „კლასიკურს“ უახლოვდება. ძველებური თხრობა კარგ ღვინოს ჰგავს, თავისი სიძველით რომ ფასობს. არ მიყვარს ყალბ ეფექტებზე დაფუძნებული სტილი, რომელსაც ჯერ კიდევ XX საუკუნის 10-20-იან წლებში გაუვიდა ყავლი.

— ეფექტებში რას გულისხმობთ?

— თუნდაც სიტყვათმთხზველობას, როცა ცდილობენ სიტყვათა თამაშის ახალი ვერსიები შემოგვთავაზონ. არის მეორე მხარეც, როდესაც მწერალი ადამიანური სისუსტეების ნატურალისტური ჩვენებით მანიპულირებს, თითქოს ტრაბახობს, რა სიღრმეებში შეუძლია ჩასვლა, თუმცა იქიდან მხოლოდ სიბინძურე ამოაქვს. ძირითადად პათოლოგიურ გადახრებზეა ლაპარაკი, რაც ძალიან არ მომწონს.

— თუმცა ბოლო წლებში სწორედ ამ ტიპის მწერლობამ იმძლავრა, სადაც აქცენტი პათოლოგიურ გადახრებსა და მოტივტივე ჭუჭყზეა.

— გეთანხმები და უპირველესად ეს ფრანგებისთვისაა დამახასიათებელი. დიდი ხანია, თანამედროვე რუსი ავტორები არ წამიკითხავს, მაგრამ 90-იანებში მათთანაც იგრძნობოდა მსგავსი გავლენები. როგორც ყველაფერს დედამინის ზურგზე, ასეთ ლიტერატურასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ჩემთვის, როგორც მკითხველისა და მწერლისთვის, ეს სრულიად უინტერესო და მიუღებელიც კი არის.

— გასული 5-6 წელი ძალზე ნაყოფიერი იყო თქვენთვის, ზედიზედ რამდენიმე კრებული გამოეცით. როგორ მუშაობდა მათზე მწერალი?

— კრებულზე მუშაობის ჩემებური „მეთოდი“ მაქვს შემუშავებული: ახლებთან ერთად აუცილებლად შემაქვს ძველი მოთხრობები, რომლებიც ხელმეორედ გადაკითხვას იმსახურებს, ანდა ერთმანეთს უხდება და ერთიან კომპოზიციაში ჯდება. ასეთი გახსენება ჩემთვისაც საინტერესოა, რადგან პერიოდულად საკუთარი ნაწერების მიმართ დამოკიდებულება მეცვლება: ხან მომწონს, ხან — არა. ეს გასაკვირი არ არის, მსგავსი გაორება საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულად განწყობილ ყველა მწერალს ახასიათებს.

ცოტა სხვაგვარია ბოლო კრებული „დუეტი,“ რომელიც 2008 წელს გამოვიდა. მოთხრობების გარდა მასში ჟანრობრივად განსხვავებული ნაწერებიც შევიტანე, რომელთაც მე ნოველისა და ესსეს სინთეზს ვუწოდებ. ბოლო დროს ძირითადად ამ ტიპის ტექსტები გამომდის; არც ნოველაა, არც — ესსე. ძნელია ჟანრის დადგენა.

ვინც თავის დროზე „ქომაგს“ კითხულობდა, შეიძლება ახსოვდეს ჩემი სვეტი — „მკითხველი მკითხველს გადაეყარა,“ სადაც ორი მკითხველი ახალ გამოცემებს განიხილავს და საყვარელ ავტორებზეც საუბრობს. საბოლოოდ ყველა სვეტი ჰემინგუეის ხსენებით მთავრდება, რომელიც ამ საუბრებს სიუჟეტურად კრავს. „დუეტში“ ეს ჩანაწერებიც შევიდა.

— ვიკიპედიაში მწერალ ზაალ სამადაშვილის შესახებ დადებულ სტატიაში ვკითხულობთ, რომ თქვენი Magnum opus კრებული „სანდრო კანდელაკის ჩექმაა.“ ეთანხმებით ამ ფორმულირებას?

— არა, არ ვეთანხმები. ჩემს კრებულებში ყველაზე მეტი ინტერესი „პლეხანოვურმა ამბებმა“ გამოიწვია, ძალიან სწრაფად გაქრა წიგნის თაროებიდან, რასაც ვერ ვიტყვი „სანდრო კანდელაკის ჩექმაზე“. ამ ფაქტმა ისეთი სიხარული მომანიჭა და იმდენად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, რომ ეს კრებული ყველაზე მეტად მეძვირფასება. შესაძლოა, სუბიექტური ვარ და ხარისხით „სანდრო კანდელაკის ჩექმა“ სჯობს, მაგრამ „პლეხანოვურ ამბებს“ უფრო ვაფასებ. თან გარეკანიც მიყვარს, დანგრეული კიბეებით და გორგოლაჭიან თოკებზე ჩამოკონწიალებული სარეცხით — როგორც ჩემს ბავშვობაში იყო და ახლაც არის.

— თქვენი მოთხრობები ძირითადად „ძველ“ ამბებს ეხება. ახალ დროზე წერა ჯერ არ მოგდომებიათ?

— მართალია, დრო მიედინება, საუკუნე საუკუნეს ენაცვლება, თუმცა ადამიანები, ისევე, როგორც ამბები, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს. ჩემი პერსონაჟები გარდატეხის ასაკიდან ბიჭობაში შემავალი ახალგაზრდები არიან. მათზე თხრობით ისტორიის რაღაც ეტაპის ჩვენებაც შეიძლება, იმის, თუ რა ხდება მათ ქალაქში, ქუჩაზე, სულში, ამიტომ ჩემთვის ძველი ამბები ძალიან ახალი ამბებიცაა და ერთგვარი ხერხიც მათ გასაანალიზებლად. სხვათა შორის, ამ ხერხის გამოყენებით „სატყუარას“ ვამზადებ ახალგაზრდა მკითხველისთვის. სულ მალე გამოვა ჩემი ახალი კრებული — „მოთხრობები ბიჭებისთვის,“ რომელშიც ამ თემაზე დაწერილი ტექსტები შევა. ვნახოთ, რამდენად დაინტერესებს იგი ყმაწვილებს. ვიმედოვნებ, გოგონებსაც გაუჩნდებათ სურვილი, გაიგონ, რა აზრები უტრიალებთ თავში მათ მეგობრებს და ამ წიგნს გადაშლიან. სხვათა შორის, ახალი კრებული ბიჭებისთვის შემთხვევით არ მიხსენებია. ზოგადად, ჩემი ოცნებაა, საბავშვო მწერლად აღმიქვან. რაღაც პერიოდის შემდეგ, როდესაც ისევ მოვიცლი მოთხრობებისთვის, მინდა, ბავშვებისთვის ვწერო. ეს არ ნიშნავს, რომ რომანები, ლექსები და მოთხრობები ნაკლებად მნიშვნელოვანია, უბრალოდ, ჩემი ცხოვრების ამ ეტაპზე ასეთი სურვილი მაქვს.

— ამასთან დაკავშირებით, მინდა გავიხსენო ეპიზოდი მოთხრობიდან „გიგის მაგიდა“, სადაც თქვენთან ერთად მყოფი ლიტერატორი რობერტ ლუის სტივენსონს საბავშვო მწერლად მოიხსენიებს. „ლიტერატორი რომ არ ყოფილიყო, ავუხსნიდით, მაგრამ რაკი ლიტერატორი იყო, აღარ ავუხსენით, რომ მწერლები საბავშვოებად და სადიდოებად არ იყოფიან...“ — პასუხობთ თქვენ.

— ეს მე არ აღმომიჩენია, დიდი ხნის წინათ ითქვა. ასე ფიქრობს ყველა ჩემი საყვარელი ავტორი — მარკ ტვენი, ბორხესი, ჯეკ ლონდონი, ჰიუგო, ლინდგრენი, ჟორჟ სიმენონი. იგივე შემიძლია მოგახსენოთ ჟანრებზე, კონკრეტულად კი დეტექტივზე. ამ შემთხვევაში ბორხესს დავესესხები, რომელმაც ძალზე სერიოზული არგუმენტები მოიყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ დეტექტივის წერა ურთულესი საქმეა. ამ ჟანრში მუშაობა დიდ ოსტატობას, სიღრმეებში წვდომასა და ადამიანის ფსიქოლოგიის სერიოზულ ცოდნას მოითხოვს, ამიტომ მისი აგდებით მოხსენიება არასერიოზულია. რაც შეეხება მწერლების დაყოფას, ეს საკითხი კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. იმას, რომ ავტორები სადიდოებად და საბავშვოებად არ იყოფიან, საკუთარ მაგალითზე გიამბობთ:

„დონ კიხოტის“ გაცნობა 13 წლისამ დავიწყე. მართალია, ზოგიერთ ადგილს, რომელიც იმ ასაკში ნაკლებ საინტერესოდ მეჩვენებოდა, ვტოვებდი, მაგრამ ხომ მივედი იქამდე? გამოდის, რომ ეს დიდი წიგნი 13 წლის ბიჭის საკითხავიც ყოფილა. მართალია, ადგილ-ადგილ, ამოკენკვით, მაგრამ მაინც. რასაკვირველია, მეორედ და მესამედ უკვე სხვანაირად წავიკითხე და დღეს კიდევ უფრო სხვა სიღრმეებს ვპოულობ. დიდი წიგნები იმიტომაცაა დიდი, რომ ყოველ ჯერზე აღმოჩენებს აკეთებ. ეს მარადიული წიგნებია.

იგივე შემიძლია ვთქვა ჩემს უსაყვარლეს რომანზე, რომელზე ლაპარაკიც არ მბეზრდება — ეს არის ვიქტორ ჰიუგოს „საბრალონი.“ ანდა, „ომი და მშვიდობა,“ რომელსაც დაახლოებით იმავე ასაკში ვკითხულობდი. რასაკვირველია, უფრო მეტად დუელებისა და ბრძოლის სცენებს ვეძალებოდი და აქაც ვტოვებდი „უინტერესო“ ადგილებს, მაგრამ ხომ ვკითხულობდი? სწორედ ამიტომ არის ისიც დიდი წიგნი. „საბრალონში“ უფრო მეტი საინტერესო იყო ჩემთვის, თუნდაც ბარიკადების სცენები, კოზეტას ამბავი, თუმცა, ფილოსოფიური განსჯანი იმ ასაკში ნაკლებად მიზიდავდა.

შემიძლია საპირისპირო მაგალითიც მოგიყვანოთ: რატომ ვკითხულობ ახლა, 50 წელს გადაცილებული, „პეპი გრძელიწინდას“ ისეთივე გატაცებით, როგორც წლების წინ, როდესაც ეს წიგნი პირველად ავიღე ხელში? ანდა, რატომ არის დღემდე ჩემი უსაყვარლესი პერსონაჟი კომისარი მეგრე? იმიტომ, რომ ყოველგვარი დაყოფა პირობითია. არსებობს კარგი ლიტერატურა და არსებობს მდარე ლიტერატურა, რომელიც, თუ დაგავიწყდება, კარგია, თუმცა მაინც უნდა წაიკითხო.

— მოთხრობაში „თავისუფლების მაძიებელნი“ წერთ: „ძმები გონკურების აზრით, ყველა კარგი მწერალი თავის ოპტიკურ ხელსაწყოს ქმნის, რომლის მეშვეობითაც მკითხველი ახლებურად აღიქვამს როგორც გარე, ისე შიდა, საკუთარ სამყაროს.“ შეძლო თუ არა მწერალმა ზაალ სამადაშვილმა ასეთი ხელსაწყოს გამოგონება?

— ჩემს შემთხვევაში ეს არის ის, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდი, ანუ ძველი ამბების საშუალებით ახლის ჩვენება და გაანალიზება. ჩემი ხელსაწყო ერთგვარი კალეიდოსკოპია, დროის მანქანა, რომლითაც ბრუნდები წარსულში მომავლის აღმოსაჩენად. რამდენად ზუსტია იგი, რამდენად კარგად ახერხებს მკითხველი მის გამოყენებას და გამოადგება თუ არა რამეში, სხვა ამბავია. თუ გამოადგება, ჩემი წარმატებაა.

— ეს მკითხველზეც არის დამოკიდებული, ანუ, გააჩნია, ვინ კითხულობს.

— რასაკვირველია, თუმცა ვცდილობ, ჩემს მკითხველს განსაკუთრებული მომზადება არ სჭირდებოდეს. მოგეხსენებათ, არიან ავტორები, ქართველებიც და უცხოელებიც, რომელთაც სპეციალურად მომზადებული მკითხველი სჭირდებათ. ეს ცუდი არ არის, მათი უმეტესობაც არაჩვეულებრივი მწერალია, თუმცა პირადად მე ამას ვერიდები.

— მოთხრობაში „მემოთხრობეებსა და თხრობაზე“ ვკითხულობთ: „ამ ბოლო დროს, ჩემი დაკვირვებით, ლიტერატორებს გაკეთებული მოთხრობები უფრო მოსწონთ. შესაძლოა, ვცდები, მაგრამ რომ არ მოსწონდეთ, ხომ არ შეაქებდნენ? რას ვგულისხმობ კეთებაში, უფრო სწორად, რომელი ტექსტი მგონია გაკეთებული? ალბათ, ის, რომელსაც შესრულების თვალსაზრისით ნაკლს ვერ უპოვი, მაგრამ გრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორმა მთელი ენერგია ჩანაფიქრის უშეცდომოდ განხორციელებას შეალია, ნაცვლად იმისა, რომ ენერგია მისი გაცოცხლებისთვის დაეხარჯა.“ ტექსტები, რომლებიც გლუვია კარგად გაპრიალებული ხის მაგიდასავით, მაგრამ გრძნობას ვერ აღგიძრავს, მკვდარია. როგორ ფიქრობთ, რისი ბრალია ეს, ნიჭის ნაკლებობის თუ სხვა მიზეზიც არის?

— ეს ის შემთხვევაა, როცა მარტო ხელობა იცი. იცი, როგორ უნდა დაიწყო, დასრულო ნაწარმოები, წარმოაჩინო ესა თუ ის პერსონაჟი და უფრო შორს ველარ მიდიხარ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უნიჭობასთან. ამავე დროს, ეს არის აკვიატება, გერქვას მწერალი. ასეთი ადამიანები უმეტესწილად გრაფომანები არიან და არ იციან მთავარი: ის, რომ ნაწერის მხატვრულ ტექსტად ქცევისთვის წერის ტექნიკის გარდა, სხვა რამეცაა საჭირო — სიცოცხლის ჩუქება. ეს კი ყველას არ შეუძლია. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ხერხი მაქვს ნამდვილი და ყალბი ტექსტების გასარჩევად: მკვრადშობილი ტექსტი ძალიან სწრაფად მავიწყდება, ნამდვილ ლიტერატურას კი მეხსიერებიდან ვერ წაშლი. როგორც ჩანს, ჩემი ტიპის მკითხველში უნებური გადარჩევა ხდება, ერთგვარი ბუნებრივი ფილტრი მოქმედებს: ცუდი ტექსტი მეხსიერებიდან იშლება, რათა მეტი ადგილი დატოვოს კარგი ნაწერისთვის. არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, რადგან ვიცნობ ბევრ მკითხველს, ვისაც ყველაფერი ამახსოვრდება, ღირებულიც და უხარისხოც.

— და ბოლოს, მოთხრობაში „სიურეალისტთა ძველი თამაშის გახსენება“ არის ასეთი მონაკვეთი: „მწერალი გამუდმებით სწავლობს, სწავლობს ცხოვრების ბოლომდე, იქამდე, სანამ გონება და ხელი გამართულად ემსახურება...“ პირადად მე მეჩვენება, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ როლები უნდა შეიცვალოს და მწერალი გახდეს ოსტატი, რათა სხვები იყვნენ მისი შეგირდები.

— ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგება, თუმცა არის ერთი „მაგრამ“: მწერალს მუდამ უნდა ჰქონდეს შეგირდობის განცდა; ისწავლოს, ვიდრე პირში სული უდგას. როდის დაოსტატდება, ამას თავად ვერ დაადგენს და თუ დაადგენს, მისი საქმე წასულია. მწერლის ოსტატობის განსაზღვრა მკითხველის, ლიტერატურის მკვლევარის ან მისივე კოლეგის პრეროგატივაა. აქ ისევ ვუბრუნდებით კრიტიკულ დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ, რომელმაც არასოდეს უნდა გიღალატოს. და აქვე კიდევ ერთი საყვარელი ფრაზა ჩემი ყმაწვილკაცობის საყვარელი მწერლის, გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობიდან“: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში.“ ეს ზოგადად ძალიან დიდი ცხოვრებისეული ფორმულაა, რომელიც მარტო ლიტერატურას არ ეხება. განვითარება, ძიება, კრიტიკული დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი და განცდა იმისა, რომ ხარ შეგირდი, რომლის მასწავლებელიც არის ყველა და ყველაფერი შენს გარშემო, კარგ მწერალს მთელი ცხოვრება თან უნდა ახლდეს.

ესაუბრა ნანა კოტაიძე

მკითხველი

სვიმონ მასხარაშვილი:

„წიგნის კითხვა — აქამდე არნახული, არსად შეხვედრილი — მეორე „მე"-ს პოვნაა"

ვინც იცნობს ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილს, დამეთანხმება, რომ ამ ადამიანის უნიკალური მეხსიერება ხშირად გაოცებას იწვევს. ისტორიულ წყაროებს ის ზედმიწევნით იცნობს, ისტორიულ თემებზე მისი საჯარო ლექციები თუ სატელევიზიო გამოსვლები ყოველთვის ღრმაა, ანალიტიკურია, ემოციურია და ამიტომ - ძალიან ცოცხალი. მისი წიგნი „მატიანე ქართველთა" 2006 წელს საუკეთესო სამეცნიერო-პოპულარულ წიგნად აღიარეს. ის არაერთხელ გამოიცა.

ამბობს, მხატვრულ ლიტერატურასთან ჩემებური დამოკიდებულება მაქვსო. დავამატებდი – ისე, როგორც ყველაფერთან...

— მხატვრული ლიტერატურის მიმართ „შენეული" დამოკიდებულება რას გულისხმობს?

— ჩემთვის, საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა ესა თუ ის მწერალი რამდენად აღიარებული, რამდენად კითხვადია. არსებობს ნაწარმოებები, რომელიც შევიყვარე და მათ ხშირად ვკითხულობ. ზოგჯერ, წელიწადში რამდენჯერმე ვუბრუნდები. ასეთია, მაგალითად, დიუმას „სამი მუშკეტერი", შექსპირის პიესები, კაფკას ნოველები, ჰესეს „ტრამალის მგელი", გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი" და, რა თქმა უნდა, „ვეფხისტყაოსანი". ყოველ ჯერზე, მათში ახალ-ახალ რაღაცეებს ვპოულობ, აღმოჩენებს ვაკეთებ... ჰო, და კიდევ – მიუხედავად იმისა, რომ რუსული ცივილიზაციის მიმართ საშინელი პროტესტის გრძნობა მაქვს – არსებობს რუსი მწერალი, რომლის ერთი კონკრეტული ნაწარმოები ძალიან მიყვარს და ხშირად ვუბრუნდები. ეს მიხეილ ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტაა"...

— სრულიად განსხვავებული ავტორები, ნაწარმოებები ჩამოთვალე. რა ნიშნით გამოარჩიე ისინი, ასე რომ შეგიყვარდა?

— ეს ამოუწურავი სიღრმის ტექსტებია. რაც მთავარია, მათგან დიდ სიყვარული, დიდი სიკეთე მოდის. მახსოვს, როცა პირველ კლასში ვიყავი, დარტანიანი გავიხადე მეგობრად. შემდეგ ათოსს დავუძმაკაცდი, პორთოსთან იდენტიფიცირება დიდად ვერ შევძელი. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს", ბავშვობაში ავთანდილს ვბაძავდი, სიყმაწვილეში –ტარიელს... იმის თქმა მინდა, რომ ეს პერსონაჟები ძალიან მშობლიურია, ახლობელია ჩემთვის, მათგან მეგობრობას, სიყვარულს, თავგანწირვას, ვაჟკაცობას ვსწავლობდი. გადიოდა დრო და ამ ნაწარმოებებში სხვა ფილოსოფიის ამოკითხვას ვიწყებდი, სხვა სივრცეები მეხსნებოდა.

...მერე დავინახე, რომ როცა მეფე, დარტანიანისა და მუშკეტერების დაჯილდოვებას მოისურვებს, ჯიბეში მხოლოდ ორმოცი პისტოლი აღმოაჩნდება, ხოლო მდაბიო წარმომავლობის, უზნეო ბურჟუა ბონასიე მონარქზე გაცილებით მდიდარია, თავისი ცოლის, საეჭვო რეპუტაციის ქალბატონის მოსაძებნად ორმოცდაათ პისტოლს უხდის დარტანიანს. როცა კითხულობ, ხედავ - ეს წინაპირობაა იმისა, რაც საფრანგეთში ორასი წლის შემდეგ უნდა მოხდეს. თანდათან, რაინდობით, სიკეთით გამორჩეული მუშკეტერებისთვისაც, ცარიელი ქისა თავისტკივილად იქცევა და ისინი კომპრომისებზე წასვლას იწყებენ, თუმცა, ათოსი – არასდროს! ის მაინც ძველი, რაინდული, დონკიხოტური სამყაროს შვილია... დიუმა მარკიზი იყო, წარმომავლობით უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდა და ბრწყინვალედ იცნობდა იმ რეალობას, რომელზეც წერდა და იმ დიდებული სამყაროს აღსასრულის მოახლოვებასაც ხედავდა...

— რადგან საუბარმა მოიტანა - „დონ კიხოტი" საყვარელ წიგნებს შორის არ არის?

— ჩემთვის, „დონ კიხოტში" ყველაფერი ზედაპირზე ჩანს. სერვანტესი - დიუმასგან განსხვავებით, რომელიც ფაქტის მხატვრულ კონსტატაციას ახდენს - ერთგვარად წინასწარმეტყველებს, სწორედ ამიტომაა გენიოსი. დიუმასთვის სერვანტესისეული ტრაგიზმი ძალიან ახლობელია, მაგრამ ის ოსტატურად ფუთავს სინამდვილეს და ყოველ ჯერზე, როცა მას კითხულობ, გინდა მოძებნო, კიდევ რა შეფუთა. ბავშვობაში, სერვანტესის მძაფრი თხრობა ინტერესს არ მიღვიძებდა. დონ კიხოტი, ჩემთვის, წარუმატებელი ადამიანი იყო, მე უფრო სხვა გმირები მხიბლავდნენ... შემდეგ, ისევ დიუმასთან, ბიბლიურ პასაჟებს გადავაწყდი, ვნახე ადგილები „ქებათა ქება"-დან და ვიფიქრე: „ვაა, ესე იგი დიუმა ბიბლიისტიც ყოფილა! მასაც ის ადგილები ყვარებია, რომელიც მე მიყვარს!" ნაწარმოები როდის გიყვარდება? –როცა იქ საკუთარ თავს იპოვი, როცა აღმოაჩენ, რომ შენ და ავტორს ერთი და იგივე რამ გიყვართ, მაგრამ მწერალი კი არ ყვირის ამაზე, ცხვირწინ კი არ გიდებს ამას, არამედ შეპარვით გეუბნება, მიგანიშნებს. თანდათან ხვდები, რომ შენი საყვარელი გმირები, ავტორის სულიერი მდინარების ნაყოფებია და შენი ძმაკაციც სწორედ ავტორი ყოფილა!

— ამბობ, რუსულ ლიტერატურაში ერთადერთი ნაწარმოები მიყვარსო. რატომ მაინცა და მაინც „ოსტატი და მარგარიტა"?

— ბულგაკოვს სალხინებლიდან გამოყავს პონტოელი პილატე, რომელიც ქრისტეს სასუფეველში მიყვება. პილატეს ცხოვრების შესახებ ბერძნული წყაროებიც ბევრს არაფერს ამბობენ, ყოველ შემთხვევაში, იმ მწირი ცნობების მიხედვით ვერანაირ დასკვნას ვერ გააკეთებ, მხოლოდ ვარაუდს თუ გამოთქვამ. თუმცა ქართულ ენაზე შემორჩენილია ლუკა მახარებლისეული „სტეფანე პირველმოწამეს წამება", სადაც მოწამის სიტყვით მოქცეული პილატე პეტრე მოციქულთან მიდის, ინათლება და დიდი ქრისტიანი ხდება. ეს თხზულება სინას მრავალთავშია შესული. აშკარაა, ბულგაკოვი, ნაწარმოების წერისას, ქართულ წყაროებს არ იცნობდა, მაგრამ მასთანაც, პილატე სასუფევლის კაცია. როცა ასეთ კავშირებს პოულობ, გრძნობ, რომ ავტორი შენი ნათესავია. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის. მართალია, როცა კითხულობ, იმთავითვე ამაზე არ ფიქრობ, მაგრამ ის მუხტი, ემოცია მაინც მოდის... ცნობილი ფილმი რომ არის, „მაკულატურა", იქ სემუელ ჯექსონის გმირი, სანამ კაცს მოკლავდეს, ბიბლიიდან ერთ პასაჟს კითხულობს. ბიბლიის ეს თავი, ეზეკიელის წინასწარმეტყველება, განსაკუთრებულად მომწონდა. დაახლოებით ასეთი შინაარსი აქვს: უფალმა ისრაელის დასჯა, მისი ქონების გაცამტვერება ბრძანა. როცა იერუსალიმი ნაბუქოდონოსორის მიერ იქნა აღებული, მისი ქონება სხვადასხვა ტომებმა დაინაწილა, მათ შორის იყო ედომიც - ესავის მოდგმა. მართალია, ღვთის სიტყვა აღსრულდა და მისი დაშვებით გაცამტვერდა ისრაელი, მაგრამ ღვთის წინაშე, ედომის საქციელი უღირს ქმედებად შეირაცხა, რადგან იგი, შურითა და ბოროტებით აღძრული, დაეპატრონა თავისი ძმის ქონებას. მე დავუშვი ისრაელის შემუსვრა, მაგრამ შენ ხომ იაკობის ძმა იყავი, შენი ტყუპისცალის სამკვიდრებელში როგორ დაიდე წილი, მისი დაცემით როგორ ისარგებლე?! ამის გამო გავანადგურებ შენს მოდგმას,— ეუბნება მას უფალი და შემდეგ, მუქარის საშინელ სიტყვებს წარმოთქვამს. ქვენტინ ტარანტინომ ეზეკიელის ამ თავებიდან, მხოლოდ მრისხანე მუქარის სიტყვები გამოიყენა და ერთ-ერთ გმირს გაახმოვანებინა. ეს თავი იმიტომ მიყვარს, რომ მასში ვეფხისტყაოსნური, ქართული მუხტი დევს - „სულსა ვყიდი გულისათვის". მართალია, ღვთის სიტყვა ბეჭედია, მაგრამ ყველაფერი არჩევანზეა! სიყვარული, სიყვარული უნდა გეყოს რომ ასეთი ნაბიჯი გადადგა! ვფიქრობ, ბიბლიიდან სწორედ ეს მუხტი მოდის! აღმოვაჩინე, რომ წინასწარმეტყველის ეს თავი ტარანტინოსაც ასე ესმის, მასაც ასევე უყვარს. სამუელ ჯექსონის გმირი ამ პასაჟის წაკითხვის შემდეგ, თავის მსხვერპლს ყოველთვის კლავს, მაგრამ, ერთხელაც, როცა ამ სიტყვებს იტყვის, კაცს აღარ მოკლავს. და ამბობს: „ამჯერად საკუთარ თავს ვაჯობ". ეს სიყვარული, ემოცია მთელ ფილმს ლაიტმოტივად გასდევს. მის გმირებს - მაკულატურა ტიპებს სიყვარული ამოძრავებთ. ბოლოს და ბოლოს, ბრუს უილისის გმირმა დიდი ბაბუის საათის დასაბრუნებლად ნახევარი ამერიკა გადახოცა. მისთვის ის საათი სიყვარულის სიმბოლო იყო, ბაბუის მოგონება იყო. ეს ძალიან ახლობელი გრძნობაა ჩემთვის – ბაბუაჩემის მამამ, დასახვრეტად რომ გაყავდათ, თავისი ვერცხლის საათი მამაჩემს აკვანში ჩაუდო. შემდეგ ის ჯიბის საათი მე მერგო და მხოლოდ განსაკუთრებულ წუთებში ვიკეთებ ხოლმე. 2008 წლის აგვისტოში გორში რომ მივდიოდი, მაშინ გავიკეთე, რადგან ვფიქრობდი, რომ თუ მოვკვდებოდი ის საათი უნდა მკეთებოდა... მოკლედ, ასეთი დამოკიდებულებები მაქვს და როცა ვხედავ, რომ მწერალსა თუ რეჟისორს იგივე მუხტი ამოძრავებს, მიხარია. მიყვარდება ისინი.

— ბულგაკოვზე საუბრით დავიწყეთ და ტარანტინოზე გადავედით...

— ჰო, ბულგაკოვში კიდევ ერთი რამაა: მთელი ცხოვრება რუსულ ლიტერატურაში გმირს ვეძებდი, ვერ ვპოულობდი. წავიკითხე დოსტოევსკი, ტოლსტოი, ჩეხოვი და ასე შემდეგ. ყველასთან ანტიგმირებია. და მე, ერთმა რიგითმა მკითხველმა, სვიმონ მასხარაშვილმა დავინახე, რომ რუსებს გმირები არ ყავთ. ბულგაკოვთან კი აღმოვაჩინე, რომ რუსულმა ლიტერატურამ ერთადერთი გმირი შექმნა და ისიც – სატანა. რუსულ სინამდვილეს, ჩემი აზრით, მხოლოდ ვოლანდი თუ შეიძლებოდა შეექმნა. არადა, თავისი ქმედებით, შინაგანი პარამეტრებით ის მართლაც გმირია. დანარჩენი ყველა პერსონაჟი მათი ლიტერატურისა – ვოლკონსკი გინდა, ბეზუხოვი თუ სხვა – არასრულფასოვანი და ნევროსტენიით დაავადებულია. ერთადერთი არადეგენერატი პერსონაჟი ყავთ და ისიც სატანა. მათი ცივილიზაციაც ესაა. ამას თვითონ ბულგაკოვი ამბობს და როცა მას კითხულობ, გეღიმება, ამბობ: „ვაა, მიხეილ!"

— ქართველ კლასიკოსებზე რას იტყვი, მათთან როგორი ურთიერთობა გაქვს?

— გასული საუკუნის ავტორებზე თუ ვილაპარაკებთ, ჩემთვის ყველაზე დიდი მწერალი პოლიკარპე კაკაბაძეა. მის „ყვარყვარე თუთაბერში", ჩემი ხედვით, ნაცარქექია და ტარიელია გაერთიანებული. რეჟისორი რომ ვიყო, ამ ნაწარმოებს როგორც სოციალურ დრამას არაფრით დავდგამდი, არ გადავიღებდი. არადა ფილმში ასეა. ამიტომაც, ის სიტყვები, ბოლოს რომ ამბობს – ნეტავ მას ვინს სიყვარულისგან არ გაწითლებულაო – თითქოს კონტექსტიდანაა ამოვარდნილი. რამ წააგებინა ყვარყვარეს? – ქალის სიყვარულმა! ვაი თქვენ, ვისაც არ გყვარებიათო – ესაა მისი პათოსი. ის ვეფხისტყაოსნისეული პერსონაჟია, მიჯნურია, თან „ჟულიკია", საკვაჭიკვაჭანტირაძეო ტიპაჟია. თუმცა კვაჭის, მისგან განსხვავებით, ეს სიყვარული არ გააჩნია, მან წააგო, რადგან ასპარეზი წაერთვა, სააფერისტო აღარ ქონდა, ხოლო ყვარყვარე დამარცხდა სიყვარულის გამო. მაგარი რამეა!

რაც შეეხება იუმორს – ნოდარ დუმბაძეს დიდი პატივისცემით გავიხსენებ, მაგრამ ამ ჟანრში, ქართულ ლიტერატურაში, „კახაბერის ხმალის" მსგავსი ალბათ იშვიათია. კაკაბაძის „ვახტანგ გორგასალზე" მინდა ვთქვა: დიდ ბოდიშს მოვიხდი ივანე ჯავახიშვილთან, მაგრამ, ვფიქრობ, არავის, არსად, გორგასალი ისე ღრმად და ზუსტად არ დაუნახავს, როგორც პოლიკარპეს.

დავით კლდიაშვილი უმაღლესი რანგის ავტორია, ძალიან მასშტაბურია, სიმაღლით უდიდეს მსოფლიო კლასიკოსებს უტოლდება, მაგრამ მას არ ვკითხულობ. მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილის ენა. მისი ნაწარმოებებიდან ყველაზე საყვარელია „კვაჭი კვაჭანტირაძე" და „გივი შადური". რაც შეეხება რობაქიძის „გველის პერანგს", ჩემთვის ის უფრო ქართული ლექსია, რითმული პროზაა. ძალიან მიყვარს, ძალიან მშობლიურია! არჩიბალდის კივილი: „არ მომკვდარა ირუბაქიძე, ირუბაქიძე მე ვარ", მამა-შვილის დიალოგი, ეტრატების კითხვა – ძალიან მაგარია, ცრემლი მოგადგება კითხვისას. ვისაც ეს სამყარო ესმის, ვისაც ბაბუები ახსოვს, ვისაც მათი მონათხრობი ეძვირფასება, ვინც თავის თავში დახვრეტილსა თუ ომში მომწყდარ წინაპრებს ატარებს, მას შეუძლებელია „გველის პერანგი" არ უყვარდეს. ხოლო დანარჩენისთვის ეს რომანი, ალბათ, გადაპრანჭული პათეტიკაა და სხვა არაფერი. ასეა, რობაქიძის პათოსი ჩემთვის ყოველდღიურობაა, სხვისთვის შესაძლოა პათეტიკა იყოს. ერთი შეხედვით, კაკაბაძესა და რობაქიძეს ერთმანეთთან ვერაფრით დააკავშირებ, ამ დროს ეს კავშირი არსებობს, უბრალოდ, ისინი სხვადასხვანაირად ხედავენ და გამოთქვამენ.

ლიტერატურის სიყვარული, წიგნის კითხვა აქამდე არნახული, არსადშეხვედრილი მეორე „მეს" პოვნაა, როგორც რობაქიძე იტყოდა: „ჩემი ძმა არყოფილი ვითარ მიყვარდის უმეტეს მზისა და უმეტეს ხმალისა, რამეთუ იყო იგი სხვა ჩემი". ეგ არის. შეხვდები საკუთარ თავს, იპოვი ძმაკაცს და გიხარია, გიყვარდება ის წიგნი. თორემ, სხვაგვარად, კითხულობ, კითხულობ, მაგრამ არაფერი.

— თანამედროვე მწერლობას თუ იცნობ?

— ახალგაზრდა ქართველ მწერლებს შორის ბევრი ჩემი მეგობარია. გამოგიტყდები, მათი არცერთი წიგნი, ჩემდა სამწუხაროდ, ჯერ არ წამიკითხავს.

— რამდენადაც ვიცი, ბატონ გურამ დოჩანშვილთან ახლო ურთიერთობა გაკავშირებს...

— ძია გურამი მეგობარია. მისი „სამოსელი პირველი" განსაკუთრებულად მიყვარს. იქ ბევრი ძმაკაცი მყავს – მიჩინიო, ალექსანდრო. თავი რომ არ მოეკლა, დონ დიეგოც ძმაკაცი იქნებოდა...

— ...კი მაგრამ, მას ხომ მეგობრები დაეხოცა, შეკრულ ტივზე გაწოლილმა ამიტომაც გადაიხსნა ვენები... „ეს არ იყო თვითმკვლელობა, ეს იყო სიკვდილი ძმაკაცების ხათრით"...

— მე ამ ჩვენებას არ ვიღებ! თავი არ უნდა მოეკლა! დიდები ვენებს არ იჭრიან, ჩემთვის ასეთი რამ მიუღებელია. ძია გურამს ვუთხარი კიდეც, უფლება არ გქონდათ ჩემთვის ძმაკაცი მოგეკლათ-მეთქი. მინდა, რომ სხვა ნაწარმოებში ისევ გამოჩნდეს, ვითომ არაფერი მომხდარა, ის არ უნდა მოკვდეს, მორჩა და გათავდა!

— შენს შვილებს, როცა წამოიზრდებიან, რა წიგნებს შესთავაზებ? ბავშვობა, წიგნთან შემდგომი ურთიერთობისათვის, ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია...

— შევთავაზებ იგივეს, რასაც მე ვკითხულობდი. უფროსს, ირინას, „სამი მუშკეტერი" უკვე ვაჩუქე, წარწერით. მშობლებზე ძალიან ბევრია დამოკიდებული. ხშირად, ბავშვებს ისეთ წიგნებს სთავაზობენ, რაც აუცილებელ საკითხავად ითვლება. გახსოვს, ჟიულ ვერნს რომ გვაჩეჩებდნენ და მოსაწყენ ადგილებს, მაგალითად, ბუნების აღწერას რომ ვტოვებდით? მთავარი არ არის ჩემმა შვილმა ყველა ცნობილი მწერალი წაიკითხოს, მირჩევნია თვითონ წიგნი შეიყვაროს და იკითხოს ის, რასაც თვითონ აირჩევს, ხშირად უბრუნდებოდეს მას. რაც ნაღდია, ის აუცილებლად შეუყვარდება. „ანა კარენინა" რატომ უნდა მივცე?! ავადმყოფი ნეხლიუდოვი რატომ გავაცნო?! იმისთვის რომ მიხვდეს, რას წარმოადგენს რუსეთი და რა ჭირთ იმ უბედურებს, არ არის აუცილებელი მათი ლიტერატურის გადაკითხვა. მე არ მაქვს ნოსტალგია მათთან მეგობრობის, კულტურული კავშირების, არც მათი ქალების, „ოცდაოთხების" და ოცდაჩვიდმეტ მანეთად მოსკოვში გადაფრენ-გადმოფრენის. საერთოდ არ გამაჩნია ეგ სეგმენტი. მიმაჩნია, რომ რუსულ ლიტერატურას საერთოდ რომ არ ეარსება, მსოფლიო ცივილიზაციას ბევრი არაფერი დააკლდებოდა.

ესაუბრა თამარ ჟურული

თანამედროვე რუსული პოეზიიდან

ბორის ხერსონსკი

დაიბადა 1950 წელს, ოდესაში, ექიმების ოჯახში. თავადაც ექიმია. ოდესის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრის გამგეა. ფსიქოლოგიაზე და ფსიქიატრიაზე ექვსი მონოგრაფიის ავტორია. 70-80-იან წლებში იყო ოდესაში დისიდენტური მოძრაობის აქტიური წევრი. პირველი მისი წიგნები გამოდიოდა არაოფიციალურად, თვითგამოცემის წესით. პირველი მისი ლექსების კრებული უკრაინაში ოფიციალურად გამოვიდა 1993 წელს, ხოლო რუსეთში მხოლოდ 2006 წელს. ლაურეატია ვოლოშინის მე-4 და მე-5 საერთაშორისო კონკურსების (2006, 2007), ფესტივალის „კიევსკიე ლავრი“ (2008), პრემიის „მოსკოვსკი სჩოტ“ (2007), ჟურნალ „ნოვი მირ“-ის პრემიის (2008). იოსიფ ბროდსკის სახელობის ფონდის სტიპენდიანტია (2008).

სიგიჟის ჭა

*

ჩვენს ეზოში,
როგორც ოდესის ბევრ ეზოში,
იდგა ჭა, ანუ უფრო სწორად,
მისი სრული იმიტაცია: მიწისქვეშ იყო ცისტერნა
და შიგ წყალს ასხამდნენ.
ეს ცისტერნები ახლა უკვე ცარიელია,
ანდა სახლის რემონტის შემდეგ
სამშენებლო ნაგვითაა ამოვსებული.

*

როცა პატარა ვიყავი, იყო ჭა ცარიელი,
და წყლის ნაცვლად იქ ჩასახლდნენ ხმები,
ისე, როგორც ზღვის ნიჟარაში.
ზუსტად იგივე ეფექტი ჰქონდა,
ოღონდ ხმები იყო სრულიად განსხვავებული.
ზღვის ტალღების ნაცვლად შიშინი
და ჩურჩული გაურკვეველი.
ეს გვზარავდა ცოტა არ იყოს,
მაგრამ ჭისკენ გადახრილებს
გვიყვარდა ამ ხმების მოსმენა. ჩვენ ვცდილობდით
გაგვერჩია სიტყვები, მაგრამ ძალიან მალე
გვბეზრდებოდა ეს საქმიანობა.

*

ქალი, შავად შემოსილი, პატარა თავით,
დოლბანდივით თავზე წაკრული ხელსახოცით,
გაფითრებული, წყალწყალა მზერით,
ყავარჯენზე დაყრდნობილი (ტერფები –
ამპუტირებული,
ორივე ფეხი – მოღუნული, მუხლებზე პატარა
ბალიშები),
სრულიად შეშლილი – აი, ამ ხმებს ვინ უსმენდა
საათობით.
გაუნძრევლად იდგა და სახე უქვავდებოდა:
შუბლშეჭმუხნულს, წარბაწეულს.
რაც გნებავთ, უწოდეთ ამას! უწოდეთ კატატონია,
პირამიმია, ვერბალური ჰალუცინაცია.

ღმერთო, როგორ გვეშინოდა ჩვენ მაშინ მისი!

*

ის ქალაქში დადიოდა ყავარჯნებზე დაყრდნობილი,
ვიღაცას მუშტს უღერებდა და ემუქრებოდა,
და სულმუდამ ლაპარაკობდა, უფრო სწორად,
წამოიყვირებდა ხოლმე რაღაცას,
მაგრამ ჭასთან უტყვი ხდებოდა.

და ეს იყო უსაზარლესი.

*

მახსოვს, ჭექა-ქუხილის დროს, მე ვიდექი
ფანჯარასთან და ვხედავდი,
რა ნელა კვეთდა ის მოედანს
გაელვებებში, კოკისპირულ წვიმაში და
განუწყვეტლივ გაჰყვიროდა, მუშტს იღერებდა,
იმუქრებოდა.

ჩემს ყველა მეგობარს ახსოვს იგი, მაგრამ თუ რას
ლაპარაკობდა,
ვერვინ იხსენებს. არადა მაშინაც კი ვხვდებოდით,
რომ რასაც ის ამოთქვამდა, ჭასთან ჰქონდა გაგონილი
და მოსმენილი.

ოდესური ჭა, ანტიკური ორაკული,
ცალსახა პითია, ბავშვური შიშები.

რა იყო ეს? სიგიჟის ჭა, აი, რა იყო.

სერგეი ტიმოფეევი

დაიბადა 1970 წელს. ცხოვრობს რიგაში. მუშაობდა ჟურნალისტად ლატვიის რუსულენოვან რუსულ პერიოდიკაში, დიჯეიდ ლატვიურ რადიოსადგურებში. ერთ-ერთი ორგანიზატორია რიგის არტ-გჯუფის „ორბიტა“, რომელიც პოეზიის, მუსიკისა და ვიდეოს გადაკვეთაზე მუშაობს. რუსულ ენაზე თარგმნის ლატვიელ პოეტებს. 2000 წელს წარდგენილი იყო ანდრეი ბელის პრემიაზე პოეზიის ნომინაციაში. როტერდამის Poetry International-ის და ბევრი სხვა საერთაშორისო პოეტური ფესტივალის მონაწილეა.

ჯო დასენი

ჯო დასენი შედიოდა ყველა სახლში,
დიასახლისებს ეცეკვებოდა,
გადაქანცულ მამაკაცებს უხსნიდა, რომ
კვლავ დადგება ოქროს ხანა იქ,
შანზელიზეზე.
ის იცვამდა თეთრ შარვალს და თეთრ ფეხსაცმელს
და გაღეღილ პერანგს,
გამოდიოდა დილით ადრე ბინიდან და გვიან
ღამემდე
უკან, სახლში არ ბრუნდებოდა, ხოლო ზოგჯერ
რამდენიმე დღით იკარგებოდა.
ის მღეროდა, მღეროდა და ყველაფერს ნელა
თავის ადგილას აბრუნებდა, ყველაფერს, რაც
გადახრილიყო
და გადმონგრევა ემუქრებოდა. იგი ფაფუკ
კაშნეებში
და თავშლებში ახვევდა ქალთა გულების მსგავს
მძგერავ სხეულებს. და განუწყვეტლივ წმენდდა ის
მტვერს
პლანეტის ყველა რადიოლას. შესვენებებზე,
ძალიან მოკლე შესვენებებზე, მიფრინავდა
ლაჟვარდოვან სანაპიროზე,
და ლეოპარდისტყავიანი საცურაო ტრუსებით
ლაღად შერბოდა ზღვაში,
მერე სასწრაფოდ ტანს იმშრალებდა, ეწეოდა
სიგარეტს და
პირად თვითმფრინავს აჩქარებული ნაბიჯებით
ეშურებოდა,
თან იმეორებდა, ბუტბუტებდა პირველ სტრიქონებს,
რაც საყოველთაო პატიების საფუძველი ხდებოდა
ხოლმე.
ხოლო ქალები და კაცები რადიოლებს,
ტელევიზორებს,
რადიომიმღებებს რთავდნენ ხოლმე, და ის ყველგან
საჭირო იყო.
და მისი სიკვდილი კაციშვილმა არ მიიღო
სერიოზულად.
„იმღერე, იმღერე!“ - ეუბნებოდნენ და ის, ნელი,
ხუჭუჭთმიანი, ბაკენბარდებით, ეშურებოდა
ადამიანებს,
საიქიოდან ეშურებოდა, და თხოვდა, თხოვდა:
„დააბრუნე შენი გული თავის ადგილას,
დააბრუნე, და არ გატეხო“.

ჩრდილოეთი

ვზივარ და მშვიდად არაყსა ვჭამ
ქალაქის ჩრდილოეთით არსებულ ერთ
დაწესებულებაში.
ჯიბე სავსე მაქვს სანთებელებით,
შემიძლია, რაც მომესურვება, დავწვა ან სულაც
სანთებლის ალზე გავითბო ხელი.
დაბრძანდი შენც, ფერმკრთალო და ლამაზო
მოდგმავ,
მოკალათდი ბედის თბილ გოჯზე.
მობილურმა არ დაიწკრიალოს –
ეს ჩვენი წრის ერთადერთი წეს-კანონია.
და აი, ისიც, ქალბატონი, დაჯდა და მერე მთელი
გზა დუმდა,
მთელი გზა – ექვსიდან თერთმეტამდე.
ხოლო შემდეგ მე ავდექი და მადლობა გადავუხადე
საღამოსთვის, დროისათვის, სივრცისათვის,
მოძრაობისთვის.

გლებ შულპიაკოვი

დაიბადა 1971 წელს. ორი პოეტური კრებულისა და ორი რომანის ავტორია. მისი პიესები იდგმება მოსკოვის სცენებზე. თარგმნის ინგლისურენოვან პოეზიას (უ. ჰ. ოდენი, ტედ ჰიუზი, რობერტ ჰასი). თავგამოდებული მოგზაურია და თავის შთაბეჭდილებებს „მოგზაურის ჩანაწერებში“ აღწერს. ამ ყაიდის სამი წიგნი აქვს გამოცემული. ლიტერატურული პრემია „ტრიუმფის“ 2000 წლის ლაურეატია პოეზიის ნომინაციით. ჟურნალ „ნოვაია იუნოსტის“ მთავარი რედაქტორია.

ჯემა-ალ-ფნა*

დიპტიქი

„მკვდარ ზონაშია სატელიტი...
.....მკვდარ ზონაშია...“

მარაკეში!
ვარდისფერი ღრძილები ამ ძველი ქალაქის.
სატელიტური ანტენები
უშედეგოდ უმზერენ ზეცას –
არც წვიმას და არც ფილმს ის მათ არ დაანახებს.
შავი ტელე-ქააბა ჩაქრა.
და საღამოთი მთელი ქალაქი მოედნისკენ
მიემართება.

თავები. თავები.
თავები. თავები. და კვლავ თავები.
კოშკიდან ხმა ხრიალებს, ოხრავს.
სუყველანი სალოცავად! მაგრამ ეს ხმა
არავის ესმის.
ასობით ხელი დოლს უტყაპუნებს.
ასობით ტუჩი ფლეიტას ქაჩავს.
ასობით პირი გაჰყვირის სიტყვებს –
და მოედანი ისე მითრევს, როგორც მორევი.

„რას ინებებთ, მუსიე?“ – ვიღაც
ჩამჩურჩულებს ყურში მგზნებარედ.
„Qu’est-ce que vous voulez?“

მე ვიშორებ მას თავიდან:
„არა, არ მსურს საადიტების სარკოფაგების
თვალიერება.“
„არა, არ მსურს ათას ერთი ღამის ზღაპრებს
ვუსმინო კვლავაც.“
„არა, არ მსურს ქამელეონის გულ-ღვიძლს
გემო რომ გავუსინჯო.“

---

* ჯემა-ალ-ფნა – მარაკეშის შუასაუკუნისდროინდელი მოედანი, ერთდროულად ბაზარიც და ტრადიციული მუსლიმური წარმოდგენების ადგილიც.

„არა, არ მსურს შევიცვალო არც წარსული,
არც მომავალი“.

„ანუ, მაინც რას ინებებთ, ა, მუსიე?“ –
არ მშვიდდება ვიღაც ტიპი ჭრელ ჯულაბაში.

„შეგიძლია „მე“ დამიბრუნო?“ – ვეკითხები.
„მაგაზე ადვილი რაა, მუსიე!“
ის მორჩილად დაბლა ხრის მზერას –
და იისფერი ძარღვები უჩანს, რომლებითაც
დაჰქსელვია ქუთუთოები.
„წამო, გავწიოთ ორეულების უბნისაკენ.
და იცოდე, ვისაც თხემზე ხელს შეახებ,
ისაა შენი!“
ტურტლიანი ხელისგულები ერთიმეორეს
ეტყუპება.
„სულ ესაა?“ – „სულ“. იღიმის,
და დაღრეცილ კბილებს აშიშვლებს.

„Combien? – რამდენი“?
„იმდენი, რამდენსაც ალაჰის ნებით გულწრფელად
გასცემ“.

მოედანი, ისე ფართო, ვითარც სიცოცხლე,
ჩაედინება ვიწრო ქუჩების ჯოჯოხეთურ
ნაპრალებში.
ქალაქის ფაშვი ხან ბუყბუყებს და ხან ლაყლაყებს.
სიბნელეში კი დახლებზე
დედამიწის მთელი განძია.
მაგრამ ჭრელი ბალახონი სად დამეკარგა?
გამცილებელს ძლივს ვასწრებ კუდში.

„მოვედით!“
შალის თავსაბურავში, ხალიჩებს ქვემოთ
ვიღაც ცარიელ ტელევიზორს მიშტერებია –
გვერდით, კიბეზე უდგას ჩაი, უდევს ნაზუქი.
გამცილებელი კი მიბიძგებს: „მეგობარო,
უკვე დროა!“
შიშისაგან გატრუნული, გულზე ხელს ვიკრეფ,
და —
.....
.....
„მე პიტნას ვყიდი, ჟოლოსფერი ფესი მახურავს!“
„მე მეჯორე ვარ, გაცვეთილი შტიბლეტებით!“
„მე ჯორი ვარ, გაზის ბალონებს დავათრევ
ზურგით!“
„მეთუნუქე ვარ, ჩემს ქვაბებში საუკეთესო
კუსკუსია მთელს დუნიაზე!“
„მე კუსკუსი ვარ, ჩემი ჭამა მხოლოდ ტუჩებით თუ
შეიძლება!“
„მე თერძი ვარ, ჯულაბები, რომელთაც მე ვქსოვ,
ჰაერზე უფრო მსუბუქია!“
„მე ჰაერი ვარ, და სუნი მდის პურისა და
სველი თიხის!“

ახლა, როცა მიმატოვეს ამ შუაგულ მედინაში, შეძრწუნებულმა ვიაზრე, რომ მე ვარ ისინი: გამყიდველები, მეჯორეები, დამძახებლები და ღატაკები, ხელოსნები და მაწანწალები; რომ მე სამყაროს *მათი* შავი თვალებით ვუცქერ; რომ ჰაშიშს *მათი* დამპალი პირით ვისუნთქავ; პიტნის ჩაის ვსვამ ხორკლიანი *მათი* ენებით; ცხვარს ვატყავებ დაკოჟრილი *მათი* ხელებით; რომ მე უკვე გადმომედო ბეხრეკი ჯორის სიარულის ტლუ მანერები; გადმომედო ის, თუ როგორ ექავება უპატრონო კატას სხეული. მე მინდოდა თავი მეპოვა, მაგრამ გავხდი ყველა, ყველა! ვდგავარ – და დაბლა ვერ ჩამოვდივარ...
.....
ამ დროს ინთება ეკრანები –
სატელიტი მკვდარი ზონიდან გამოვიდა!
და ტელევიზორის ეკრანისკენ თავს აბრუნებს
მთელი ქალაქი.
მე გავშეშდი შუა ბაზარში
და არ მესმის: ვინა ვარ, რა მჭირს?
„მუსიე!“ - მკაცრი ხმა ჩამესმის უცებ ყურში.
საპატრულო ოფიცერია.
„მუსიე, თქვენი დოკუმენტები!“

– მე მეჩვენება, რომ არ ვარსებობ...
– ვის ეჩვენება, მუსიე, რა ბრძანეთ?

პოსტსკრიპტუმი

ამ ლექსის პირველი სტრიქონების ბუტბუტი იმ მანქანაში დავიწყე, რომელსაც მარაკეშიდან ფესში მივყავდი. მაშინ უკვე ვიცოდი, თუ რაზე იქნებოდა ლექსი. თუ რა დაემართებოდა გმირს და ვინ შეეთამაშებოდა მას. თუ როგორი იქნებოდა დეკორაციები. მხოლოდ ფინალი რჩებოდა ღია. ფინალი, რომელიც ასეთ დროს წარმოუდგენლად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მან მთელი ლექსი თავდაყირა უნდა დააყენოს (ანდა პირიქით).

ფინალი თავისთავად უნდა მოვიდეს შენთან, არსაიდან უნდა გამოგეცხადოს. ვიცოდი რა ეს საკუთარი გამოცდილებით, არ ვჩქარობდი. ტექსტი დაწერილი იყო, ფინალი არ არსებობდა, და მე ქუჩებში დავსეირნობდი. სანამ გაზაფხულის ერთ კვირადღეს ჩემთან, ზამოსკვორეჩიეში, მეტროდან არ გამოვედი.

მოედანი ცარიელი იყო, კიოსკიდან „რიო-რიტა“ გაისმოდა. ორი ბებრუხანა ტრამვაის უცდიდა და ბალეტზე საუბრობდა. ერთი აზიელი ქუჩას ხვეტდა. ეს ურთიერთშეხამება საკმაოდ არანორმალური იყო, მაგრამ რაღაცნაირად კეთილშობილი, კვირადღისეული, იმდენად, რომ მოედნის შუაგულში გავშეშდი არაფერზე მოფიქრალი და პირდაღებული.

ჩვენთან, ზამოსკვორეჩიეში, ქალაქური გარემო საკმაოდ მალე გეწებება. რისი თქმა მინდა ამით? იმის, რომ ერთწუთიანი ჩემი გაშტერებული დგომის შემდეგ ვიღაც ტიპი „მომება“ და ლუდის დალევა შემომთავაზა. რა თქმა უნდა, იგულისხმებოდა, რომ ლუდი ჩემი ფულით უნდა დაგველია. ლუდს არ ვსვამ, მაგრამ ათმანეთიანი იმ ბიჭს მივეცი, რათა შემშვებოდა. ბოლო-ბოლო რაც მოხდა, ხომ ჩემი ბრალი იყო – მოედნის ცენტრში ვიდექი და ამით ქალაქურ გარემოს ვაღიზიანებდი.

ბიჭი გაქრა, და მე ნელა გავუყევი სახლისკენ გზას. „რიო-რიტას“ ხმა თანდათან ქრებოდა.

— ჰა, დალევ? – ჩამესმა მოულოდნელად ყურში.

მას უკვე ეყიდა ლუდი, საკუთარი ნახევარი დაელია და ჩემს წილს მთავაზობდა. ვიუარე.

და ვუთხარი, რომ იმ ქუჩას მივუყვები, რომელიც ერთნაირად გვეკუთვნის ორივეს. ამიტომ უფლება აქვს, იაროს და ილაპარაკოს რამდენიც სურს – მე კი ვიტოვებ უფლებას, არ ვუპასუხო და სიარულის ტემპი არ დავაგდო. ანუ გინდა, იარო? – იარე, ოღონდ ხელს ნუ შემიშლი.

და ის გვერდით გამომყვა. არც ბომჟი იყო და არც უბნის ლოთი, ანუ თევზის ბაზრის ახლომახლოს მოყიალეთა დიდ რაზმს არ განეკუთვნებოდა. იყო ადამიანი არსაიდან, უასაკო არსება. მოგზავნილი. არადა, მეორე ფრაზაზევე გაირკვა, რომ ბიჭი ტაშკენტიდანაა („ისევ ეს ტაშკენტი!“). რაღაც მოვროშე ტაშკენტზე, რომელთანაც ჩემი ანგარიშები მაქვს. თუმცა ის აბსოლუტურად გულგრილი დარჩა ჩემი „ტაშკენტელობისადმი“ და ლუდის წრუპვა განაგრძო.

მალე დაცალა და ბოთლი ასფალტზე დადო. მეც რატომღაც შევჩერდი.

მან მითხრა:

– გინდა, იგავს მოგიყვები.

„ოღონდაც ეს არა!“ — გავიფიქრე და დავეთანხმე.

– ახალგაზრდა ბუდისტი ბერი მოძღვართან მიდის, – დაიწყო მან.

„ოღონდაც ბერებზე არა!“ - გამიელვა თავში.

– ...და ეუბნება: „მოძღვარო! მე მეჩვენება, რომ არ ვარსებობ!“

ბიჭმა გზა გადამიღობა და ჩვენ კვლავ შევჩერდით.

ის ახლა პირდაპირ თვალებში მიყურებდა.

— „...ვის ეჩვენება?“ - ჰკითხა მოძღვარმა ბერს.

თარგმნა შოთა იათაშვილმა

ნიკ ზვართი

ტილბურგის პოეტი — ეს ტიტული თანამედროვე ჰოლანდიელმა ხელოვანმა ნიკ ზვართმა 2005 წელს მიიღო. მუდამ თავგადაპარსულმა და შავ სამოსში გამოწყობილმა ახალი წიგნი გახსნა ლექსით: „ბუზების ქალაქი.”

თუმცა ნიკი თავს ტილბურგის ელჩად მიიჩნევდა, მას პირველ ხანებში „ბრბოს გამღიზიანებლად” უფრო თვლიდნენ, ვიდრე „ბრბოს მაამებლად”. ორიგინალური არტისტული ხედვით და ლექსის კითხვის მეტად თავისებური მანერით, მან მალევე მიიზიდა მშობლიური ქალაქის ხელოვნების თაყვანისმცემელთა ყურადღება.

ლექსები ცარიელი ბუდიდან

მამაჩემმა ქალაქი თან გაიყოლა (და იგი გარდაიცვალა),
იგი წავიდა და თან წაიღო თავისი ქალაქი,
რომელიც ჩვენიც იყო, უფრო ადრე კი მისი.
ამავე ლოგიკით ქალაქი უფრო ჩვენ გვეკუთვნის,
ვიდრე გუშინ დაბადებულ ბავშვს.

ქალაქის ცენტრში ბინა არის,
სადაც ავეჯიც არ დგას.
და საიდანაც ფულს ვერ ავიღებ, თუნდაც ერთ გროშს, —
გამითავდა . . . რას იზამ ? . . .

იქს-ქალაქთან ახლოს, მცირე მანძილზე
გაშიშვლებული მიწაა ორმოებითა და თხრილებით,
მხოლოდ სევდით გაფოთლილი,
ვზივარ აეროსტატში მოგონებებთან ერთად,
ამ სანახაობით გაღიზიანებული.

იგი სარგებლობს შუკრი-ტელეკომუნიკაციით,
შორ მანძილზე დასარეკად დაბალი ტარიფით;
— ალო, ალო, თქვენ იქ არ მოხვდით,
ზუმერის შემდეგ შეგიძლიათ მესიჯი დატოვოთ,
დროებით გასული ვარ მომსახურების ზონიდან.
— პიიპ-პიიპ, გამარჯობა, პიიპ-პიიპ, გამარჯობა,
პიიპ-პიიპ.

შეჩერდი, კმარა

თავდაპირველად არ ყოფილა ეს ქალაქი,
იყო სახლი, უფრო სწორად — მხოლოდ ოთახი.
სისხლი და ხორცი.
უსმინე, როგორ ტიკტიკებს ბავშვი —
ყვავილის ყლორტი,
შეხედე, როგორ მადიანად ჭამს
პატრუქის შუქზე . . .
წყვდიადი თავის მოხსნილ პირბადეს
ქალაქში ისვრის
და ჩანს ყოველი, რაც გაკეთდა,
ან რაც კეთდება სინათლის შუქზე.
ამას დღე ჰქვია,
როგორც მას ზოგჯერ უწოდებენ.
უვარგისი ნივთები კი მიწაში ლპება.
სინათლეს ელტვის სულიერიც და უსულოც,
ხარბად ეტანება დედამიწა ყლორტებს და ფოთლებს.

ყველამ თავის ქალაქს მიხედოს.
კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩემს ქალაქში,
პატარა და არცთუ ისე ლამაზ ქალაქში,
ჯერაც კიდევ დაუსრულებელ ნათელ ქალაქში,
სადაც ჯერ კიდევ არის ადგილი
და სადაც ხალხი არა ყალბი მიამიტობით
გისვამს კითხვას თავაზიანად: ნუთუ ამ ქვეყნად
იქნება ვინმე,
რომ ზიანი მოუტანოს ყვავილებად ამოფრქვეულ
ამ მიწის ღიმილს?

ბუზების ქალაქი

კრთომით გაიღვიძე, შიშით გაიღვიძე,
ქალაქი? ქალაქი გაქრა, არაა ქალაქი,
არც პოეტია. დიდი შეღავათი! . .

ზრდის შიში სუფევს;
ვისაც სურს გაზრდა, უნდა წავიდეს.
ვისაც სურს გაზრდა, მყარად უნდა იდგეს ფეხებზე.
არაფერს შველის ნაჭუჭში მალვა.
ის ჯერჯერობით თმებს არ იზრდის!
ის აქამომდე ქაჩალია...

ბალიში. ტყავის ბალიში. ფეხების დასასვენებლად.
მას უნდა ვუყვიროთ, ან უნდა შევფუთოთ ნეხვში.
ის იქაც დადებს კვერცხებს (გამრავლდება).
თუ არა, ქლაქი იზრუნებს მასზე.

ნუ გაიზრდები ზომაზე დიდი,
თანამედროვე ინდუსტრიული ქალაქის შვილო
(მარადიულად სუფთა ქალაქის),
შენ, იქს ქალაქში შექმნილო,
შენ გვამო, სიცოცხლის გამძლევ.

ვითვლი ორასი ათასამდე

არიან ყვავილები, რომლებიც მხოლოდ ღამით ყვავიან.
ღამეში ყველა კატა ნაცრისფერია.
ამიტომ არსებობს მიზეზი, ყვავილები არ დაყნოსო.

იღვიძებს ქალაქი და ითვლის ყვავილებს,
ითვლის მათ ღეროებს (ორასი ათასი),
ითვლის მათ ყლორტებს (ორასი ათასი),
აწყობს მათ ერთად,
სურნელოვან და ნაირფერ თაიგულებად,
ზოგჯერ სრულიად უგემოვნო კონებად აწყობს.

არიან ყვავილები, რომლებიც მხოლოდ ღამით ყვავიან,
არის ქალაქი, რომელიც მათ უწყვეტად ითვლის,
ითვლის მიღებულ მოგებას მათგან,
ზარალსაც ითვლის.

მეც აღარა ვარ ის, რაც ვიყავ უწინ . . .
მეც მაგ დამთვლელთა რიგებში ვდგავარ.
ვითვლი, ორასი ათასამდე — მზად ხარ თუ არა . . .
აი, მოვდივარ, მოვდივარ და გიპოვნი.

ახლა კი თეფშზე კვერცხს ვაკაკუნებ,
დილა სულ ახლახან დაიწყო.

მეგობარ ხელოვანს

დაუწერელი თუ დარჩა სიტყვა, დაწერე იგი.
არნაცეკვები თუ არის ცეკვა, იგი იცეკვე.
სხვათათვის ჯერაც შეუმჩნეველი დახატე სახე.

დროს, დროს მიხედე, მოკალი იგი,
ის ხომ ბზიკივით იკბინება,
ის სასუქია, ნიადაგს რომ ანოყიერებს,
ის ჭურჭელია ნაირფერი ხილით სავსე, იგემე იგი.

დროს, დროს მიხედე, მოაჯექი და გააჭენე,
ის ხომ ბზიკივით იკბინება,
დღესდღეობით კი ის უაზრო ტაშისკვრა
და ღრიანცელია.
იმღერე, დასაბამიდან რასაც მღეროდნენ,
ითამაშე, რასაც სულ მუდამ თამაშობდნენ,
განაწილებული კიდევ ერთხელ გაანაწილე.

დროს, დროს მიხედე,
მაგრამ მშვიდად მისდიე საქმეს,
ისიამოვნე.

თარგმნეს ბაღათერ არაგულმა
და გულიკო პირველმა

გიგი ხორნაული

რევაზ ინანიშვილი

რევაზ ინანიშვილთან გამომცემლობამ დამაკავშირა. წიგნის გამოცემის შემდეგ მაღარიჩის პურმარილები ხშირად იყო, გვეპატიჟებოდნენ შინაც და რესტორნებშიც, მთელ გამომცემლობასაც და მცირე ჯგუფსაც.

ერთ-ერთ ასეთ სუფრაზე, მძიმედ რომ იყო დახვავებული, ყველისა და პურის ჭამა დავიწყე. ბალღობიდან ყველითა და პურით ვიყავი ამოზრდილი და დღემდე ისევ ის მირჩევნია ყოველგვარ შემწვარ-მოხრაკულებს. თუშური გუდის ყველი და თბილი თონის პური ხომ ცხონებაა.

ჰოდა, ყველსა და პურს რომ შევექეცი და არა გოჭისა და ქათმის ხორცს დავაცხრი სხვებივით, რეზო ინანიშვილმა გადმომძახა:

- ბიჭო! შენც ყველპურჭამიაშვილი ჰყოფილხარ ჩემსავითო!

იქიდან ნაქეიფრები რომ გამოვედით, დამიმარტოხელა და მითხრა:

- შენა, ბიჭო, იგეთი გრძნობა მაქვს, უნდა რაღაცასა წერდე. ღმერთმა ქნას ეგ პროზა იყოს და არა ლექსები ყველა მთიელივითაო.

- რავიცი, ვწერ რაღაცას, მაგრამ...

- ინდე! ხო ვთქვი! ეხლა, აი, რას გეტყვი. არ ვიცი, იცი შენ თუ არა, საბავშვო ალმანახ „ნობათს“ რომ ვცემთ, მე-3 ნომრის მასალებს ვაგროვებ. საჩქაროდ მომიტანე რაღაცა, მცირე ზომისა, საბავშვო.

პატარა ზომისა „შვლის ცრემლი“ მქონდა, ჩემ მონადირულ თავგადასავალზე დაწერილი - როგორ დაგვაღონა მომაკვდავმა შვლის ცრემლმა ჩვენი სოფლის მონადირე ბალღები. მეორე „თუთი“ გამოვაყოლე შესარჩევად. რეზომ „შვლის ცრემლი“ შეირჩია, „თუთიზე“ მითხრა „ცისკარში“ მიიტანეო, ეგაც უნდა დაიბეჭდოსო.

გამოვიდა „ნობათი“. რეზომ ერთი საავტორო ცალი შემომიტანა და ფანჯრის რაფასთან ზურგით მიმდგარმა მთელი განყოფილების გასაგონად გამოაცხადა: ამ კრებულში ყველაზე კარგი გიგის მოთხრობაა - ჩემი ბალღები აღარ იძინებენ, სანამ „შვლის ცრემლს“ არ წავუკითხავო. ჩემ მოთხრობებს სულ ეგრე ვამოწმებ: თუ იმათ მოეწონათ, ხო კარგი, თუ არადა, უნდა გადავაკეთ-გადმოვაკეთოო. მერე ისევ მე მომიბრუნდა, - წერე, ბიჭო, შენი მონადირული თავგადასავლები, მეტი სხვა არაფრის მოგონება არ გინდაო.

მისი რჩევა ჭკუაში დამიჯდა და, ასე თუ ისე, ავასრულე კიდეც. მასთან მეგობრობამ, უფრო სწორად, მისმა უმცროსმა ძმობამ, როგორც თავად მეძახდა, ბევრი რამ მომცა. ძალზე ნაკითხი იყო. „ელიტარული“, ასფალტზე გაზრდილი უსახური მწერლები, ჰემინგუეის, ფოლკნერს, მარკესს რომ ეზმანებოდნენ ანაკონდას გაჯიბრებულ ჭიაყელებივით, სოფლის მწერალს ეძახდნენ. ამის გამო გულნატკენს რამდენჯერ უთქვამს ჩემთვის: ამის ღმერთი არ იყოს, ფოლკნერსა და ჯოისს მეც ვკითხულობ, მაგრამ მაიმუნივით მიბაძვას ვერ დავუწყებ, ავიღებ, დავიღებ და ისევ „ბიბო“ მეწერინებაო.

ჩემი ნანადირევის მწვადიან-ხინკლიანი სუფრების მუდმივი თანამეინახე იყო თავის ასევე ალალ მეუღლე როზასთან ერთად. მე და ნანასაც ყოველთვის გვეპატიჟებოდნენ ბავშვების დღეობებზე. ვიწროდ იყვნენ მარჯანიშვილის ქუჩაზე როცა ცხოვრობდნენ, ერთოთახიან ძველ ბინაში, ცხრა-ათი კაციც ძლივს ეტეოდა, მაგრამ მე მაინც ყოველთვის ვიყავი იმ ცხრა-ათ კაცში.

1980 წელს სახლს ვიშენებდი კაწალხევისკარს. ნაცნობ-მეგობრები მეხმარებოდნენ, ვისაც რითი შეეძლო. კალატოზი მყავდა, მუშები (სამი კაცის მეტი ვერ მოვიყვანე), სამი კაცისას მე თავად ვმუშაობდი, შიგადაშიგ კი, როცა ბეტონი იყო ჩასასხმელი ან სხვა რამ ერთბაში საქმე, „მუშათ“ შეყრა ვიცოდი.

ერთ შაბათ დღესაც ჩავითქვი „მუშანი“, საკლავი უნდა დამეკლა და თბილისიდანაც დავპატიჟე ახლობელნი, მათ შორის, ვახუშტი კოტეტიშვილი და რეზო ინანიშვილი. ზოგს რომ გაეგო, თავისით წამოსულიყო, თავისი ღვინითა და პურმარილით. ოცდაათ-ორმოცამდე კაცმა მოიყარა თავი. აბა, იმათ რა საქმე გაუძლებდა! რეზოს კი მაინც ვერ გავაგდებინე „ლაფატკა“ ხელიდან.

- ბიჭო, შენ მე ვინა გგონივარ?! სამგორის არხი ჩემი გათხრილია და რაც ბეტონი იქ არის ჩასხმული, ისიც ჩემი არეულია! - შემომიძახა, როცა შევაწუხე, - ობოლი ვიყავ, მიჭირდა და ბალღმა დავიწყე იქ მუშაობა, თან სკოლაში დავდიოდი. უნივერსიტეტში ჩარიცხული ისევ იქ გავიქეცი. ნიკო კეცხოველმა მომძებნა და ღანძღვა-გინებით ჩამიყვანა ქალაქში, თორემ დღესაც „ლაფატკის“ მუშა ვიქნებოდი.

ღვინო ქვემოქედიდან მქონდა მოტანილი, მოსულებმა ოც-ოცი ლიტრიანები მოიძღვანიეს, გოგი თურმანაულმა ბლომად კალმახი შემომანია და კაი სუფრა გამოგვივიდა. ყველაზე დიდი მშვენება კი ვახუშტის თამადობა იყო. ფშაველ-ხევსურნი მაშინ უფრო მოიხიბლნენ მისი ენამზეობით.

იმავე წლის შემოდგომაზე გოგი თურმანაული 50 წლისა ხდებოდა და 7 ნოემბერს დიდი ქეიფით აღნიშვნა ჰქონდა გადაყვეტილი. იქ მყოფნი ყველა დაპატიჟა და განსაკუთრებით რეზო და ვახუშტი. ოქტომბრის ბოლოს ხალხის მოპატიჟედ ჩამოსულმა შემახსენა, რეზო ინანიშვილის წამოყვანას შენ გავალებო. რეზომაც - დიდი სამოვნებითო და ჩემი ზაპოროჟეცით წავედით ჩვენ ორნი. იქ იყო თავმოყრილი გოგის მთელი საძმაკაცო მთლად საქართველოდან. იყვნენ მწერლები და სხვა ცნობილი კაცი თუ ქალი, პირველ რიგში კი, მისი ძმადნაფიცები: ნოდარ დუმბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, ვახუშტი კოტეტიშვილი და სხვანი და სხვანი. ტოლხა შეთეკაურს ორი ხარჯიხვი გადმოეტანა მთას იქითიდან, ჩვენ სამეგობრო მონადირებს დათვი და არჩვები დაეხოცათ კიშხევში. გოგის მოწაფეებისაგან დაჭერილი კალმახი ხომ ეყარა. კახეთის მხრიდან დიდი კასრებით ჩამოეტანათ ნაირნაირი და საუკეთესო ღვინოები. მოკლედ, სკდომაზე იყო სასმელ-საჭმელი, მწვადი და ხინკალი. და რაც მთავარია, იყო გულღია, თავდაუზოგავი ლხინი და დროსტარება. გოგი თურმანაულთან სხვანაირად არ შეიძლებოდა. თავის ირგვლივ ყოველთვის ქმნიდა ასეთ ატმოსფეროს. ამიტომ ბევრმა იღო ყურად გოგის თხოვნა დარჩენილიყვნენ, ბევრი შემორჩა სუფრას გვიანობამდე. თუ ვინმე ადგა სუფრიდან მოსასვენებლად, მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე დღეს ევარგა - ღამენათევნი სუფრასთან დარჩენას ვეღარ შევძლებთო, ხვალ დაძინებას, ეხლა დაძინება გვირჩევნიაო. მე და რეზოსაც გვეპატიჟებოდნენ იქვე, გოგის ახლო სახლებში, მაგრამ შიში მქონდა მასპინძლები არ დაგვაძინებდნენ, კიდევ სასმელს დაგვაძალებდნენ. ჩოხელაშვილები უფრო საიმედონი იყვნენ ამ მხრივ. ცოტა შორი იყო, არაგვს გაღმა, ბნელაში ცუდი სავალი, ბეწვის ხიდი, მაგრამ ღირდა შეწუხებად. იმათმა გოგომ ასმათმა წაგვიყვანა. იქაც დააპირეს რაღაც, მაგრამ ჩვენ არ მივეცით უფლება - ძილის მეტი არაფერი გვინდა, დაგვაძინეთო.

7 ნოემბერს ზამთრის ყინვებია მთაში, განსაკუთრებით ღამღამობით. სასტუმრო ოთახში გაშლილი ლოგინები საყინულესავით იყო. პირველი ჩაწოლისას, თორემ მერე ბუხარივით იცის ჩაღუღუნება მატყლის საბან-ლეიბებმა. თუმცა ეს სითბო ფშაველი წაწლის სითბოს მაინც ვერ შეედრება. მეორე დილით ადრიანად აფხაკუნდნენ მასპინძლები. მეორედ უკვე ძია გიორგის ძახილმა გამაღვიძა - წამოდექით, აქ ქალაქურად არ გაგვიბათ ძილიო! წამოვდექით, ხინკალი უკვე ხონჩებზე ამოჰქონდათ. პანტის არაყმა უცებ შეგვიბრუნა სიმთვრალე და სიხალისე. ასმათს „ვუსაყვედურე“:

- აჰა, მე შინაური ვარ და ჩემი თავი ჯანდაბას, ამ სტუმარს ცივ ლოგინში რო აბაბანებთ, სირცხვილი არ არის - ქალი არ უნდა ჩაგეწვინათ? სხვა თუ არავინ იყო, ცქიფათ თამარი მაინც გამოგეყვანათ-მეთქი.

- რა ვიცით, აბა, ვერ შემოგკადრეთ და შემდეგისთვის გვეცოდინებაო, - მხარი ამიბა ძია გიორგიმ.

- არა, ნუ მომერიდებით, გიგისი არ იყოს მეც გაჭირვებით გაზრდილი კაცი ვარო, - უკან არ დაიხია რეზომ.

მალევე შევხვდი ცქიფათ თამარს. ეთქვათ ჩვენი ხუმრობის და მისაყვედურა: გეთქვა, შე კაი კაცო, რევაზ ინანიშვილი ისე მიყვარს, იმასთან როგორ არ დავწვებოდი. შენ ოღომც წამაიყვანე, ვინ მამაძაღლმა უარი თქვას, ხინკალს თავად მე ვკისრულობო. გულნაკლულს არც შენ დაგტოვებ, კარგ ადგილას გაგიშვებო.

ტყუილად არა ლაპარაკობდა, ნაწლობით იყო ცნობილი. გაუთხოვარი იყო, შესახედავად სასიამოვნო და თვალ-გულმისავალი. მაღაროსკარის სკოლის მასწავლებელი, უმაღლესდამთავრებული. მარტო ცხოვრობდა და თავის შინ, ვისაც უნდოდა, იმას მიიღებდა, მითუმეტეს თავისი დირექტორის სტუმარს. ასე მითხრა და ასე დამაბარა.

რეზოს ვუთხარი, ასე და ასეა საქმე, ფშაველი წაწალი მოუთმენლად გელის, როდისთვის მოიცლი-მეთქი.

- ბიჭო, მე მეგონა შენ ხუმრობდი, მართლა ამბობდიო?

- მაშინ კი ვხუმრობდი, მაგრამ ეხლა ნამდვილად არ გეხუმრები-მეთქი.

თვალები გაუბრწყინდა, გახალისდა, მერე ნაღვლიანად დააყოლა:

- ეჰ, რაღადროს ჩემი ეგეთება, გული მიჩმახებს, წაწლის ალერსს ვაითუ ვერ გაუძლოსო.

მე რომ რეზოს ვიცნობდი, ის იმდენად მტკივან გულს კი არა, თავის სახელს მოუფრთხილდა. ფშავში ჩვენი ასვლა და თითოეული ნაბიჯი არ დაიფარებოდა. შავშეუკავებელი მექალთანეობა მთიელებში გაღიზიანებას იწვევს და სათაყვანებელი კაცისთვის შეიძლება ზედაც აღარ შეეხედათ. ეს გათვალა რეზომ და თავი შეიკავა, რის გამოც კიდევ ერთხელ მოვიხიბლე მისი პიროვნებით.

ბოლოს თავისუფლების მოედანზე შევხვდი 1991 წლის შემოდგომაზე. შინისკენ მივდიოდი, ის მწერალთა კავშირიდან მოდიოდა. მივესალმე, იმან კიდევ:

- ეს რა მაკადრეს კაცო! ვინა ვგონივარ მე მაგათი!.. - იძახდა ძალზე აღელვებული. ვიფიქრე, ვიღაცა ეჩხუბა და ბრაზმორეული ჩავეკითხე: ვინ გაწყენინა-მეთქი?

- არა, ე რა მაკადრეს ამ ვიგინდარებმა! - ხელებსა შლიდა და წაღმა-უკუღმა ბრუნავდა.

- მითხარი, რეზო, ვინ რა გაკადრა! - კიდევ ჩავეკითხე.

- გესმის შენა?! სატელევიზიო ფილმის გადაღება გვინდა შენზე და სცენარი დაგვიწერეო! როგორ, სცენარი ჩემ თავზე მე დავწერო? ვეკითხები. რა მოხდა მერე, ყველა ეგრე გვიწერს, ვიზეც ფილმს ვიღებთო! გაგონილა, კაცო. ხედავ, რა ზომამდეა გაფუჭებული ქვეყანა, რასა კადრულობენ! წავიდნენ ერთი მაგათი ფილმიცა და მაგათი ტელევიზიაც, სუ ფეხებზე არა მკიდია! - აბობოქრებული გამცილდა ისე, რომ დამშვიდობებაც კი აღარ გახსენებია. ქვეყანაც აბობოქრებული იყო. თავისუფლებამოპოვებულს რუსეთი თავისი ქართული აგენტურით კვლავ მოხრჩობას უპირებდა და სუფრებისა და მხიარულებისთვის არავის ეცალა, მაგრამ, მაინც საგიორგობოდ ნანადირევზე მინდოდა დაპატიჟება, შინ დავურეკე, მთხრა, ძალიან ცუდადა ვარო, თავბრუსხვევები მაქვსო. ახალ წლებში ვფიქრობდი მონახულებას, მაგრამ ვერ დაგვიდგა კარგი ახალი წელი. თბილისში სამოქალაქო ომი იყო გაჩაღებული, გარეთ ვერ გამოვდიოდით, შინ თაგვებივით ვიყავით გამომწყვდეულნი. თურმე სწორედ იმ დღეებში გარდაიცვალა რეზო. ჩანს, შინააშლილობის სიმწარეს ვეღარ გაუძლო ისედაც ათასი სატკივარით დაავადებულმა მისმა გულმა. ის ძალზე ემოციურად განიცდიდა სიკეთესაცა და ბოროტებასაც. რამდენიმე თვის მერეღა გავიგე მისი გარდაცვალების ამბავი.

ერთი მოთხრობის კონკურსი

„ლიტერატურული გაზეთი“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს ერთი მოთხრობის კონკურსს 18-დან 30 წლამდე პროზაიკოსებისთვის.

ავტორებმა ერთი გამოუქვეყნებელი მოთხრობა, რომლის მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს 40 000 კომპიუტერულ ასო-ნიშანს, უნდა გამოაგზავნონ ელექტრონულ მისამართზე **konkursi2010@yahoo.com.**

მოთხრობას თან უნდა ერთვოდეს ავტორის პირადობის მოწმობის ასლი და ტელეფონის ნომერი.

მოთხრობის გამოგზავნის ბოლო ვადაა 2010 წლის 10 მაისი.

სამი გამარჯვებული ავტორი დასახელდება ივნისში.

გამარჯვებულებს გამოავლენს ხუთი პროზაიკოსისგან შემდგარი ჟიური.

სამი გამარჯვებული ნაწარმოები და, ასევე, მოწონებული მოთხრობები გამოქვეყნდება „ლიტერატურულ გაზეთში“.

I პრემია — 1200 ლარი
II პრემია — 800 ლარი
III პრემია — 500 ლარი

ლიტერატურული გაზეთი
გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
ჟურნალისტები **ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობაიძე, თამარ ჟურული**

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com